# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 თებერვალი **ოთხშაბათი** 2012
№ 031 (13 637) ფასი 80 თეთრი




↳2

## სანამ დავქორწინდები, ნაკრებში ვითამაშებ




## მზის თასი ჯანოს

**ჯანო ანანიძის** „სპარტაკმა“ ესპანეთის ქალაქ კარტახენაში „კოპა დელ სოლის“ (მზის თასი) საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ფინალში მოსკოველებმა არგენტინელი **ნიკოლას პარეხას** გოლით მოუგეს დანიურ „კოპენჰაგენს“ - 1:0. 19 წლის ქართველმა ფინალი სასტარტოში ნახევარდაცვის ფლანგზე დაიწყო და პირველ ტაიმში აქტიურიც იყო, 62-ე წუთზე ის **კარპინმა** შეცვალა. აღსანიშნავია, რომ „სპარტაკს“ 2003 წლიდან დღემდე არანაირი ტიტული არ ჰქონდა მოგებული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




## ანჟი ისევ გაგიჟდა

„სპორტმედიასეტი“ იუწყება, რომ სულ მალე მახაჭყალის „ანჟიმ“ შეიძლება კიდევ ერთი სუპერტრანსფერი განახორციელოს - მილანის „ინტერიდან“ ჰოლანდიელი პლეიმეიქერი ვესლი სნეიდერი იყიდოს. რუსებმა საამისოდ 25 მილიონი ევრო გაამზადეს. „ანჟი“ სნეიდერს წელიწადში 8 მილიონ ევროს ჰპირდება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## 28 601 ქულა და კობი ბრაიანტმა შაკილ ონილს გადაასწრო

↳14

## ფუტსალის ბედი საქართველოში! თუ მართალია ეს ყველაფერი

# ბასტა!




↳3

მიმდინარეობს გამოკითხვა საქართველოს 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად

↳16

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ ალექსანდრე იაშვილთან

# თავმდაბალი, გულიანი, ემოციური...

ალექსანდრე იაშვილი – "დინამო", "ფრაიბურგი" და საქართველოს ნაკრები, – მან სახელი ამ გუნდებში შეიქმნა.

ახლა ის "კარლსრუეს" ფეხბურთელია და მისი გუნდი მეორე ბუნდესლიგიდან არგავარდნისთვის იბრძვის.

იაშვილს ბუნდესლიგაში ჭიპი აქვს მოჭრილი, ფოლკერ ფინკეს გაწვრთნილ "ფრაიბურგში" გაატარა საუკეთესო წლები და არცთუ ცოტა ქება დაუმსახურებია გერმანული მედიისგან...

იაშვილიც განსაკუთრებულად უყვართ ბადენის მხარეში. მას ან გოლი გააქვს, ან საგოლე პასს აკეთებს – ასეთია მისი ხელობა.

იაშვილს ყველა თავმდაბალ კაცად იცნობს ქართულ ფეხბურთში და ამას, ალბათ, გულშემატკივარიც ხედავს, ამიტომაცაა, ის სხვანაირად რომ უყვართ...

ხორვატია-საქართველოს მატჩში მან მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა, სწორედ ასეთ შეხვედრებში ჩანს ფეხბურთელის კლასი...

იაშვილი და ლევან კობიაშვილი – საქართველოს ნაკრებს ორი "სტარაჟილა" შერჩა და ჯერ უცნობია, რას ფიქრობს მათ სანაკრებო პერსპექტივაზე თემურ ქეცბაია. ერთი კი ნაღდია – ნაკრებიდან წასვლას არც კობიაშვილი აპირებს და არც იაშვილი...

იყო ისეთებიც, იაშვილს არცთუ სამართლიანად რომ ექცეოდნენ ნაკრებში, ყოველ შემთხვევაში, ის რამდენიმე მწრთნელს დაუტოვებია გულნაკლული, თუმცა იაშვილს არასდროს აუცრუებია გული ეროვნულ გუნდზე...

იაშვილს გერმანიაში რომ დავუკავშირდით, ჯერ "კარლსრუეზე" ჩამოვუგდეთ სიტყვა...


ბურთით ალექსანდრე იაშვილი

**- თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში "კარლსრუე" ბოლოსწინა ადგილზეა - რა არის ამის მთავარი მიზეზი?**

- პირველ წრეში ძალიან ბევრი გოლი გავუშვით, გუნდმა თავის შესაძლებლობებზე უარესად ითამაშა, ყველა რგოლში ბევრი შეცდომა მოგვდიოდა. კლუბმა გამოსავლის ძებნა დაიწყო და მეორე წრისთვის ექვსი ფეხბურთელი დავიმატეთ. ვფიქრობ, "კარლსრუე" გაძლიერდა და მეორე ეტაპის პირველი თამაში ერცგებირგეს "აუეს" რომ მოვუგეთ 2:1, უაღრესად მნიშვნელოვანი გამარჯვება იყო.

**- როგორც უნდა იყოს, "კარლსრუე" ჯერაც გასავარდნ ზონაშია. თუ გუნდი მესამე ლიგაში ჩამოქვეითდება, დარჩები "კარლსრუეში"?**

- დარწმუნებული ვარ, რომ "კარლსრუე" არ გავარდება და ამ გუნდში 2013 წლამდე ვითამაშებ.

**- მეორე ბუნდესლიგაში ეული ქართველი აღარ ხარ – ნიკა გელაშვილი "ზესტაფონიდან" "ბოხუმში" გადავიდა და დებიუტი გოლით აღნიშნა. როგორ ატყობ, გელაშვილს რა დრო დასჭირდება, პირველი ბუნდესლიგის ფეხბურთელი რომ გახდეს?**

- როცა შენი გოლით პირველივე თამაშში გამარჯვებას მოუტან ახალ გუნდს, ამაზე უკეთეს დებიუტს ვერ ინატრებ. რა თქმა უნდა, მიზანი ბუნდესლიგაში მალე მოხვედრაა, მაგრამ ჯერ ქვედა ლიგაში, "ბოხუმში" უნდა გამოსცადო საკუთარი თავი.

**- საკუთარი თავის გამოცდა ნაკრებშიც ხდება. კიდევ აპირებ ეროვნულ გუნდში თამაშს? ნაკრებში ბევრი კარგი მატჩი ჩაგიტარებია, თუმცა გუნდს ღირებული შედეგისთვის არასდროს მიუღწევია. მომდევნო შესარჩევში საქართველოს მეტოქეები, სხვათა გარდა, ესპანეთი და საფრანგეთი იქნებიან. რას ელი ნაკრებისგან და ნაკრებში თამაშისგან?**

- ნაკრებში იქამდე ვითამაშებ, სანამ საჭირო ვიქნები. ეროვნული გუნდი ფეხბურთელისთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა და ამიტომაც, სანაკრებო მოტივაცია მოწინააღმდეგის სიძლიერეზე ვერ იქნება დამოკიდებული. მოკლედ, ნაკრებში თამაშისთვის ყოველთვის მოტივირებული ვარ.

**- თემურ ქეცბაიას ხისტ ხასიათზე ბევრი საუბრობს. როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა მწვრთნელ ქეცბაიასთან? ყველამ დავინახეთ, ლატვიასთან რომ შეგცვალა, რაღაც ნივთი სათადარიგოთა სკამთან მოისროლე...**

- მე და ქეცბაია წლობით ვთამაშობდით ერთად საქართველოს ნაკრებში, ვმეგობრობთ და ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ფეხბურთელის კარიერაში არის მომენტები, როცა ძალიან ძნელია ემოციების გაკონტროლება. ეს ჟესტი კი არავისკენ იყო მიმართული, თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ არა მგონია, ბევრი იყოს ისეთი ფეხბურთელი, ემოციური თამაშიდან გასვლა რომ ესიამოვნოს.

**- ქეცბაიამ თქვა, საქართველოს ნაკრებში მაღალი კლასის შემტევი ფეხბურთელების დეფიციტიაო...**

- მიმაჩნია, რომ საკმაოდ ძლიერი შემტევი ფეხბურთელები გვყავს. ძალიან კარგი თაობაც მოდის, მათთვის ახლა აუცილებელია, რომ ძლიერ ჩემპიონატებში ითამაშონ.

**- ყველა მწვრთნელს თავისი ხედვა აქვს. როგორ ფიქრობ, ქეცბაიას მიმართულებით რა შანსი აქვს ნაკრებს? ითქვა, ეს ციკლი იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ მომდევნოში კარგი შედეგი გვქონდესო...**

- ჩვენს ნაკრებში ახლა თაობათა ცვლაა და ეს პროცესი ყველა ნაკრებისთვის საკმაოდ რთულად მიდის. ახალგაზრდა ფეხბურთელებს ნაკრებში დასამკვიდრებლად დრო სჭირდებათ.

**- სანაკრებო კარიერაში გული ყველაზე უფრო რაზე გწყდება?**

- მეც და ალბათ ყველას გული ერთ რამეზე გვწყდება – საქართველო ფინალურ ეტაპზე ჯერაც ვერ მოხვდა.

**- 34 წლის ხარ და მაინც როდემდე აპირებ თამაშს?**

- სადამდეც თავს კარგად ვგრძნობ და ფეხბურთის თამაშისგან სიამოვნებას ვიღებ.

**- ფეხბურთელის კარიერის შემდეგ რას აპირებ? ალბათ უკვე ნაფიქრი გაქვს ამაზე...**

- კლუბის მენეჯერობა მაინტერესებს და გაზაფხულიდან შესაბამის კურსებზე ვაპირებ შესვლას. "კარლსრუესთან" ისეთი კონტრაქტი მაქვს, რომ ფეხბურთელის კარიერის შემდეგ ამ კლუბში მუშაობის გაგრძელება შემიძლია.

**- კახა კალაძე საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა...**

- კალაძის წასვლა ნაკრებისთვის დიდი დანაკლისია, ის ხომ ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, რაც შეეხება მისი ნაკრებიდან წასვლის ფორმას, ეს მისი არჩევანი იყო...

**- გერმანულ ფეხბურთს საქართველოში ბევრი გულშემატკივარი ჰყავს და საინტერესოა შენი პროგნოზი: "დორტმუნდი" თუ "ბაიერნი"?**

- "ბაიერნი" ყოველთვის ფავორიტია, თუმცა ამ დროისთვის საუკეთესო ფეხბურთს გერმანიაში "დორტმუნდი" თამაშობს.

**- და მიგაჩნია, რომ დორტმუნდელი მარიო გიოტცე გერმანიის ნაკრების ახალ თაობაში საუკეთესოა?**

- გერმანიის ნაკრებში ახლა მართლაც ძალიან ძლიერი თაობა წამოვიდა და ვინმეს გამორჩევა ძნელია, ყოველივე ეს გერმანიის ნაკრებშიც კარგად ჩანს. მიმაჩნია, რომ ბუნდესლიგა ახლა ევროპაში საუკეთესო ლიგაა.

**დავით თავართქილაძე**

● სამზადისი. მერანი


მალხაზ ჟვანია

# ფრე სომხებთან

გუშინ მარტვილის "მერანმა" მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **მალხაზ ჟვანიას** გუნდი ურეკში სომხურ "ულისს" შეხვდა და ფრედ, 1:1 ეთამაშა. ორივე გოლი შეხვედრის პირველ ტაიმში გავიდა – მე-20 წუთზე ანგარიში **გიგა ბოხუამ** გახსნა, ორიოდე წუთში კი ერევნელებმა თანაფარდობა **ანზორ სუხიაშვილის** ავტოგოლით აღადგინეს.

"მერანმა" ამ შემადგენლობით ითამაშა: **შეროზია, კაკუშაძე (75. გეგეჭკორი), ჟვანია, იობაშვილი, სუხიაშვილი, დიდავა, მანჯგავაძე, გრიგოლაშვილი (75. ფონიავა), ტორონჯაძე (46. ტაპე), ბოხუა (60. ტორაძე), ჩალაძე (46. ამბროლაძე).**

*"იმის მიუხედავად, რომ თამაში მძიმე გრუნტზე მიმდინარეობდა, მატჩი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ვფიქრობ, უკვე მზად ვართ იმისთვის, რომ ჩემპიონატის განახლების მომენტისთვის ჩვენი საუკეთესო თვისებები გამოვავლინოთ"*, - გვითხრა მალხაზ ჟვანიამ.

დღეს "მერანი" სამტრედიაში ჩავა და ამხანაგურ შეხვედრას ადგილობრივ გუნდთან გამართავს. დღევანდელ მატჩში მონაწილეობას უმეტესად ის ფეხბურთელები მიიღებენ, რომლებსაც გუშინ არ უთამაშიათ. 10 თებერვალს კი "მერანი" ქუთაისს ეწვევა და "ტორპედოსთან" ცენტრალურ სტადიონზე ითამაშებს.

მარტვილელები სეზონის მეორე ნახევარს 15 თებერვალს დაიწყებენ, როცა უმაღლესი ლიგის მე-19 ტურში ფოთის "კოლხეთს" უმასპინძლებენ. "მერანი" ჩემპიონატის სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა და რვა საუკეთესო გუნდში დამკვიდრება, ფაქტობრივად, დაზევებული აქვს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● გაგრა

# ბოლოს წააგეს

"გაგრამ" თურქეთში მოსამზადებელ შეკრებაზე ბოლო საკონტროლო მატჩი გამართა. საქართველოს თასის მფლობელი პოლონეთის პირველი ლიგის აუტსაიდერ "პოლონია ბიტომს" შეხვდა.

*"სამწუხაროდ, გუნდმა კიდევ ერთი შეხვედრა დათმო. არადა, დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, უამრავი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ და საბოლოოდ დავმარცხდით. ანთალიაში უიღბლობა თან გვდევს, მაგრამ იმედია, ჩემპიონატში ასეთი რამ აღარ განმეორდება.*

*პირველი საგოლე მომენტი შალვა კვანტალიანს ჰქონდა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ გასულმა კარში დარტყმა ვერ მოახერხა. რამდენიმე წუთში კი გვიანდოვსკიმ გოლი გაგვიტანა. ამის შემდეგაც მთლიანი სათამაშო უპირატესობა გვქონდა, მაგრამ ხუციძემ, ჭკუასელმა, როსტიაშვილმა და ყიფიანმა ვერ გაიტანეს. შეტევაში ჩართულებს მეტოქის კონტრშეტევა გამოეპარათ და პიეტრშიკმა ძლიერი დარტყმით მეორედ აიღო ჩვენი კარი.*

*შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრის სუპერ-მომენტი გიორგი ზვიადაძემ შექმნა, რომელმაც 5 მეტოქე მოატყუა, კარშიც დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა.*

*პრესტიჟის გოლი ნიკა ჭკუასელის ანგარიშზეა, რომელიც მეკარესთან ერთი-ერთზე დარჩა და ადვილად გაიტანა"* - იუწყება "გაგრას" პრესსამსახური.

**გაგრა-პოლონია ბიტომი 1:2**

0:1 გვიანდოვსკი (15), 0:2 პიეტრშიკი (58), 1:2 ჭკუასელი (88).

"გაგრა": **ბეგაშვილი, ხუციძე, ტყეშელაშვილი, ჯგერენაია, ფალავანდიშვილი, ლ.სეთურიძე, ხოჯაშვილი, ზვიადაძე, ნ. ჯიშკარიანი, ჭკუასელი, კვანტალიანი.**

შეცვლაზე: **კობერიძე, ყიფიანი, როსტიაშვილი, სარდალიშვილი.**

ამგვარად, "გაგრამ" შეკრებაზე სულ ხუთი საკონტროლო მატჩი ჩაატარა და ხუთივეში დამარცხდა: პოლონურ "გურნიკთან" (1:2), ყაზახურ "ირტიშთან" (1:2), ყაზახურ ყარაღანდის "შახტიორთან" ორივე შემადგენლობით (2:3, 0:1) და "ბიტომთან" (1:2).

გუნდი გუშინ თბილისში გამობრუნდა – მთავარი მწვრთნელის, **ზვიად ჯელაძის** ხელმძღვანელობით ფეხბურთელები ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადებას თბილისში განაგრძობენ.

**მერაბ მამულაშვილი**


ზვიად ჯელაძე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:30

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U17

# კარგი პრაქტიკა პრეზიდენტის თასზე

28 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით ყაზახეთში 17-წლამდელთა ნაკრებებს შორის "პრეზიდენტის თასის" გათამაშება დაიწყება, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ალმათიში **ნოდარ აკობიას** მიერ გაწვრთნილი გუნდი გაემგზავრება, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში შემოდგომიდან ჩაერთვება.

გაიმართა წილისყრა, რომელმაც "პრეზიდენტის თასის" 8 მონაწილე ორ ჯგუფში გაამწესა. საქართველოს ნაკრები B ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად აზერბაიჯანი, ირანი და ჩინეთი ერგო. აკობიას გუნდი მატჩებს ამავე თანმიმდევრობით ჩაატარებს 28-29 აპრილსა და 1 მაისს.


ნოდარ აკობია

2 მაისს ჯგუფების გამარჯვებულები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან, მეორეადგილოსნები ტურნირის მესამე ადგილს გაითამაშებენ, მესამეადგილოსნები – მეხუთეს, ბოლოადგილოსნები – მეშვიდეს.

ცნობისთვის, A ჯგუფში მასპინძელი ყაზახეთი, უნგრეთი, თურქმენეთი და სომხეთი ითამაშებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ვიტ ჯორჯია

## ზურაბ ბერიძე

# რვამდე არც ისე შორია

**"ვიტ ჯორჯიამ" თურქული შეკრება დაასრულა და სეზონის მეორე ნახევრის დაწყებამდე დარჩენილ დღეებში აქ მოემზადება. შეგახსენებთ, ვეტერინარებმა დაბა ბელექში ორი კვირა გაატარეს და სამი საკონტროლო მატჩი ჩაატარეს. იქაური შთაბეჭდილებებისა და გუნდის გეგმების შესახებ "ვიტ ჯორჯიას" მთავარ მწვრთნელ ზურაბ ბერიძეს ვესაუბრეთ.**


ზურაბ ბერიძე

**- უპირველესად, თურქეთში ჩატარებული მატჩები შეაფასეთ.**

- სანამ უშუალოდ შეხვედრებზე გადავიდოდე, კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ "ვიტ ჯორჯიას" თურქეთში იდეალური მოსამზადებელი პირობები ჰქონდა – ჩვენს განკარგულებაში იყო უმაღლესი კლასის სასტუმრო, შესანიშნავი სავარჯიშო და სათამაშო მოედნები. ამინდშიც გაგვიმართლა – სულ დარი იყო და ერთი ვარჯიშიც კი არ ჩაგვშლია. ასე რომ, თურქული შეკრება ძალიან ნაყოფიერად გამოვიყენეთ, რაც, ბუნებრივია, ჩვენს თამაშზე დადებითად აისახება.

პირველი საკონტროლო მატჩი გერმანულ "სვ გერმანია შიონაიხესთან" ჩავატარეთ და ფრედ, 1:1 დავასრულეთ. არავინ მოატყუოს იმ ფაქტმა, რომ ეს კლუბი ობერლიგაში თამაშობს – საკმაოდ ძლიერი მეტოქე აღმოჩნდა, მაღალი დონის ლეგიონერებით დაკომპლექტებული და ფიზიკურად კარგად მომზადებული. ურიგოდ არც "ვიტ ჯორჯიას" უთამაშია.

ამის შემდეგ ძალები სანკტ-პეტერბურგის "ზენიტის" დუბლშემადგენლობასთან მოვსინჯეთ და 0:0 ვითამაშეთ. "ზენიტის" დუბლების ფეხბურთელთა უმრავლესობა რუსეთის ასაკობრივი ნაკრებების წევრია. "ზენიტში" აშკარად გამოირჩეოდა ქართველი ჩემინავა. ჩვენმა გუნდმა ამ შეხვედრაშიც ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა.

მესამე სპარინგ-მატჩში კი ყველაზე ძლიერი მეტოქე გვყავდა აზერბაიჯანული "ყარაბახის" სახით. როგორც იცით, ეს კლუბი თავის ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესოა და ევროტურნირებზეც წარმატებით ასპარეზობს ხოლმე. ჩვენმა გუნდმა "ყარაბახს" ტოლი არ დაუდო და თუ საწყის 25 წუთს არ მივიღებთ მხედველობაში, როცა სამივე გოლი მივიღეთ, ყველა თვალსაზრისით ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენეთ. არაერთი საგოლე შანსიც გვქონდა, თუმცა მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ და საბოლოოდ, 1:3 დავმარცხდით.

**- ჩემპიონატის განახლებამდე საკონტროლო მატჩის ჩატარებას კიდევ ხომ არ გეგმავთ?**

- უამინდობის გამო ეს ნაკლებად სავარაუდოა. თუ დიდთოვლობამ პირველი ტური გადადო, მაშინ ალბათ, უთამაშებლად არ დავრჩებით, ხოლო თუ კალენდარი არ დაირღვა, სეზონის განახლებამდე აღარ ვითამაშებთ. ჩვენი დუბლშემადგენლობა კი, როგორც იცით, "ბენდელას თასზე" ასპარეზობას განაგრძობს.

**- შეგიძლიათ თქვათ, რომ "ვიტ ჯორჯია" ოფიციალური შეხვედრებისთვის უკვე მზადაა?**

- თუ ამინდმა ხელი არ შეგვიშალა, 14 თებერვალს სრულ მზადყოფნაში შევხვდებით.

**- ახალწვეულებით კმაყოფილი ხართ?**

- როგორც იცით, დუბლშემადგენლობიდან პირველ გუნდში რამდენიმე ფეხბურთელი დავაწინაურეთ და ახალწვეულთა უმრავლესობასაც სწორედ ისინი შეადგენენ. მათ შესაძლებლობებს კარგად ვიცნობ და მჯერა, "ვიტ ჯორჯიას" დიდ სამსახურს გაუწევენ.

**- კონკურენციის ხარისხი გაკმაყოფილებთ?**

- ყველა რგოლში მძაფრი კონკურენცია გვაქვს, რაც ძალიან მახარებს. თითოეულმა ფეხბურთელმა იცის, რომ ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად დიდი შრომა სჭირდება, ამავდროულად, ყველასთვის კარგად არის ცნობილი ის ფაქტიც, რომ მონდომება დაუფასდებათ.

**- თქვენი გუნდის კაპიტნისა და უდავო ლიდერის, გიორგი ჯანელიძის თაობაზე "ვიტ ჯორჯიას" კონკრეტული წინადადებები ხომ არ მიუღია?**

- გიორგიმ თავისი თამაშით ბევრის დაინტერესება გამოიწვია. ვიცი, რომ მას თურქეთშიც აკვირდებოდნენ და შორს არაა ის დღე, როცა ჯანელიძე კარიერას სხვაგან გააგრძელებს. თუმცა ამ სეზონის ბოლომდე იგი, ალბათ, "ვიტ ჯორჯიას" დაეხმარება.

**- ჩემპიონატის პირველ ეტაპზე დარჩენილ მატჩებზე რას იტყვით?**

- როგორც იცით, ამ სეზონში ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლესი ლიგის რვა საუკეთესო გუნდში დამკვიდრებაა. ამ ამოცანამდე კი ოთხი საკმაოდ რთული შეხვედრა გვაშორებს – შინ "სპარტაკსა" და "ზესტაფონთან" და სტუმრად "კოლხეთსა" და "ტორპედოსთან". კარგად ვაცნობიერებთ, რომ თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. სატურნირო ცხრილს რომ გადავხედოთ, 14 თებერვალს უშუალო კონკურენტ "სპარტაკთან" მცხეთაში უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის, რომლის მოგების შემთხვევაშიც მიზანი, ფაქტობრივად, მიღწეული გვექნება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ფუტსალის ბედი საქართველოში!

**ფუტსალში** დაპირისპირება აპოგეას აღწევს. გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ამ თემას აღარ მივბრუნებოდით, რადგან სათქმელი ორივე მხარემ თქვა და კიდევ ერთხელ ბრალდებების გამეორება მიკერძოებაში ჩამოგვერთმეოდა.

თუმცა, გუშინ "ლელოს" ფუტსალელებმა მორიგი წერილით მოგვმართეს და ცხადი გახდა, ამ სახეობაში შერიგება, მორიგება და დაპირისპირების შერბილება გამორიცხულია - ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები, გამგეობის წევრები, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები, კლუბების წარმომადგენლები ასოციაციის გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევას და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებას მოითხოვენ.

## ღია წერილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ **ზვიად სიჭინავას** და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ბატონ **ვლადიმერ ვარძელაშვილს**

**ბატონებო,**

წარმოგიდგენთ ამონარიდს საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის, **გაიოზ ფხოველიშვილის** წინასაარჩევნო პროგრამიდან:

ეროვნულის გარდა იარსებებს ასაკობრივი ნაკრებები: U-21, U-19, U-17, U-15.

**- არათუ შექმნილა, გაუქმდა არსებული 21-წლამდელთა ნაკრებიც. დანარჩენ ასაკობრივ ნაკრებებზე ლაპარაკიც არ არის.**

მზად ვართ, საწყის ეტაპზე, საჭიროების შემთხვევაში, გავუწიოთ ფინანსური დახმარება ადგილობრივ კლუბებს (საკუთარი სახსრებით დავუნიშნოთ მწვრთნელებს ხელფასები).

**- არათუ გუნდების მწვრთნელების ფინანსური დახმარება, ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი დატოვეს უმუშევრად.**

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რეგიონალური ასოციაციების შექმნას და მხარდაჭერას.

**- არც ერთი არ შექმნილა.**

ჩატარდეს მთელი საქართველოს მასშტაბით მუშაობა მწვრთნელთა მოსაწვევად და მოხდეს მათი ტესტირება და განათლების დონის განსაზღვრა.

**- არ მოუწვევიათ.**

შეიქმნას ფუტსალში ისეთი სამუშაო ფონი, რომ მოხდეს ინვესტიციების აქტიური მოზიდვა.

**- ორ წელიწადში მოზიდულია 0 ლარი.**

მხარდაჭერილ იქნას ფუტსალის ქალთა გუნდების შექმნა და ჩემპიონატის ჩატარება.

**- გაუქმდა კაცთა ჩემპიონატიც.**

შეიქმნას და მხარდაჭერილ იქნას საშეჯიბრო სისტემა, ვეტერანებს შორის.

**- არ შექმნილა.**

სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნას ერთიანი საშეჯიბრო სისტემა.

**- არ შექმნილა.**

აუცილებელია ჩემპიონატის გეოგრაფიის გაზრდა, რათა ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღონ რეგიონების გუნდებმაც.

**- რეგიონების გუნდების უმრავლესობა გაუქმდა.**

ჩემპიონატი ჩატარდება კალენდრის შესაბამისად.

**- გაუქმებულ ჩემპიონატს კალენდარი ვერ ექნება.**

დაიწყება მიზანმიმართული მუშაობა მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

**- არ დაწყებულა.**

მომდევნო (2011 წლის) ეროვნულ ჩემპიონტში მონაწილეობის მისაღებად მოვიზიდავთ ახალ გუნდებს.

**- გუნდების რაოდენობა ჯერ შემცირდა ათიდან ხუთამდე, შემდეგ კი ჩემპიონატი საერთოდ გაუქმდა.**

2010 წლის აპრილიდან ჩატარდება ტურნირი თბილისის საფეხბურთო სკოლებს შორის.

**- არ ჩატარებულა. გაუქმდა ასოციაციასთან არსებული ფუტსალის სკოლა.**

### დარღვევები ასოციაციის საქმიანობაში

არ ჩატარებულა გამგეობის არც ერთი სხდომა, რაც წესდების დარღვევაა.

გამგეობაზე არ განხილულა ბიუჯეტი, რაც წესდების დარღვევაა.

არ განხილულა აპარატის შემადგენლობა გამგეობაზე, რაც წესდების დარღვევაა.

არ დანიშნულა გამგეობაზე ნაკრების მწვრთნელი, რაც წესდების დარვევაა და შესაბამისად, გამგეობას მასთან კონტრაქტი არ დაუმტკიცებია.



ფინანსური საქმიანობა სრულიად ბურუსითაა მოცული.

არ არსებობს არც ერთი კომიტეტი.

საქართველოს ჩემპიონატი გაუქმებამდე ტარდებოდა გაურკვეველი პირების მიერ და ჩემპიონატის ხარჯები ბურუსითაა მოცული.

ნაკრების ფინანსური ხარჯები არც ერთხელ არ განხილულა გამგეობის სხდომაზე, რაც წესდების დარღვევაა.

უეფას, სპორტის სამინისტროს და ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოყოფილი ფინანსები გაურკვეველი დანიშნულებით განიკარგება გამგეობის გვერდის ავლით.

სპორტის სამინისტროს მიერ ნაკრებისთვის გამოყოფილი თანხები პირადი ინტერესებისთვის გამოიყენება – სამინისტრო აფინანსებდა ეროვნული ნაკრების შეკრებებს დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე, სინამდვილეში კი ნაკრების მაგივრად შეკრებას გადიოდა კლუბი "ალგო", რომლის დამფუძნებლებიც არიან ასოციაციის პრეზიდენტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაალ ჩიტალაძე ითხოვს ხელფასიდან პროცენტს ფეხბურთელებისგან.

***ალნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფუტსალის ასოციაციის გამგეობის წევრები, ჩვენთვის კანონით მონიჭებული უფლებიდან გამომდინარე, ამა წლის 16 თებერვალს, 18 საათზე, სპორტკომპლექს "ქარიშხალაში" ვიწვევთ გამგეობის სხდომას, რომელზეც დადგება ფუტსალის ასოციაციის კონფერენციის (ყრილობის) მოწვევის და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების საკითხი.***

**ირაკლი ქავთარაძე**, ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრი
**ბექა კვიციანი**, ვიცე-პრეზიდენტი, გამგეობის წევრი
**ლევან გრიგოლია**, გამგეობის წევრი
**გიორგი დარჯანია**, გამგეობის წევრი
**პაპუნა ხიდეშელი**, გამგეობის წევრი

### გამგეობის წევრებს მხარს უჭერენ:

**ბესიკ ზოიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე, კლუბ ტტგ-ს მწვრთნელი
**პეტრე თაბუკაშვილი**, ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი
**ალიკ სარქისიანი**, „იბერია სტარის" მწვრთნელი, ეროვნული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი
**ავთანდილ ასათიანი**, ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, „თელასის" მთავარი მწვრთნელი
**ბესო არველაძე**, ეროვნული ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი
**დავით სოლოღაშვილი**, ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი
**ანდრო მიზანდარი**, ეროვნული ნაკრების ყოფილი მოთამაშე და მწვრთნელი
**მამუკა კვანტალიანი**, ეროვნული ნაკრების ექიმი
**გიორგი ალთუნაშვილი**, ეროვნული ნაკრების კაპიტანი
**რეზო დევდარიანი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე (კვიპროსიდან)
**ნიკა ოსეფაშვილი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე (ესპანეთიდან)
**ლევან კობაიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ალექსანდრე ძაბირაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ალექსანდრე ჯამბურია**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი იოსებიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**შოთა კუბლაშვილი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლევან ზაქაიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი მშვიდობაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი რობაქიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ირაკლი კალმახელიძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლევან გაბუნია**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ბექა მუმლაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**აკაკი კაკაშვილი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**გიორგი სოზაშვილი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**არჩილ ბოკერია**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ირაკლი შელეგია**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**ლაშა ცნობილაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**დავით დარჩია**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**კახა ახალაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**რატი ხოსრუაშვილი**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე
**სერგო მელაძე**, ეროვნული ნაკრების მოთამაშე.

### როგორ ტარდება ყრილობა?

აქვთ თუ არა მათ ამის უფლება? ამ კითხვაზე პასუხს იძლევა ერთ-ერთი ხელმომწერი, ასოციაციის გამგეობის წევრი **გიორგი დარჯანია**.

**- თანამიმდევრობით მოვყვეთ: გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება ვის აქვს?**

- გამგეობის ნებისმიერ წევრს და მთავარია, მას გამგეობის წევრთა უბრალო უმრავლესობა ესწრებოდეს და ასევე უბრალო უმრავლესობამ რიგგარეშე ყრილობა მოიწვიოს. ასევე წყდება ყრილობის ჩატარება - საჭიროა დელეგატთა უბრალო უმრავლესობა, გადაწყვეტილების მისაღებადაც საკმარისია ასევე ხმების უბრალო უმრავლესობა.

**- ამ შემთხვევაში რა ვითარებაა?**

- ფუტსალის ასოციაციის გამგეობაში 9 წევრია და ხუთნი ხელს ვაწერთ. დანარჩენებს კი სხდომის ჩატარების შესახებ წერილი გავუგზავნეთ.

ხელმოწერებით დოკუმენტი ჩაბარდა ფეხბურთის ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს.

ზოგადად კი გეტყვით, რომ სამწუხაროდ, გაიოზ ფხოველიშვილმა თავისი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაზე უარი განაცხადა და დღეს ისიც აღარ გვაქვს, რაც ფუტსალში მის მოსვლამდე იყო. გნებავთ, „ლელოში" გამოქვეყნებული ინტერვიუ ავიღოთ: ყველა კითხვაზე პასუხები ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა. თუმცა, ამ ყველაფერზე უფრო დეტალურად გამგეობაზე ვიტყვით.

**მერაბ მამულაშვილი**



ნიკოლოზ გელაშვილი

# გელაშვილის მაისურა რელიქვია

„ჰანზასთან" გამარჯვების გოლის გატანის შემდეგ, **ნიკოლოზ გელაშვილი** ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა, პრესტიჟულმა სოლიდურმა გამოცემა „კიკერმა" კი კიდევ ერთი საინტერესო მასალა მიუძღვნა ქართველ ფორვარდს.

„ის, რაც კვირას როსტოკის „ჰანზას" წინააღმდეგ მოხდა, არ იყო მხოლოდ გელაშვილის ოცნება. შეცვლაზე შემოსულმა „ბოხუმის" ახალწვეულმა 8 წუთში გამარჯვების გოლი გაიტანა. თავდამსხმელის წარდგენის დროს, წინა კვირას, ყველას ერთი სურვილი ჰქონდა - ქართველს სწრაფად გაევლო ადაპტაცია და გერმანული ფეხბურთისთვის ალღო მალე აეღო. შეცვლაზე შემოსულმა ფორვარდმა ეს ყველაფერი ძალიან სწრაფად მოახერხა. მეტიც, სადებიუტო მატჩში ბურთი ქუსლით ოსტატურად გადაგზავნა კარის ბადეში, ტაბლოზე 2:1 დაფიქსირდა", - ნათქვამია სტატიაში.

„ასეთი გრძნობა არასდროს მქონია", - განაცხადა „კიკერთან" საუბრისას გელაშვილმა, - პირველად მხოლოდ წინა ოთხშაბათს ვივარჯიშე გუნდთან ერთად, წარმატება კი ჩემს თანამემამულესთან, ალექსანდრე იაშვილთან ერთად ვიზეიმე".

როგორც გამოცემა იუწყება, ამ ტრანსფერში დიდი როლი „ბოხუმის" ყოფილმა თავდამსხმელმა, **უვე ლაიფელდმა** შეასრულა, რომელმაც 1985-1991 წლებში, 149 შეხვედრაში 46 გოლი გაიტანა '„ბოხუმის" შემადგენლობაში. ქართველი ფეხბურთელის წარდგენისას, ლაიფელდმა გელაშვილი შეიპირა, რომ ის მაისურა, რომლითაც 26 წლის ფორვარდი გერმანიაში პირველ გოლს გაიტანდა, მისთვის ეჩუქებინა. ის იღბლიანი მაისურა, რომლითაც ქართველმა გოლი გაიტანა, თავდაპირველად უფროსი შვილისთვის, კობასთვის უნდა, ესახსოვრა, საბოლოოდ კი ლაიფელდის მფლობელობაში აღმოჩნდა.

გერმანული გამოცემა, პუბლიკაციის ბოლოს ქართველ ფორვარდს წარმატებებს და გამარჯვების მომტანი გოლების გატანას უსურვებს.

**მაგდა კლდიაშვილი**

# საბა კვირკველია მარბელას ფინალშია

## კობიაშვილის საევროპე შანსი

ხვალ "ზესტაფონი" "მარბელას თასზე" ბოლო შეხვედრას ჩაატარებს და მეშვიდე ადგილისთვის სამარის "კრილია სოვეტოვს" დაუპირისპირდება, რომელიც წინა მატჩში მოსკოვის ცსკა-სთან 0:1 დამარცხდა.

მეტოქისა და საქართველოს ჩემპიონთა ბანაკში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას ხვალ მოგაწვდით, ახლა კი მოკლედ შევეხოთ უშუალოდ "მარბელას თასზე" განვითარებულ მოვლენებს.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო ის უნდა იყოს, რომ ამ ტურნირის ფინალში გავიდა ყაზანის "რუბინი", რომლის ღირსებასაც ქართველი მცველი **საბა კვირკველია** იცავს. მან "ზესტაფონთან" მეოთხედფინალშიც ითამაშა და ნახევარფინალურ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ფეროელების შემდეგ ყაზანელებმა პოლონური "ლეხი" შედარებით მოკრძალებული ანგარიშით, 3:1 დაამარცხეს. კვირკველია თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო. იმედია, მას ფინალში თამაშის საშუალებაც მიეცემა და "რუბინის" ოფიციალურ მატჩებშიც ხშირად ვიხილავთ.



მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში კიევის "დინამომ" ჩინური "გუანჯოუ" 4:0 გაანადგურა და საკმაოდ დამაინტრიგებელი ფინალური წყვილიც მივიღეთ.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს "ლეხი" და "გუანჯოუ" დაუპირისპირდებიან, მეხუთე ადგილისთვის შეხვედრა კი მოსკოვის ცსკა-სა და "ზესტაფონის" მძლეველ რუმინულ "ტიმიშოარას" შორის გაიმართება. ყველა ეს შეხვედრა ხვალ ჩატარდება.

ლეგიონერების თემას **აკაკი ხუბუტიათი** გავაგრძელებთ, რომლის "სამსუნსფორმაც" სტუმრად "ქარაბუქსფორთან" 1:2 წააგო, თურქული სუპერლიგის სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე დარჩა და გავარდნისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. საქართველოს ნაკრების მცველი სათადარიგო იყო.

საფრანგეთის რანგით მეორე ლიგაში **გიორგი მაკარიძის** "ლე მანს" "ნანტისთვის" უნდა ემასპინძლა, მაგრამ მატჩი უამინდობის გამო გადაიდო.

დღეს **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა", რომელიც ბუნდესლიგაში ვერ ბრწყინავს, გერმანიის თასის მეოთხედფინალში მიონხენგლადბახის "ბორუსიას" უმასპინძლებს და გამარჯვების შემთხვევაში ევროპის ლიგაზე მოხვედრის შანსსაც გაიჩენს. შეგახსენებთ, გერმანიის თასზე შემდეგ ეტაპზე გამსვლელი ერთი მატჩით ირკვევა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# ლადო დვალიშვილი პოლონეთის ყველაზე მდიდარი უცხოელია?!

## რა პრობლემები შეექმნა ქართველ ლეგიონერს ისრაელში?

საინტერესო ამბავი გამოაქვეყნა ბელარუსულმა ინტერნეტგამოცემა "სპორტპანორამამ". ჟურნალისტი დაინტერესდა, წლიურად რა შემოსავალი აქვს ბელარუსის ნაკრების და პოლონური "ლეხის" ნახევარმცველ **სერგეი კრივეცს**, ექსტრაკლასას უმდიდრესი ლეგიონერების ათეული შეადგინა და სწორედ აქ აღმოვაჩინეთ ჩვენთვის საინტერესო ფაქტი.



ლადო დვალიშვილი

ყველაზე მდიდარი "ლეხის" კოლუმბიელი ლეგონერი **მანუელ არბოლედა** ყოფილა – ის წელიწადში 1,75 მილიონ ზლოტს იღებს (დაახლოებით 552,316 დოლარს), "ვისლას" ჰოლანდიელი **კიუ იალიენსი** - 1,3 მილიონს (410,233 დოლარს), "ლეგიას" ხორვატი **ილიცა ვრდოლიაკი** კი - 1,25 მილიონს (394,567 დოლარს), ბელარუსი კრივეცი კი დაახლოებით 300 ათას ევროს მიიღებს წელიწადში და მე-5-7 ადგილზეა.

"თუმცა, იანვრიდან პოლონეთის ექსტრაკლასას ყველაზე მდიდარი ლეგიონერი ქართველი ლადო დალიშვილი იქნება, რომელიც ვარშავის "პოლონიასთან" გაფორმებული კონტრაქტით გუნდისგან 2,78 მილიონ ზლოტს მიიღებს ( 875,715 დოლარს)" – წერს "სპორტპანორამა".

აქვე,სხვა წყაროც გვინდა მოვიშველიოთ: ებრაული ინტერნეტსააგენტო "ისრალენდის" გავრცელებულ ცნობას თუ გავითვალისწინებთ, ეს უნდა იყოს არა წლიური, არამედ საკონტრაქტო პერიოდში ასაღები თანხა და საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი კრივეცის "კონკურენტი" უფრო უნდა იყოს, ვიდრე ლიდერ იალიენსისა.

"ჰაიფას "მაკაბის" ბოლო სამი წლის საუკეთესო ბომბარდირი ლადო დვალიშვილი პოლონეთში იმყოფება და ვარშავის "პოლონიასთან" მოლაპარაკებას აწარმოებს. დვალიშვილი იმედოვნებს, რომ პოლონელები დათანხმდებიან ყოველ წელინადს 300 ათასი ევროს გადახდას. ქართველი თავდამსხმელი 200 ათასზეც უარს იყო. "პოლონიასთან" კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში კი, "მაკაბი" კომპენსაციის სახით 300 ათასს მიიღებს" – წერდა "ისრალენდი" დვალიშვილის პოლონეთში გადასვლამდე.

ცხადია, საბოლოოდ, ციფრები შეიცვალა, მაგრამ როგორ, ამაზე განსხვავებული ცნობებია: პოსტსაბჭოეთში ცნობილი "ცისოკერი" იუწყება, რომ დვალიშვილის 2,5-წლიან კონტრაქტში ჰაიფას "მაკაბი" 250 ათას ევროს მიიღებს, თავად ფეხბურთელი კი წელიწადში 600 ათას ევროსო – ეს კიდევ რაღაც ახალია. მოკლედ, ვერ გაიგებ, რეალურად რამდენს მიიღებს ფეხბურთელი – რასაც აიღებს, ღმერთმა შეარგოს, არ მოუპარია.

ისრაელში ჩასვლის შემთხვევაში, თურმე, ქართველს პრობლემის მოგვარებაც მოუწევს. აი, რას წერს "ისრალენდი": "პოლონეთში გადასვლამდე მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვისთვის, დვალიშვილი ისრაელის საგზაო პოლიციამ დააკავა და დააჯარიმა. სანამ მოთამაშე პოლონეთში თავის საქმეებს არკვევს, მის ადვოკატები ისრაელში სატრანსპორტო სასამართლოსგან კომპრომისული გადაწყვეტილების მიღებას იმედოვნებენ. ისინი სთავაზობენ შემდეგ ვარიანტს: დვალიშვილი აღიარებს საკუთარ დანაშაულს, გადაიხდის საკმაოდ დიდ ჯარიმას და დათანხმდება მისი მართვის მოწმობის ისრაელში ხანგრძლივი ვადით ანულირებას. სამაგიეროდ, ქართველი ლეგიონერი ისრაელში თავისუფლად ჩასვლისა და გასვლის უფლებას ითხოვს".

**მერაბ მამულაშვილი**

# შახტარის ფიზმომზადების მწვრთნელი: თარგამაძეს ჩვენი ფილოსოფია ასათვისებელი აქვს



დავით თარგამაძე

მოსამზადებელ ეტაპზე დონეცკის „შახტარმა" ბევრი შეხვედრა ჩაატარა, დათომ კი გუნდის ფორმა მეორედ მოირგო. უკვე ცნობილია, რომ **დავით თარგამაძემ** „შახტარში" პირველი გოლი შვედურ „კალმართან" "კოპა დელ სოლის" გათამაშებაზე გაიტანა.

"შახტარის" პრესსამსახურის ჟურნალისტი ფიზმომზადების მწვრთნელს, **კარლო ნიკოლინისაც** ესაუბრა. ერთ-ერთი კითხვა გუნდში დაბრუნებულ ილსინიოსა და დავით თარგამაძის ფიზიკურ მდგომარეობას შეეხებოდა.

"თარგამაძის მდგომარეობა ილსინიოსაზე ოდნავ უკეთესია, ისევე როგორც დანარჩენი მოთამაშეებისა. თუმცა, დათომ ჯერ კიდევ უნდა გაიგოს ჩვენი სტილი და თამაშის ფილოსოფია. ილსინიომ ეს ყველაფერი უკვე იცის და ჩამოსვლის შემდეგ ადაპტაციის პრობლემა არ ჰქონია. როგორც პროფესიონალებმა, ორივემ თავი კარგად წარმოაჩინა. მიმაჩნია, რომ კონკურენცია ფეხბურთელებს მოტივაციას აუმაღლებს, მათ მეტი და უკეთ მუშაობა სჭირდებათ. ხოლო ვინ მოხვდება შემადგენლობაში, მირჩა ლუჩესკუ გადაწყვეტს, რომელიც ანთალიურ შეკრებაზე შემოგვიერთდება" – ამბობს ნიკოლინი.

აღსანიშნავია, რომ უკრაინული ინტერნეტ-გამოცემა "უა-ფუტბოლმა" თარგამაძე უკრაინის პრემიერლიგის გასული წლის საუკეთესო ლეგიონერებში დაასახელა. მკითხველთა გამოკითხვაში დათომ 94 ქულა დააგროვა და სომხეთის ნაკრებისა და "შახტარის" ცენტრალურ ნახევარმცველ **ჰენრიხ მხითარიანთან** მე-12-მე-13 ადგილი გაიყო.

"უა-ფუტბოლის" მკითხველმა საქართველოს ნაკრების მოთამაშე უფრო დააფასა, ვიდრე **დარეკ ბოატენგი, მარიო ტორსილერი, მლადენ ბარტულოვიჩი, იონუც მაზილუ, გეორგ ფლორესკუ** და სხვა ცნობილი მოთამაშეები.

**მერაბ მამულაშვილი**

# გვაზავა ისევ სპარტაკში

**ლევან გვაზავამ** წლეულს იანვარში გამოაცხადა, რომ კარიერას რუსეთის პრემიერლიგის გროზნოს "ტერეკში" აღარ გააგრძელებდა.

ახლა რუსულმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ 31 წლის საყრდენი ნახევარმცველი კარიერას ნალჩიკის "სპარტაკში" განაგრძობს.

გაზეთ "სპორტ-ექსპრესის" ცნობით, თურქეთის საკურორტო დაბა სიდეში მყოფ ნალჩიკელებს გვაზავამ უკვე ჩააკითხა. ლევანი ყაბარდო-ბალყარულ კლუბში უკვე თამაშობდა. 2007 წელს ყაზანის "რუბინში" ინვევდნენ, მაგრამ ვლადივასტოკის "ლუჩ-ენერგიაში" გადასვლა ამჯობინა.

სულ გვაზავას ოთხ რუსულ კლუბში უთამაშია: 2004-2005 წლებში ვლადიკავკაზის "ალანიაში" (23 მატჩი, 1 გოლი), 2006-2007-ში "სპარტაკში" (22 მატჩი, 1 გოლი), 2007-2008 წლებში "ლუჩ -ენერგიაში" (36 მატჩი, 4 გოლი), გროზონოს "ტერეკში" კი 2009-2011 წლებში (60 მატჩი, 2 გოლი).

ასე რომ, ამიერიდან რუსეთში ქართველების ყველაზე დიდი რაოდენობა ნალჩიკის "სპარტაკში" შეიკრიბება – გვაზავას გუნდში ნახევარმცველი **გუჯა რუხაია** და თავდამსხმელი **დავით სირაძე** დახვდებიან. ეს უკანასკნელი კლუბში დიდი ხანია, რაც ირიცხება, მაგრამ გვაზავასთან ერთად არ უთამაშია – ნალჩიკში მაშინ გადავიდა, როდესაც ლევანიმ კლუბი დატოვა.

უცნაური კი ის არის, რომ რუსეთის პრემიერლიგის გუნდში სამი ქართველი თამაშობს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, არც ერთი მათგანი საქართველოს ნაკრების წევრი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**



ლევან გვაზავა

● სკანდალი



ჯონ ტერი (მარცხნივ) და ფაბიო კაპელო



დეილი მეილის ჟურნალისტმა მარტინ სამუელმა ასოციაციას გადაწყვეტილება დაუწუნა

# ლინჩის წესების საზოგადოება

**"დეილი მეილის" ჟურნალისტმა მარტინ სემუელმა ჯონ ტერისთვის კაპიტნობის ჩამორთმევაზე საკმაოდ საინტერესო სტატია დაწერა. ვფიქრობთ, ის ჩვენი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. სხვა რომ არაფერი, ეს ადამიანი 2005 და 2006 წლებში ბრიტანეთის წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტად არის დასახელებული და მთელ კუნძულზე უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**

"უდანაშაულოა, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება," - ჩვენს დროში ეს სიტყვები ფორმალობად გადაიქცა. ეს იგივეა, რაც სიტყვა "თითქოს". მოგისმენიათ, როგორ წარმოთქვამენ მას გადაცემებში, თითქოს ანეკდოტს ჰყვებიან. ისვრიან ამ "თითქოს" ეთერში, წარბს ზემოთ აწევენ და იღიმებიან. ასეა ჩვენს შემთხვევაშიც.

"ჯონ ტერი უდანაშაულოა, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცებულა," – გავაკეთოთ მცირე პაუზა კომიკური ეფექტისთვის და დაველოდოთ პუბლიკის სიცილს. საბოლოოდ ყველაფერი მიდის შეჯიბრებამდე, ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს. ვესტმინსტერიდან "ტვიტერის" გრამაფონების ხმის გადაფარვა კი შეუძლებელია. ყვირილისას ყოველთვის ძნელია მომხდარის დეტალებსა და ლოგიკაში გაერკვე. "ლინჩის წესების საზოგადოება," – ზუსტად ასე დაარქვა მათ ჩემმა ერთმა მეგობარმა. ის ფეხბურთით დიდი ხანია აღარ არის გატაცებული, მაგრამ ინსტინქტმა არ უღალატა.

თუკი საჭიროა, რომ ტერი ნაკრებიდან გავუშვათ სასამართლოს გადაწყვეტილებამდე, დაე ეს იყოს საფეხბურთო გადაწყვეტილება. თუკი **ფაბიო კაპელო** მიიჩნევს, რომ ფეხბურთელი ნაკრების ერთიანობას ხელს უშლის, იმოქმედოს და თავად გადაწყვიტოს. ის ხომ არ მოერიდა მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჯონისთვის კაპიტნობა ჩამოერთმია. მაგრამ ამჯერად პირიქით, იტალიელმა თავისი კაპიტანი დაიცვა.

როცა საკითხი გადაწყდა, კაპელო იტალიაში იყო. გამოდის, რომ მწვრთნელს 6 მილიონ ფუნტს ვუხდით და იმასაც კი არ ვანდობთ, რომ ნაკრების შესახებ გადაწყვეტილებები მიიღოს? რას ვიზამთ? მაშინ კაპელოს მემკვიდრემ ეს უნდა გაითვალისწინოს. მორიგი კრიზისი ნაკრებში აუცილებლად დადგება და ეს მოხდება მხოლოდ საფეხბურთო ასოციაციის ხელმძღვანელთა, "მენეჯმენტის ჯადოქართა" ბრალით. იტალიელის "შეუსრულებელი მისია" კი ბევრად გაიოლდა. ასოციაცია ადამიანს 6 მილიონს სპორტულ კოსტიუმში უხდის და მეტში არაფერში. თუკი მდგომარეობა გაუარესდება, პასუხს სხვა აგებს.

ალმასკომს პრესა, რა თქმა უნდა, თავს მოუქონავს და მადლობასაც გადაუხდის მკიცედ დგომისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა ის სულ სხვა რამეში შეიძლებოდა გამოხატულიყო. ასოციაცია სიმტკიცეს გამოიჩენდა მაშინ, თუკი განაცხადებდა, რომ ადამიანმა არ შეიძლება დაკარგოს სამუშაო ისე, რომ თავისი სახელის სასამართლოში დაცვის უფლება არ დარჩეს და მიუხედავად იმისა, რომ საქმის გადაწყვეტა ჭიანურდება, საჭირო იყო, ბოლომდე დავლოდებოდით მას.

**ემანუელ ფრიმპონგი** ("ვულვერჰემპტონი") უერთდება "ტვიტერის" ბრალმდებელთა რიცხვს და წერს: "ანტონ ფერდინანდს ნაკრებში რომ ეთამაშა და რასიზმში ყოფილიყო ბრალდებული, ასოციაცია დაელოდებოდა კი საქმის გადაწყვეტას?" განა რა, ასოციაცია წყვეტს სასამართლოს სხდომათა თარიღებს? ფრიმპონგის სიტყვები კიდევ ერთი მტკიცებულებაა ტერის მიმართ საზოგადოების ცუდი წინასწარი განწყობისა. ჯეისონ რობერტსმა (რედინგი) ამჟამინდელი ვითარება 2003 წელს რიო ფერდინანდის სიტუაციას შეადარა, როცა რიო ნაკრებიდან დროებით მოკვეთეს დოპინგსკანდალის გამო. მას დაავიწყდა მთავარი განსხვავება. ფერდინანდის შემთხვევაში რაიმე განსაკუთრებული მტკიცებულება საჭირო არ იყო. ის არ გამოცხადდა დოპინგტესტზე და მორჩა. ვერდიქტი მაშინ თავიდანვე ცხადი იყო. ეს ორი მოვლენა რომ შეგვედარებინა, საჭირო იყო, რომ ტერის ანტონ ფერდინანდი კამერების წინ გაელანძღა. მაშინ ეს ყველასთვის გასაგები იქნებოდა და არავინ დაუცდიდა სასამართლოს განაჩენს. გადაწყვეტილებას მაშინვე მიიღებდნენ და ხმასაც არავინ ამოიღებდა.

რასიზმს თავისთავად არავინ ამართლებს. თუმცა არსებობს ფაქტი: ტერი აცხადებს, რომ ის უდანაშაულოა. თუკი მისი სიტყვები სიმართლე აღმოჩნდება, მაშინ სიტუაცია კიდევ უფრო უსიამოვნო იქნება, რადგან ისევე როგორც რასიზმს, ცრუ ბრალდებასაც არ მოეძებნება გამართლება. მით უფრო, რომ ასოციაცია ტერის დამნაშავედ მიიჩნევს განაჩენის გამოტანამდე.

ტერის შეეძლო არ ეთამაშა "ქუინზ პარკის" წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვინმეს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ ეს ტაქტიკური სვლა იყო ანტონ ფერდინანდთან შეხვედრის თავიდან ასარიდებლად. ჯონი მოედანზე იყო. სინამდვილეში მას მუხლის სერიოზული ტრავმა აქვს. არ არის გამორიცხული, რომ ჰოლანდიასთან უახლოესი სანაკრებო შეხვედრის გამოტოვებაც მოუხდეს. ასეთ შემთხვევაში მას სეზონის ბოლომდე მიეცემა იმაზე ფიქრის საშუალება, წავიდეს თუ არა ევრო 2012-ზე. რა იქნება მისთვის გადამწყვეტი, ასოციაციისგან მხარდაჭერის ნაკლებობა თუ კაპელოს მხარში დგომა. მან ხომ უკვე განუცხადა ფეხბურთელს, რომ ის მისთვის ნამდვილ კაპიტნად დარჩება, რადგან საუკეთესო კანდიდატად მიიჩნევს ამ პოსტზე. სასაცილოა, თუკი ვინმე ფიქრობს, რომ მწვრთნელმა ეს შეცოდების გამო თქვა. უბრალოდ კაპელო დარწმუნდა, რომ ინგლისურ ფეხბურთში ნაკრების კაპიტანი ეს არის ნამდვილი ლიდერი. სტივ ჯერარდმა კი ამ ტვირთს 2010-ში ვერ გაუძლო.

ტერის კი ერთი რამ დარჩა გადასაწყვეტი: წავა თუ არა ევროპის ჩემპიონატზე და ამით მისცემს თუ არა საზოგადოებას მისი ლინჩის წესით გასამართლების საშუალებას. ყველა იმ ადამიანს კი, ვინც შერცხვენილ ექსკაპიტანზე, მეორედ კაპიტნობის პატივაყრილ ადამიანზე წერს, ჩუმად შევახსენებ, რომ ტერი "უდანაშაულოა, სანამ საწინააღმდეგო არ დამტკიცდება".

● პრემიერლიგა. XXIV ტური

# ფერე ემოციების ფონზე

თამაშის დასრულების შემდეგ "ლივერპულის" მავანმა გულშემატკივარმა ინტერნეტში ემოციები გადმოანთხია და თქვა ის, რასაც ალბათ დიდი ხანია ბევრი ფიქრობს, თუმცა ჯერჯერობით ასე ლაკონურად სათქმელი ცოტას თუ ჩამოუყალიბებია: *"თამაშის შემდეგ იცით, რატომ დარჩა ხალხს შთაბეჭდილება, რომ ენდი კეროლმა მოინდომა კარგად თამაში? იმიტომ, რომ მან უკვე დაამტკიცა, თუ რა ცუდად შეუძლია თამაში და ახლა, როცა რაღაცას მაინც ცდილობს და თუნდაც მიზერული რამ გამოსდის, ამბობენ, ყოჩაღ, ენდი, აი, ყოჩაღ, ცდილობს ბიჭი, მეტი რა ქნასო. სხვების მიმართ კი ხალხი სხვა სტანდარტებით მსჯელობს. წარმოიდგინეთ, რომ სპირინგმა ზუსტად ისე მიიღოს ბურთი, როგორც ეს არა ერთხელ და ორჯერ გააკეთა კეროლმა. რა მოხდება? ბურთს წაართმევენ და რეინას გაუტანენ. "ნიუკასლში" გაჰქონდა, იმიტომ, რომ იქ სულ სხვა ფეხბურთია. დააბრუნეთ უკან და ისევ გაიტანს. ჩვენთან კი, ბოდიშის მოხდით, მაგრამ მძორივით არის".*

გეთანხმებით, ამ ადამიანის სიტყვებში ემოციები ჭარბობს, მაგრამ გვეჩვენება, რომ გულწრფელად აღწერს სიტუაციას. "ლივერპულმა" მიმდინარე სეზონში "ენფილდზე" მერვე შეხვედრა დაამთავრა ფრედ და აქედან სამი გატანილი ბურთის გარეშე. მერსისაიდელებს იმან, რომ "ტოტენჰემი" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდა ("დეზებს" **ვან დერ ვაარტი, იუნეს კაბული** და **ჯერმეინ დეფო** არ ჰყავდათ) ვერ უშველა, ვერც იმან, რომ ძლიერი თოვლისა და არასაფრენი ამინდის გამო მორიგი სასამართლო სხდომის შემდეგ ლონდონიდან ლივერპულში ჩასვლა ვერ მოახერხა **ჰარი რედნაპმა** და გუნდი მოედანზე **კევინ ბონდმა** გაიყვანა და ვერც იმან, რომ გუნდს **ლუის სუარესი** დაუბრუნდა. მოკლედ, მათი საშველი ჯერჯერობით არ ჩანს.

პირველი ტაიმში ყველაზე საინტერესო რაც მოხდა, ეს "ენფილდზე" კატის გასეირნება იყო. წმინდა საფეხბურთო მოვლენებიდან კი აღსანიშნავია საჯარიმოში **მაიკლ დოუსონისა** და **ენდი კეროლის** ორთაბრძოლა, როცა სტუმართა მცველმა ახმახ მეტოქეს ბურთი სუფთად აართვა. ჰო, ცოდვა ბრედ ფრიდელის ნახტომი. ვეტერანმა ამერიკელმა **გლენ ჯონსონის** დარტყმა ფეხით აილო. მეორე ნახევარში "ლივერპულმა" ტემპს მოუმატა და მომენტები უფრო მეტად იქმნებოდა, თუმცა რაიმე ისეთი, რაც გულშემატკივარს გულში ჩარჩებოდა, არაფერი. 66-ე წუთზე მოედანზე **ლუის სუარესი** შევიდა და ორიოდე წუთში ისეთი რამ გააკეთა, რომ არბიტრს მისთვის პირდაპირ წითელი ბარათი უნდა ეჩვენებინა. ურუგვაელმა **სკოტ პარკერს** მაღალი ბურთისთვის ბრძოლისას ბურთი პირდაპირ მუცელში ჩააზილა. ბედი მისი, რომ "ენფილდზე" მატჩს 26 წლის **მაიკლ ოლივერი** სჯიდა, მსაჯი ვის ანგარიშზეც წელს ყველაზე ცოტა ყვითელი ბარათია. არადა, მას ვერც გამოუცდელობას დავაბრალებთ. ოლივერის ანგარიშზე მიმდინარე სეზონში მარტო პრემიერლიგაში 13 თამაშია (სულ 30). 74-ე წუთზე ზუსტად ის მომენტი მოხდა, რამაც "წითლების" გულშემატკივარს ყველაზე მეტად დასწყვიტა გული. ენდი კეროლმა გოლის გატანა კარიდან 5-6 მეტრში მყოფმა ვერ მოახერხა. "ტოტენჰემს" მოგებაც შეეძლო, როცა **პეპე რეინასთან** პირისპირ **გარეთ ბეილი** დარჩა, თუმცა უელსელმა დუელი წააგო.

**მატჩის შემდეგ**

**კენი დალგლიში** (ლივერპული): *"ის, თუ როგორ ვითამაშეთ, ძალიან მომეწონა. მეტოქე ძლიერი პრესინგის ქვეშ მოვაქციეთ, თუმცა გოლის გატანა ვერ მოვახერხეთ. დარწმუნებული ვარ, ეს რომ მოგვეხერხებინა, შანსს ხელიდან ნამდვილად აღარ გავუშვებდით. "ტოტენჰემმა" მომენტი ჩვენს კართან პრაქტიკულად ვერ შექმნა. სამწუხაროა, რომ მხოლოდ ქულა მოვიპოვეთ, რადგან აშკარად მეტს ვიმსახურებდით".*

**კევინ ბონდი** (ტოტენჰემის მწვრთნელი): *"დღეს ჩვენ ნამდვილად ვერ შევძელით იმ ფეხბურთის ჩვენება, რაც გვჩვევია. პირველ ტაიმში ცოტა უკეთ გამოვიყურებოდით, მეორეში ძალა გამოგველია, ამიტომ იყო მატჩის ბოლოს ძალიან რომ გაგვიჭირ-*



პარკერისა და ჯერარდის გუნდები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ

● ამბები

## რეინჯერსის ბოსი BBC-ის უჩივის

გასული წლის ოქტომბერში BBC-ის ჟურნალისტებმა "რეინჯერსის" მფლობელის **კრეიგ უაიტის** ბიზნესსაქმიანობასთან დაკავშირებით დამოუკიდებელი გამოძიება დაიწყეს და ამ ხნის განმავლობაში მოკვლეული მასალები ეთერში ამ დღეებში გადასცეს: მათ აღმოაჩინეს, რომ 2000 წელს სასამართლოს მისთვის კრედიტორების სასარგებლოდ სოლიდური თანხის გადახდა დაუკისრებია, ეს მაშინ, როცა თავად ვალის არსებობას საერთოდ უარყოფდა. ამას გარდა დოკუმენტურ ფილმში ლაპარაკი იყო იმაზეც, რომ ბიზნესმენმა ერთ-ერთ თავის ყოფილ კომპანიას სასამართლოში უჩივლა, სადაც თურმე მან საეჭვო ჩვენება მისცა და საქმე მოიგო. ბუნებრივია, უაიტი ყოველივემ ძალიან გაალიზიანა, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, ის ამით თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევს და ტელეკომპანიის წინააღმდეგ სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას.



## ბობი ჩარლტონი უკეთ არის

"მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ლეგენდარული ფეხბურთელმა სერ **ბობი ჩარლტონმა** რამდენიმე დღის წინ თავი შეუძლოდ იგრძნო. 74 წლის ვეტერანმა ექიმს მიაკითხა, ვინც დაადგინა, რომ მას ნაღვლის ბუშტში გამაგრებული პატარა კენჭები აწუხებდა. ჩარლტონს სასწრაფოდ ჩაუტარდა მცირე ოპერაცია და როგორც ESPN იტყობინება, ის თავს ამჟამად უკვე უკეთ გრძნობს.

გვერდი მოამზადა
ლევან **ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

● სერია A კვირის შეჯამება

# ბევრი გოლი, ბევრი თოვლი

## გმირები და ანტიგმირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ კვირას, სერია A-ს ორი არასრული ტური გაიმართა და შესაბამისად, დღეს არა ერთი კონკრეტული ტურის, არამედ მთელი კვირის შეჯამებას შემოგთავაზებთ. საინტერესო მართლაც ბევრი მოხდა: გოლებიც უხვად გავიდა, თრილერებიც ვიხილეთ, მაგრამ კვირის მთავარი თემა მაინც ამინდი იყო. დიახ, ამინდი, რომელმაც იტალიურ საკლუბო ფეხბურთში სრული ქაოსი გამოიწვია. თავად განსაჯეთ, უამინდობის გამო, შუა კვირას დაგეგმილი XXI ტურის ოთხი შეხვედრა გადაიდო, რასაც XXII ტურის ერთი მატჩის გადადებაც დაემატა. შედეგად, გუნდების ნაწილს 22-22 მატჩი აქვთ ჩატარებული, მეორე ნაწილს 21-21, „კატანიას" კი შეხვედრების გრაფაში სულაც 19 უწერია. საგულისხმოა, რომ სიცილიელებს მე-20 მატჩამდე არც მეტი, არც ნაკლები, 30 წუთი აშორებთ. თოვლი თოვლად და ჩვენ განვლილი კვირის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემას შევეხოთ...

### კვირის მოვლენა

კვირის ერთ-ერთი მთავარი მოვლენა **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** დისკვალიფიკაცია გახლავთ - „მილანის" ფორვარდი არასპორტულად მოიქცა, ნეაპოლელ **სალვატორე არონიკას** წაუთაქა და წითელი ბარათი მიიღო, რისთვისაც 3-მატჩიანი უქმობა მოუწევს. მილანელები „ლეგა კალჩოს" სადისციპლინო კომიტეტში აპელაციის შეტანას აპირებენ, თვითონ იბრამაც ბოდიში მოიხადა, რაც შეიძლება შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნიონ და ვნახოთ, გამოილებს თუ არა ეს ყველაფერი შედეგს; თუ გამოილო, აუცილებლად გამცნობთ, თუ არა და ზლატანი „მილანის" მეტად პრინციპულ პაექრობებს გამოტოვებს - ჯერ „უდინეზესთან", შემდეგ „ჩეზენასთან" და ბოლოს „იუვენტუსთან".

**კვირის სიმბოლური ნაკრები**

**პეგოლო** (სიენა) - **ცუნიგა** (ნაპოლი), **გრანკვისტი** (ჯენოა), **როსეტინი** (სიენა), **პასკუალი** (ფიორენტინა) - **ლულიჩი** (ლაციო), **იანკოვიჩი** (ჯენოა), **პიანიჩი** (რომა) - **მიკოლი** (პალერმო), **მილიტო** (ინტერი), **ბორინი** (რომა).

კვირის სიმბოლური ნაკრები 4-3-3 ტაქტიკით განვალაგეთ და ამისთვის საკმარისზე მეტი საბაბი გვქონდა - თავად განსაჯეთ, თავდასხმის ტრიოზე 11 გოლი მოდის. **ფაბრიციო მიკოლიმ** „ინტერს" ჰეთთრიკი შეუსრულა, რასაც „ატალანტას" კარში გატანილი თერთმეტმეტრიანი მიაყოლა. **ფაბიო ბორინიმ** ჯერ „კალიარის" გაუტანა კინკილა, შემდეგ კი „ინტერის" დაცვა დაჩაგრა და **ჟულიო სეზარს** ორჯერ გამოაღებინა ბურთი კარიდან. რაც შეეხება **დიეგო მილიტოს**, მან მხოლოდ ერთ შეხვედრაში იხეირა, თუმცა ერთბაშად ოთხი გოლი გაიტანა და ბუნებრივია, რომ სომბოლურში დაიბევა ადგილი.

შედეგიანობა არც ნახევარმცველებს აკლიათ - მაგალითად, გენუელმა **იანკოვიჩმა XXII** ტურში გაიბრწყინა და „ლაციოს" დუბლი შეუსრულა. „ინტერთან" შეხვედრაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა **მირალემ პიანიჩმა**, რომლისთვისაც პირველი არ არის რჩეულთა შორის მოხვედრა. იგივე შეიძლება ითქვას „ლაციოს" შუახაზელ **ლულიჩზე**, რომელმაც „მილანთან" პაექრობაში საუკეთესო თვისებები წარმოაჩინა. მცველებზე აღარ შევჩერდებით, კარში კი „სიენას" კიპერი **პეგოლო** ჩავაყენეთ, რომელმაც „იუვენტუსს" გოლის გატანის საშუალება არ მისცა.

### კვირის გმირები

გასულ კვირას ორი გმირი ჰყავდა: ფაბრიციო მიკლოლი და დიეგო მილიტო - პირველმა ჰეთ თრიკი შეასრულა, მეორემ კი სულაც - პოკერი. თანაც, ეს ყველაფერი ერთ შეხვედრაში მოხდა, რომელიც „ინტერმა" და „პალერმომ" ფრედ, 4:4 დაასრულეს. ამ თამაშის პერიპეტიებზე XXI ტურის მიმოხილვაში ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ, პირდაპირ გმირებს გადავცეთ სიტყვა, რომლებსაც ეს მატჩი არასდროს დაავიწყდებათ...



ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეცდომა აღიარა







ტურის გმირები: ფაბრიციო მიკოლი და დიეგო მილიტო



თოვლის გამო სერია A-ს 5 შეხვედრა გადაიდო

ფაბრიციო მიკოლი: *„არის თამაშები, როდესაც ყველაფერი გამოგდის და ასეთ დროს თითქოს შეუჩერებელი ხარ. „ინტერთან" მატჩი სწორედ ასეთთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და ძალიან მიხარია, რომ გულშემატკივრებს ჩემი თამაშით სიამოვნება მივანიჭე. რაც მთავარია, საჭირო ქულა ავიღეთ და წარმატებული სერია გავაგრძელეთ - დღეს, „პალერმო" ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე სეზონის პირველ ნახევარში".*

დიეგო მილიტო: *„გაორებული შეგრძნება მაქვს - ერთი მხრივ, პოკერი შევასრულე და ამით ამაყი ვარ, მაგრამ მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ. ვადანაშაულებ თუ არა ჩემს თანაგუნდელებს? - როგორ გეკადრებათ, ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ერთად ვიტანთ და ერთად ვუშვებთ. მაინც მგონია, რომ სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივრებმა ნანახით სიამოვნება მიიღეს, ეს კი ფეხბურთის მთავარი ფასეულობაა".*

**კვირის ფრაზა**

**ხავიერ ძანეტი (ინტერის კაპიტანი რომასთან განადგურების შემდეგ):** *„თითქოს ვილაცამ ჯადო გაგვიკეთა და 90 წუთი ფეხები შეგვიბოჭა - ასეთი რამ არასდროს დაგვმართნია".*

**გლობალური სტატისტიკა**

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური, მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ინტერი-ნაპოლი 0:3 (VI ტური), კალიარი-ლაციო 0:3 (X), ნოვარა-ფიორენტინა 0:3 (XVII), კიევო-ლაციო 0:3 (XX).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** პალერმო-ჯენოა 5:3 (XIX ტური), ინტერი-პალერმო 4:4 (XXI).

**სერიები**

მოგება: **ფიორენტინა - 2 თამაში**
წაგება: **კიევო - 2**
წაუგებლად: **იუვენტუსი - 21**
მოუგებლად: **ნოვარა - 9**

**გუნდური სტატისტიკა**

საუკეთესო თავდასხმა: 43 გოლი - მილანი; 36 - ნაპოლი, რომა; 34 - ინტერი, ლაციო.

საუკეთესო დაცვა: 13 გაშვებული - იუვენტუსი; 19 – ფიორენტინა, მილანი; 20 - უდინეზე.

უარესი თავდასხმა: 13 გოლი - ჩეზენა; 18 - ბოლონია; 19 - კიევო, ნოვარა.

უარესი დაცვა: 42 გაშვებული - ნოვარა; 38 – ლეჩე, ჯენოა; 34 - პარმა.

ზუსტი გადაცემები: 12189 - მილანი; 11623 - რომა; 11326 - იუვენტუსი.

კარის მიმართულებით დარტყმები: 377 - იუვენტუსი; 352 - რომა; 336 - მილანი.

კარში დარტმები: 136 - იუვენტუსი; 119 - მილანი; 115 - რომა.

**ინდივიდუალური სტატისტიკა**

**ბომბარდირები:** 14 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 12 - ხერმან დენისი (ატალანტა), ედინსონ კავანი (ნაპოლი), მიროსლავ კლოზე (ლაციო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა).

**ასისტენტები:** 9 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 8 - პაბლო არმერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა); 6 - ალბერტო აკვილანი (მილანი), ჯიბრილ სისე (ლაციო); 5 - ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

**ზუსტი პასები:** 1625 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1444 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1352 - დანიელე დე როსი (რომა); 1312 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1270 - ტიაგო სილვა (მილანი); 1194 - ლუკა ჩიგარინი; 1071 - მიგელ ველოზო (ჯენოა).

**კარის მიმართულებით დარტყმები**
99 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 83 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 75 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 74 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 72 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 68 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 61 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

**კარში დარტყმები:** 45 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 33 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 30 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 29 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 28 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 26 - ხერმან დენისი (ატალანტა); 24 - მიროსლავ კლოზე (ლაციო); 22 - ადრიან მუტუ (ჩეზენა); 19 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 17 - მარკო რიგონი (ნოვარა).

**ჯარიმები:** 57 - ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 53 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 52 - ხუან კუადრადო (ლეჩე); 50 - ხერმან დენისი (ატალანტა); 49 - სტეფანო მორონე (პარმა); 48 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 47 - მაქსი ლოპესი (მილანი), ჯამპიერო პინცი (უდინეზე).

**ციფრები და ფაქტები**

**- მეოთხე სეზონია ზედიზედ, რაც „ბოლონიას" ერთი საშინაო თამაში მაინც გადააქვს დიდთოვლობის გამო;**

■ ■ ■

- დიეგო მილიტოს „პალერმოს" კარში 10 გოლი აქვს გატანილი, ამდენი გოლი მას სხვა არც ერთი გუნდისთვის არ გაუტანია;

■ ■ ■

**- დიეგო მილიტომდე, „ინტერის" ბოლო ფეხბურთელი, რომელმაც ერთ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა, კრისტიან ვიერი გახლდათ, რომელმაც 2002 წელს „ბრეშასთან" შეასრულა პოკერი;**

■ ■ ■

- „პალერმოს" უკვე 4 თამაშია არ წაუგია;

■ ■ ■

- „ლაციომ" პირველად დაამარცხა „მილანი" 1998 წლის 4 თებერვლის შემდეგ;

■ ■ ■

- „ნაპოლის" 5 თამაშია არ მოუგია;

■ ■ ■

**- „უდინეზეს" ჯერ კიდევ არ წაუგია არც ერთი საშინაო თამაში;**

■ ■ ■

- „რომას" „კალიარისთვის" გასვლაზე 1995 წლის შემდეგ აღარ მოუგია;

■ ■ ■

**- სერჯო პელისიემ „ნოვარას" კარის დალაშქვრით მეასე გოლი გაიტანა „კიევოს" შემადგენლობაში;**

■ ■ ■

- პირველად ისტორიაში, „ინტერმა" მიჯრით ორ შეხვედრაში გაუშვა 4 გოლი;

■ ■ ■

**- კლაუდიო რანიერის სამწვრთნელო კარიერაში სერია A-ს 600 მატჩია: 269 მოგება, 186 ფრე და 145 წაგება;**

■ ■ ■

- „ჯენოამ" მიჯრით მე-4 საშინაო შეხვედრა მოიგო;

■ ■ ■

**- „ჯენოას" მონაწილეობით გამართულ ბოლო 6 შეხვედრაში 33 გოლი გავიდა;**

■ ■ ■

- „პარმას" 4 თამაშია არ წაუგია;

■ ■ ■

**- „კიევომ" მიჯრით მეორე საშინაო თამაში წააგო;**

■ ■ ■

- „უდინეზემ" ბოლო სამი გასვლითი მატჩი წააგო;

■ ■ ■

**- „იუვენტუსმა" პირველად ვერ გაიტანა საკუთარ მოედანზე გასული წლის მარტის შემდეგ;**

■ ■ ■

- „იუვენტუსი" ჯერ არ დამარცხებულა მიმდინარე ჩემპიონატში;

■ ■ ■

**- „იუვენტუსი" ბოლო 18 საშინაო შეხვედრაში არ დამარცხებულა ყველა ტურნირის მასშტაბით;**

■ ■ ■

- ჯანლუიჯი ბუფონმა მე-600 შეხვედრა ჩაატარა პროფესიულ კარიერაში;

■ ■ ■

**- „ნოვარამ" პირველად შეინახა კარი მშრალად მიმდინარე ჩემპიონატში;**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 21 | 12 | 9 | 0 | 33-13 | 45 |
| 2. მილანი | 22 | 13 | 5 | 4 | 43-19 | 44 |
| 3. უდინეზე | 22 | 12 | 5 | 5 | 33-20 | 41 |
| 4. ლაციო | 22 | 11 | 6 | 5 | 34-22 | 39 |
| 5. ინტერი | 22 | 11 | 3 | 8 | 34-29 | 36 |
| 6. რომა | 21 | 10 | 4 | 7 | 35-25 | 34 |
| 7. ნაპოლი | 22 | 7 | 10 | 5 | 36-24 | 31 |
| 8. პალერმო | 22 | 9 | 4 | 9 | 32-32 | 31 |
| 9. ჯენოა | 21 | 9 | 3 | 9 | 31-40 | 30 |
| 10. ფიორენტინა | 21 | 7 | 7 | 7 | 23-19 | 28 |
| 11. კალიარი | 22 | 6 | 9 | 7 | 20-22 | 27 |
| 12. პარმა | 21 | 7 | 6 | 8 | 27-34 | 27 |
| 13. კიევო | 21 | 6 | 6 | 9 | 17-27 | 27 |
| 14. კატანია | 19 | 5 | 8 | 6 | 22-28 | 23 |
| 15. ატალანტა | 21 | 7 | 8 | 6 | 25-27 | 23 |
| 16. ბოლონია | 21 | 5 | 7 | 9 | 18-26 | 22 |
| 17. სიენა | 21 | 4 | 8 | 9 | 21-22 | 20 |
| 18. ლეჩე | 22 | 4 | 5 | 13 | 22-38 | 17 |
| 19. ჩეზენა | 21 | 4 | 4 | 13 | 13-31 | 16 |
| 20. ნოვარა | 21 | 2 | 7 | 12 | 18-40 | 13 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

**მომდევნო ტური და გადადებული მატჩები**

**7 თებერვალი:** კატანია-რომა
**9 თებერვალი:** ლაციო-ჩეზენა
**11 თებერვალი:** უდინეზე-მილანი, კალიარი-პალერმო.
**12 თებერვალი:** პარმა-ფიორენტინა, კატანია-ჯენოა, ატალანტა-ლეჩე, ინტერი-ნოვარა, ბოლონია-იუვენტუსი.
**13 თებერვალი:** ნაპოლი-კიევო, სიენა-რომა.
**15 თებერვალი:** ატალანტა-ჯენოა, პარმა-იუვენტუსი.
**17 თებერვალი:** ინტერი-ბოლონია, ფიორენტინა-ნაპოლი.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ჩელსი

# რეკონსტრუქცია ლონდონში

"ჩელსის" გარშემო საინტერესო მოვლენები ვითარდება. ჯერ კიდევ "მანჩესტერ იუნაიტედთან" შეხვედრამდე კობემის ბაზას "არისტოკრატთა" ბოსი **რომან აბრამოვიჩი** ეწვია და ამბობენ, მწვრთნელისთვის ეს ვიზიტი ერთგვარი გაფრთხილებაც იყოო. პრესამ ამ სტუმრობას რატომღაც ჩვეულებრივზე მეტი ყურადღება დაუთმო. ზოგან ისიც კი დაიწერა, რუსი მილიარდერი თამაშის შემდეგ **ანდრე ვილაშ ბოაშს** წაეჩხუბაო.

ხმებს კლუბის პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, ბუნებრივია, "ჩელსი" უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. "არისტოკრატთა" პრესსამსახურის წარმომადგენელმა ჟურნალისტებთან შემდეგი რამ განაცხადა: "ბატონ აბრამოვიჩს უყვარს კლუბის ბაზაზე სტუმრობა და ვარჯიშისთვის თვალის დევნება. ამჯერად მან დრო შაბათს გამონახა და ფეხბურთელებს ეწვია. მასა და ვილაშ ბოაშს შორის ჩვეულებრივი, საქმიანი საუბარი შედგა". თუმცა "დეილი მეილი" ჯიუტად ამტკიცებს, რომ თამაშის შემდეგ მათი საუბარი სულაც არ იყო მშვიდი და ის შეეხებოდა თემას, რამდენად შესაფერისი კანდიდატურაა პორტუგალიელი მწვრთნელი ლონდონური კლუბისთვის.

კომენტარი ისურვა ანდრე ვილაშ ბოაშმაც. აი, რა თქვა მან: "ჩვენ ვიცით, რა მიზნებიც იყო დასახული კლუბის წინაშე სეზონის დასაწყისში და ყველანაირად ვეცდებით, რომ ის ჩემპიონატის დარჩენილ 14 შეხვედრაში შევასრულოთ. რომან აბრამოვიჩი დაინტერესდა, "მანჩესტერთან" შეხვედრისთვის მზადების დეტალებით. მას მსგავსი წვრილმანები ყოველთვის იზიდავდა. უბრალოდ მშვენიერია, როცა გუნდის მესაკუთრეს მარტო სატურნირო ცხრილში არსებული რეალობა კი არა, ფეხბურთელების ყოველდღიურობაც აინტერესებს. ჩვენ ყველაზე მეტი უახლოეს შეხვედრაზე ვილაპარაკეთ, თუმცა მომავალი სეზონის გეგმებიც განვიხილეთ. ვიმსჯელეთ იმაზე, თუ რისი გაკეთება დაგვჭირდება მოსამზადებელ პერიოდში. გუნდის რეკონსტრუქციას ყოველთვის სჭირდება გარკვეული დრო და ამას უნდა შევეგუოთ".



ლონდონელთა ბანაკში შექმნილ მდგომარეობაზე ჟურნალისტებთან "ჩელსის" ყოფილმა ვარსკვლავმა **მარსელ დესაიმაც** ილაპარაკა. "ვილაშ ბოაშს გუნდში ძალიან ბევრი ისეთი რამის შეცვლა მოუწევს, რაც დიდი ხანია უკვე შესაცვლელია. განსაკუთრებით ეს შემადგენლობას ეხება. რამდენიმე ისეთმა ფეხბურთელმა, ვისიც გუნდში დიდი იმედი ჰქონდათ, ვერ გაამართლა. აქ ისეთი ფეხბურთელებიც არიან, რომლებიც მოვიდნენ თუ არა, აჩვენეს, თუ რა შეუძლიათ. ახლა ყველა "მანჩესტერთან" მატჩზე ლაპარაკობს. შეხვედრა როცა დაიწყო, პირველ რიგში იმაზე დავფიქრდი, რომ მოედანზე ლემპარდი, დროგბა, რამირესი და ტერი არ იყვნენ. მათ რომ ეთამაშათ, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. თუმცა მოხდა ის, რაც მოხდა. ვფიქრობ, რომ თუკი გუნდი მაქსიმალურად დიდხანს განაგრძობს თამაშს ჩემპიონთა ლიგაში და ჩემპიონატშიც მესამე ადგილს დაიკავებს, სეზონი შეიძლება რომ წარმატებულად მივიჩნიოთ. ვვარაუდობ, რომ გუნდის გეგმებში შესაძლოა ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებაც შედიოდეს. მხოლოდ სეზონის დამთავრების შემდეგ გავიგებთ, რა მიზნები იყო დასახული ვილაშ ბოაშის წინაშე. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში მეჩვენება, რომ მას გუნდთან სამუშაოდ მეტი დრო სჭირდება".



**ლევან ბიბილაშვილი**

იტალიის თასი. ნახევარფინალი

# იბრაჰიმოვიჩი თასზე დაიხარჯება

| დღეს: | |
|---|---|
| მილანი-იუვენტუსი | 23.45 |
| **ხვალ:** | |
| სიენა-ნაპოლი | 23.45 |

"მილანი" "იუვენტუსის" წინააღმდეგ – ეს იტალიური ფეხბურთის კლასიკაა და არ აქვს მნიშვნელობა, ეს გუნდები ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის ფინალში ხვდებიან, სერია A-ში თუ ნაკლებად პრესტიჟულ იტალიის თასზე... თუმცა, აშკარად გადავამეტეთ – ლიგის ფინალი, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია და ეს ცხადზე ცხადია, მაგრამ არც დღეს დაგეგმილი შეხვედრა უნდა იყოს უინტერესო. მით უმეტეს, აპენინური ფეხბურთის ყველაზე ტიტულოვანი გუნდები ორმატჩიან დუელში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

"მილანის" ლაზარეთი რომ სავსეა და მასიმილიანო ალეგრის ბევრი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე უწევს ფონს გასვლა, ეს დიდი ხნის ამბავია. საერია A-ს მომდევნო სამ ტურში "როსონერის" თავკაცი **ზლატან იბრაჰიმოვიჩსაც** მოისაკლისებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ალეგრის** შეუძლია შვედი ფორვარდი სწორედ სათასო პაექრობაში დატვირთოს და სულაც არ ინერვიულოს იმაზე, რომ წამყვანი მოთამაშე შეიძლება გადაეღალოს. იბრას ალბათ **რობინიო** შეუწყვილდება, ფორვარდთა უკან კი **სტეფან ელ შაარავი** გაირჯება. დიდია შანსი, მოედანზე გასვლის საშუალება ფილიპო **ინძაგისაც** მიეცეს, რომელსაც სათასო პაექრობებში უფრო უწევს ასპარეზობა.

რაც შეეხება "იუვენტუსს", აქედანვე ცნობილია, რომ **ალესანდრო დელ პიერო** ძირითად შემადგენლობაში იქნება – ეს თვით ტურინელთა მთავარმა მწვრთნელმა, ანტონიო კონტემ განაცხადა და არ გვაქვს საფუძველი, რომ არ დავუჯეროთ. იქვე დასძინა, სხვას ვერაფერს გეტყვით და ჯობია თამაშს დაველოდოთო. იტალიელ ჟურნალისტთა ვარაუდით, ალექსს შეტევაში მარკო ბორიელოსთან და მარსელო ესტიგარიბიასთან ერთად მოუწევს ასპარეზობა – ანუ, ალესანდრო მატრის დასვენების საშუალება მიეცემა. ვნახოთ, კონტეს გადაწყვეტილებები ხშირად არ ექვემდებარება პროგნოზებს და დიდად არც ღირს მარჩიელობა – წინ კი მართლაც დიდი მატჩია და მერე რა, რომ "მილანი" და "იუვენტუსი" ერთმანეთს მხოლოდ იტალიის თასს ეცილებიან.

**ლაშა წიკლაური**



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

ვარსკვლავი

# ლეო მესი, ქველმოქმედი მეღვინე

არგენტინელი სუპერვარსკვლავი **ლიონელ მესი** აპრილიდან მსოფლიოს ღვინის მარკეტებს ახალი ბრენდით მოამარაგებს. „ლეო ვაინსი" პლანეტაზე არგენტინულ ღვინოებს გაუწევს რეკლამას, ხოლო მოგების დიდი ნაწილი უნარშეზღუდული ბავშვების ფონდს გადაერიცხება. სხვათა შორის, ერთ-ერთი პირველი „ლეოს" „კამპ ნოუს" ბარები მიიღებენ. ღვინო არგენტინული, კერძოდ კი მენდოსას პროვინციიდანაა, რომელიც მთელ სამხრეთ ნახევარსფეროშია განთქმული კარგი ღვინოებით. თავად მესი ქალაქ როსარიოდან არის წარმოშობით.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლეოს ახალი გატაცება

ამბები

## 16 წლის არისტოკრატი

"ბრონდბიუს" 16 წლის მცველმა **ანდრეას კრისტენსენმა** კონტრაქტი "ჩელსისთან" გააფორმა და ლონდონური გრანდის ღირსებას მომდევნო სეზონიდან დაიცავს. პერსპექტიული ფეხბურთელის გადაბირება "ლივერპულს", "ასტონ ვილასა" და "არსენალსაც" სურდათ, თუმცა "ლურჯებმა" ყველას დაასწრეს. ანდრეასთან პროფესიული ხელშეკრულება მას მერე გაფორმდება, რაც ფეხბურთელს 17 წელი შეუსრულდება.

## ანჩელოტის კიდევ ერთი მეგობარი

"პარი სენ-ჟერმენის" სამწვრთნელო შტაბში **კარლო ანჩელოტის** კიდევ ერთი ძველი ნაცნობი დასაქმდა. კარლეტოს ერთად "პარმასა" და "ჩელსიში" მისი ყოფილი თანაშემწე **ლუიჯი ლა სალა** იმუშავებს. ლა სალას მომავალ მეტოქეზე მაქსიმალური ინფორმაციის მოგროვება და ვიდეოანალიზი დაევალება.

## არსენალი ოლიმპიადას აზიაში დაემალება

მოგეხსენებათ, მომავალ ზაფხულზე (27 ივლისი-12 აგვისტო) ლონდონში ზაფხულის ოლიმპიური თამაშები გაიმართება. სწორედ ამ პერიოდში "არსენალი" ლონდონში ტრადიციულად "ემირითს ქაფის" გათამაშებას მასპინძლობდა ხოლმე. "მეთოფეთა" ხელმძღვანელობა ლოგიკურ დასკვნამდე მივიდა, რომ ოლიმპიადის პარალელურად სხვა სპორტული ღონისძიება ყურადღებას ვერ მიიპყრობდა. ამიტომ გადაწყდა, რომ გუნდი მარკეტინგული მიზნებისთვის ამ პერიოდში ჩინეთს ეწვევა, სადაც პეკინში, შანხაისა და ჰონკონგში სამ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

## რუნიმ ვერ გაიგო

კვირას ამერიკაში სუპერბოული გაიმართა. მოკლედ გეტყვით, რომ ეს შეხვედრა ამერიკის საფეხბურთო ლიგის (NFL) ჩემპიონის გამოსავლენად იმართება და შეერთებულ შტატებში ლამის ყოველწლიურად ამხობს რეკორდებს მაყურებელთა საერთო რაოდენობისა თუ სარეკლამო შემოსავლების მხრივ. სწორედ ასეთი პოპულარული სანახაობით ტკბობა გადაწყვიტა "მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელმა **უეინ რუნიმ**, თუმცა იმედგაცრუებული დარჩა და "ტვიტერში" შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: "ვცადე სუპერბოულისთვის მეყურებინა. რანაირად უწოდებენ ამას ფეხბურთს? ძალიან მოსაწყენი სანახაობაა. ველოდები რეკლამებსა და შოუს შესვენების დროს". რახან თამაში ვახსენეთ გეტყვით, რომ "ნიუ იორკ ჯაიანთსმა" "ნიუ ინგლენდ პეტრიოტსი" 21:17 დაამარცხა.

**ლევან ბიბილაშვილი**




კოპა დელ რეი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ბილბაო ფინალშია, ბარსა?

| ბილბაო-მირანდესი | 6:2 (2:1) |
|---|---|

გოლები: 1:0 მუნიაინი (11), 2:0 სუსაეტა (14), 3:0 აურტენეჩე (23), 3:1 ბლანკო (58), 4:1 ფ. ლორენტე (71), 5:1 ფ. ლორენტე (75), 5:2 ბლანკო (86), 6:2 კანედა (88. ს. კ.)

| დღეს | |
|---|---|
| ბარსელონა-ვალენსია | 00:00 (1:1) |

დღეს „კამპ ნოუზე" „სამეფო თასის" მეორე ფინალისტის ვინაობა გაირკვევა - ვინ დაუპირისპირდება „ბილბაოს", „ბარსელონა" თუ „ვალენსია"? პირველი ნახევარფინალური მატჩის შედეგის გათვალისწინებით „ბარსელონა" აშკარა ფავორიტია, რადგან გუნდმა „მესტალიაზე" 1:1 ითამაშა, **ლეო მესის** პენალტი რომ გაეტანა, სულაც მოიგებდა.

რა თქმა უნდა, **სერხიო ბუსკეტსის** თამაში ძალზე საეჭვოა - მას ხომ „რეალ სოსიედადთან" მატჩში მომხდარი ინციდენტის გამო მუხლზე 15 ნაკერი დაადეს. არ იქნებიან **ანდრეს ინიესტა, პედრო** და **დავიდ ვილია**. **კრისტიან ტელიომ გვარდიოლას** თავი მოაწონა, ამიტომ 20 წლის ფორვარდი ალბათ შეინარჩუნებს სასტარტოში ადგილს. **ჟონასი** და **ევერ ბანეგა** „ატლეტიკოსთან" სასტარტოში არ ყოფილან, თუმცა **უნაი ემერი** მათ აუცილებლად დააბრუნებს 11-ეულში.

„ლოს ჩეს" ფინალში მოსახვედრად გმირობა მართებს, თანაც აუცილებლად უნდა შეუტიოს, რადგან **კარლეს პუიოლის** გოლის წყალობით 0:0 „ბარსას" სასარგებლო ანგარიში იქნება. სტატისტიკა „ვალენსიას" საწინააღმდეგოა - ამ გუნდმა ბოლო 9 საგარეო მატჩიდან მხოლოდ ერთხელ მოიგო, „კამპ ნოუზე" კი 8 წელია არ იცის გამარჯვების სიხარული.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა





















სამწვრთნელო კალეიდოსკოპი

# You Are Out!

## ყველაზე უმადური საფეხბურთო პროფესია

საფეხბურთო მწვრთნელის პროფესია, რომ ერთ-ერთი ყველაზე დაუფასებელია, ახლახან ქართული ფეხბურთის მაგალითზეც ვნახეთ - თბილისის „დინამომ" თანამდებობიდან გაათავისუფლა მწვრთნელი... შუა შეკრებაზე, მაშინ, როცა, მანამდე რამდენიმე დღით ადრე, კლუბის ხელმძღვანელობამ მას სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. მოდი, ვთქვათ ასე - ეს მხოლოდ ქართული სენი არ არის, ევროპის მოწინავე საფეხბურთო პირველობებშიც ხდება ხოლმე უცნაური განთავისუფლებები. რაც სეზონი დაიწყო, ევროპის 5 ტოპ-ლიგაში 29-ჯერ (!) შეიცვალა მწვრთნელი და ჯერ სად ვართ!

29 ცვლილებიდან 23 მოხსნაა, დანარჩენები საკუთარი ნებით გადადგომა, გადადგომა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან დროებითი თავკაცის წასვლაა. სეზონში ყველაზე მეტი მწვრთნელი იტალიურ სერია A-ში მოხსნეს - 10. 6 მწვრთნელი მოხსნეს ესპანურ ლა ლიგაში (თუმცა საქართველოს ექსთავკაცმა **ექტორ კუპერმაც** ფაქტობრივად საათებით დაასწრო მოხსნას). სულ სამი სპეციალისტი მოხსნეს გერმანიაში და 2-2 საფრანგეთში.

საფეხბურთო სეზონის უკანასკნელი მსხვერპლი „სევილიას" 46 წლის თავკაცი **მარსელინო გარსია ტორალი** იყო. მას „სანჩეს პისხუანზე" „რაიო ვალეკანოსთან" 1:2 მარცხი არ ეპატია. მარსელინომ გუნდი მე-11 ადგილზე მყოფმა დატოვა. „სევილიასთვის" ეს კატასტროფაა, მწვრთნელს უფრო ადრე მოხსნიდნენ, მაგრამ მისთვის ვის ეცალა: ანდალუსიური კლუბის პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო**... ციხეში იჯდა.

### ალბიონი: შტილი ქარიშხლის წინ?

პრემიერლიგის სეზონის განმავლობაში ჯერ მხოლოდ ორ მწვრთნელს მიუთითეს კარზე - ნოემბერში „შავი კატების" 51 წლის თავკაცი **სტივ ბრიუსი** დაითხოვეს, მაშინ „სანდერლენდი" მე-16 ადგილზე იყო. დრომ აჩვენა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის" 80-90-იანი წლების ვარსკვლავის მოხსნა გამართლებული იყო - ჩრდილოირლანდიელი მარტინ ონილის ხელში „შავი კატები" მე-8 ადგილამდე ამაღლდნენ. 59 წლის ონილი კარგი მწვრთნელი რომაა, ჯერ კიდევ „სელტიკში" დაამტკიცა, სადაც კელტურ კლუბს 3-3 ჯერ მოაპოვებინა შოტლანდიის ჩემპიონობა და თასი.

შემდეგი მსხვერპლი **ნილ უორნოკი** იყო, იანვარში „ქვინზ პარკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ 63 წლის სპეციალისტი „პენსიაზე" გაუშვა. არადა, სწორედ უორნოკმა დააბრუნა „რეინჯერსი" 15-წლიანი განშორების შემდეგ პრემიერლიგაში. გათავისუფლების მომენტში გუნდი მე-17 ადგილზე იყო, ახლა მე-16-ეა, ანუ უელსელი **მარკ ჰიუზის** დანიშვნას ჯერჯერობით შედეგი არ მოჰყოლია. უორნოკს ერთხელაც დავუბრუნდებით, ის რეფერიცაა (თუმცა კი ამ განხრით არ უმუშავია), მაგრამ ცნობილია იმით, რომ მსაჯებს უდიერად მოიხსენიებს ხოლმე თამაშებში.

ამით (ჯერჯერობით) დასრულდა სამწვრთნელო ცვლილებები ინგლისში, მაგრამ, განა, რომელიმე კლუბში თავს დალხენილად გრძნობენ მწვრთნელები? (ეს ბუნებრივია, **ალექს ფერგიუსონს** არ ეხება) - თუნდაც ამავე ნომერში ნახავთ ინფორმაციას, როგორ წაეჩხუბა ბაზაზე **რომან აბრამოვიჩი ანდრე ვილაშ-ბოაშს**. მხოლოდ ვილაშ-ბოაშიც არ არის ცუდ დღეში, თუნდაც პირველ ადგილზე მყოფი „მანჩესტერ სიტის" იტალიელი თავკაცი **რობერტო მანჩინი** იტყვის დარწმუნებით, რომ მის თანამდებობას არაფერი ემუქრება? ვეჭვობთ...

თუმცა არის საწინააღმდეგო უცნაურობანიც - რატომ არ უშვებენ „ბლექბერნის" მწვრთნელ **სტივ კინს**, როცა გუნდი ლამის ნაწილებად დაიშალოს, გაუგებარია.

### იბერია: შენდობა არც შინაურს და არც გარეულს

ესპანეთის ლა ლიგაში ამ სეზონში 9 ცვლილება მოხდა. ეს უკვე ბევრია, თუმცა „მალიორკას" ცვლილება ორჯერ იმ უბრალო მიზეზის გამო შეეხო, რომ **მიქაელ ლაუდრუპის** შემდეგ დანიშნული **მიგელ ანხელ ნადალი** დროებითი თავკაცი იყო. სწორედ დიდმა დანიელმა ფეხბურთელმა „გახსნა სეზონი", სექტემბერში ბალეარული კლუბი მიატოვა, რადგან ხელმძღვანელობას ეჩხუბა. 47 წლის დანიელის უკითხავად მისი ასისტენტი **ერიკ ლარსენი** მოხსნეს, ლაუდრუპმაც მწარე სიტყვები უთხრა „მალიორკას" დირექტორ **ლორენსო სერა ფერერს** და წავიდა. „მალიორკა" მაშინ მე-11 ადგილზე იყო, ახლა, როცა გუნდს **ხოაკინ კაპაროსი** წვრთნის ბალეარული გუნდი ცხრილში მე-13 ადგილზეა.

შემდეგ ჯერი კუპერზე მიდგა, ჩვენთვის კარგად ნაცნობი არგენტინელის გუნდი „რასინგი" ბოლო ადგილზე იყო, ექტორს გააგდებდნენ, მაგრამ დაასწრო მოვლენებს და თავისით წავიდა. სხვათა შორის, ის უმუშევარი არ დარჩენილა, მაგრამ აბა, სად პრიმერა და სად თურქული ლიგის „ორდუ"? მის ნაცვლად „რასინგის" მწვრთნელად სპორტული დირექტორი **ხუანხო გონსალესი** დადგა, 39 წლის ხუანხომ კანტაბრიელები ცოტა ამოასუნთქა - გუნდი მე-18-ეა და გადარჩენისთვის იბრძვის.

დეკემბერში ესპანეთში ერთბაშად 3 თავი დაგორდა - „ვილიარეალმა" **ხუან კარლოს გარიდო** გაუშვა, „ატლეტიკომ" - **გრეგორიო მანსანო**, ხოლო „სარაგოსამ" - **ხავიერ აგირე**. რომელ გუნდს ეშველა ამ სამეულიდან? მხოლოდ „ატლეტიკოს"! არგენტინელი **დიეგო სიმეონე** ნელ-ნელა ატყობს თავის სტილს გუნდს, რომელიც ამასობაში მე-10 ადგილიდან მე-7-მდე ელზევდა და სერიოზული მიზნებისთვის ბრძოლაში ჩაება. „ვილიარეალი" **ხოსე მოლინას** ხელში ისევ მე-17 ადგილზეა. ხოლო **მანოლო ხიმენესის** „სარაგოსა" - ბოლო.

ამით გათავისუფლებები არ დასრულებულა: 2012 წელს სამუშაო დაკარგეს „გრანადას" თავკაცმა **ფაბრი გონსალესმა** (რომელიც **აბელ რესინომ** შეცვალა), „სპორტინგის" ხელმძღვანელმა **მანუელ პრესიადომ** (დროებითი შემცვლელი: **ინიაკი ტეხადა**) და „სევილიას" მესაჭე მარსელინომ (შემცვლელი: **მიჩელი**).

### აპენინები: არავითარი სიბრალული!

როგორც უკვე ვთქვით, ყველაზე მეტი მწვრთნელი იტალიაში მოხსნეს, არადა, ჯერ რამდენი დრო რჩება სეზონის დასრულებამდე. „სეზონის გახსნის" პატივი **ჯანპიერო გასპერინის** ერგო. საოცარი უფრო ისაა, რომ 54 წლის სპეციალისტს ისეთ გრანდში ენდნენ, როგორიც „ინტერია". სჯობდა ის „ჯენოაში" დარჩენილიყო, სადაც მას კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** გასპერსონს ეძახდა, ანუ ჩვენი ფერგიუსონიაო. როცა გასპერინი გაუშვეს და **კლაუდიო რანიერი** მივიდა, „ინტერი" მე-18 ადგილზე იყო! ახლა მილანური კლუბი მეხუთეა - ეს ყველაზე სერიოზული ცვლილებაა 29 შემთხვევიდან.

შემოდგომით კიდევ ოთხი მწვრთნელი დაითხოვეს „ბოლონიამ", „ლეჩემ", „ფიორენტინამ" და „კალიარიმ". ბუნებრივია, ყველაზე რეზონანსული მათში სერბი **სინიშა მიჰაილოვიჩის** გაგდება იყო ტოსკანური გუნდიდან. საჯარიმო დარტყმების დიდოსტატი კარგი მწვრთნელი ვერ გამოდგა, თუმცა ის ჯერ 42 წლისაა და შეიძლება ვცდებით კიდევაც. როცა სინიშა გააგდეს, „ფიორენტინა" მე-13 ადგილზე იყო, **დელიო როსის** ხელში ეს კლუბი მეათეა.

საოცარია, მაგრამ „პალერმოს" ოდიოზური პრეზიდენტის, **მაურიციო ძამპარინის** ხელში მწვრთნელმა **დევის მანგიამ** კიდევ კარგა ხანს, დეკემბრის შუამდე გაძლო. ძამპარინის ახლა **ბორტოლო მუტი** უძლებს.

კიდევ ერთი ხმაურიანი დათხოვნა იტალიაში დეკემბერზე მოდის, „ჯენოამ" **ალბერტო მალეზანი** გაათავისუფლა. არადა, გუნდი მე-10 ადგილზე იყო (ახლა **პასკუალე მარინოს** ხელში მეცხრეა). მალეზანიმ სახელი „პარმასთან" ერთად გაითქვა, როცა კლუბს უეფას თასი მოაგებინა, ახლა 57 წლის სპეციალისტი უმუშევარია. წლეულს თანამდებობები დაკარგეს „პარმას" და „ნოვარას" მწვრთნელებმა. სხვათა შორის, „პარმაში" **რობერტო დონადონი** დაინიშნა, რომელიც ფეხბურთელობით განთქმულია, მაგრამ მწვრთნელობის რა მოგახსენოთ, ყველას კარგად გვახსოვს ევრო-2008-ის იტალია...

### პარიზი: ეიფელის კოშკის წნეხის ქვეშ

საფრანგეთის ლიგა 1-ში სულ სამი ცვლილება მოხდა, ორი დიდ ყურადღებას არ იმსახურებს, რადგან ცვლილებები არცთუ ძლიერ კლუბებს, „ნიცას" და „ევიანს" შეეხო. სულ სხვაა „პარი სენ ჟერმენი", რომელიც ევროპული საფეხბურთო საზოგადოების საყოველთაო ყურადღების ქვეშ იყო.

ყატარელი ინვესტორებისა და ჰიპერაქტიური მენეჯერის (ბრაზილიელი **ლეონარდო**) წყალობით, პსჟ სპორტული გაზეთების პირველი გვერდიდან არ ჩამოდიოდა. შემადგენლობა ვარსკვლავური იკრიბება და ბუნებრივია, ყველა ხვდებოდა, რომ **ანტუან კომბუარეს** დღეები სუპერგუნდში დათვლილი იყო. და აი, კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელს შორის შეთანხმების საფუძველზე 30 დეკემბერს კომბუარე პსჟ-ს დაეთხოვა. 48 წლის სპეციალისტის ნაცვლად კი იტალიელი **კარლო ანჩელოტი** მიიყვანეს. კომბუარეს გაგდება (იურიდიულად) დიდი სირცხვილი იქნებოდა, რადგან პარიზული კლუბი იმ დროისათვის (როგორც ახლა) პირველ ადგილზე იყო!

სეზონის განმავლობაში ტოპ-ლიგებში ასეთი სახელოვანი მწვრთნელი არ შეჰმატებიათ, როგორიც 52 წლის იტალიელია. ანჩელოტის ხომ ყველა საკლუბო ჯილდო აქვს მოგებული, მაგრამ თვით ისიც ვერასოდეს იტყვის, რომ სამსახური, რომელიც ახლახან მიიღო, ხელშეკრულების ბოლომდე გაჰყვება. ამის გარანტიას მწვრთნელს, თუნდაც საუკეთესოს ვინ მისცემს?

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

### ტოპ-5. სეზონის ყველა ცვლილება

| თარიღი | გუნდი | მწვრთნელი | შენიშვნა | შემცვლელი |
|---|---|---|---|---|
| **პრემიერლიგა** | | | | |
| 30 ნოემბ. | სანდერლენდი | სტივ ბრიუსი | მოხსნეს | მარტინ ონილი |
| 8 იანვ. | ქვინზ პარკი | ნილ უორნოკი | მოხსნეს | მარკ ჰიუზი |
| **ლა ლიგა** | | | | |
| 27 სექტ. | მალიორკა | მიქაელ ლაუდრუპი | გადადგა | მიგ. ანხ. ნადალი |
| 3 ოქტ. | მალიორკა | მიგ. ანხ. ნადალი | დრ. | ხოაკინ კაპაროსი |
| 29 ნოემბ. | რასინგი | ექტორ კუპერი | ურთიერთშ. | ხუანხო გონსალესი |
| 22 დეკ. | ვილიარეალი | ხუან კარლოს გარიდო | მოხსნეს | ხოსე მოლინა |
| 22 დეკ. | ატლეტიკო | გრეგორიო მანსანო | მოხსნეს | დიეგო სიმეონე |
| 30 დეკ. | სარაგოსა | ხავიერ აგირე | მოხსნეს | მანოლო ხიმენესი |
| 22 იანვ. | გრანადა | ფაბრი გონსალესი | მოხსნეს | აბელ რესინონო |
| 31 იანვ. | სპორტინგი | მანოლო პრესიადო | მოხსნეს | ვაკანტური |
| 6 თებ. | სევილია | მარსელინო გარსია | მოხსნეს | მიჩელ გონსალესი |
| **ბუნდესლიგა** | | | | |
| 19 სექტ. | ჰამბურგი | მიხაელ ოენინგი | მოხსნეს | როდოლფო კარდოსო |
| 22 სექტ. | შალკე | რალფ რანგნიკი | გადადგა | ჰუუბ სტევენსი |
| 10 ოქტ. | ჰამბურგი | როდოლფო კარდოსო | დრ. | ტორსტენ ფინკი |
| 18 დეკ. | ჰერტა | მარკუს ბაბელი | მოხსნეს | მიხაელ სკიბე |
| 29 დეკ. | ფრაიბურგი | მარკუს ზორგი | მოხსნეს | კრისტიან შტრაიხი |
| **სერია A** | | | | |
| 21 სექტ. | ინტერი | ჯანპიერო გასპერინი | მოხსნეს | კლაუდიო რანიერი |
| 4 ოქტ. | ბოლონია | პიერპაოლო ბიზოლი | მოხსნეს | სტეფანო პიოლი |
| 30 ოქტ. | ჩეზენა | მარკო ჯამპაოლო | მოხსნეს | დანიელე არიგონი |
| 7 ნოემბ. | ფიორენტინა | სინიშა მიჰაილოვიჩი | მოხსნეს | დელიო როსი |
| 8 ნოემბ. | კალიარი | მასიმო ფიკადენტი | მოხსნეს | დავიდე ბალარდინი |
| 4 დეკ. | ლეჩე | ეუსებიო დი ფრანჩესკო | მოხსნეს | სერსე კოსმი |
| 19 დეკ. | პალერმო | დევის მანგია | მოხსნეს | ბორტოლო მუტი |
| 22 დეკ. | ჯენოა | ალბერტო მალეზანი | მოხსნეს | პასკუალე მარინო |
| 9 იანვ. | პარმა | ფრანკო კოლომბა | მოხსნეს | რობერტო დონადონი |
| 30 იანვ. | ნოვარა | ატილიო ტესერი | მოხსნეს | ემილიანო მონდონიკო |
| **ლიგა 1** | | | | |
| 15 ნოემბ. | ნიცა | ერიკ რუა | მოხსნეს | რენე მარსილია |
| 30 დეკ. | პსჟ | ანტუან კომბუარე | ურთიერთშ. | კარლო ანჩელოტი |
| 1 იანვ. | ევიანი | ბერნარ კასონი | მოხსნეს | პაბლო კორეა |

დრიბლინგი

გოტფრიდ ლენცის საავტორო რუბრიკა

# Happy Birthday, Edgaras!

## 5 თებერვალს მარტო ნეიმარი და რონალდო არ დაბადებულან...

ინგლისში ჯონ ტერის ამბავს ლამისაა, ფაბიო კაპელოც გადაყვეს; იტალიაში „ლაციოს“ პრეზიდენტმა უდიდესი უამინდობის გამო ბევრი იწუწუნა და ჩვენი იტალიელი კოლეგებისგან საკადრისი პასუხიც მიიღო; იქვე, „ბარის“ „ზავხოზი“ დაიჭირეს, ხოლო ზლატან იბრაჰიმოვიჩს კი ყველაფერი ისე ესმის, როგორც თვითონ უნდა; ესპანეთში კრიშტიანო რონალდოს იდეალური დაბადების დღე გაუთენდა; გერმანიაში ული ჰიონესმა დიდი ხნის საიდუმლო მაინცდამაინც ახლა გაამხილა. ნეტა, რატომ?

თქვენ წინაშეა „ლელოს“ ძველი რუბრიკა „დრიბლინგი ევროპაში“, რომელსაც ამიერიდან ყოველ ოთხშაბათს შემოგთავაზებთ.

### იტალია

„ჯენოასა“ და „ლაციოს“ მატჩში საფინალო სასტვენი რომ გაისმა, „ლაციალეს“ პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო მობილურ ტელეფონზე საუბრობდა. თუმცა, ამას საუბარი არც ჰქვია – ლოტიტო ყვიროდა, ილანძღებოდა და იტალიური რომც არ გცოდნოდათ, ყველა იტალიელისთვის დამახასიათებელი ჟესტიკულაციებითაც მიხვდებოდით, რა აწუხებდა „ლაციოს“ ბოსს.

*„ინტერისა“ და „მილანის“ გარდა ამათ ყველა გუნდი ფეხებზე ჰკიდიათ! –* მოგვიანებით ლოტიტო ჟურნალისტებსაც უღრენდა, *- ეს სკანდალია, ნამდვილი სკანდალი! ამ ღვთის რისხვაში თამაშის ჩატარება ყოვლად გაუმართლებელი იყო!“*

ხუთშაბათს საღამოს რომში ისე მოთოვა, ისედაც უკიდურესად გადატვირთულ ქალაქში მოძრაობა შეუძლებელი გახდა: „ლაციოს“ მცველი დიაკიტე იძულებული გახდა, თავის სახლთან, ინდივიდუალურად ევარჯიშა, რადგან ბაზამდე მიღწევას მინიმუმ სამ საათს მოანდომებდა; ბაზაზე მისვლას პრინციპში აზრიც არ ჰქონდა, რადგან ხუთშაბათს და პარასკევს „ლაციოს“ არ უვარჯიშია (მოედნებზე მაქსიმუმ სრიალი მოხერხდებოდა); გენუაში გამგზავრებამდე კი ლოტიტო იძულებული გახდა, ექვსი ფეხბურთელი თავისი „ჯიპით“ მიეყვანა აეროპორტამდე. მერე, გახურებისას „ლაციოს“ ლიდერი ერნანესი დაშავდა; მე-15 წუთზე კაპიტანმა ტომაზო როკიმაც ტრავმა მიიღო და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, ხოლო მეორე ტაიმში კი მცველი მარიუს სტანკიავიჩიუსიც ტრავმირებული გაიყვანეს. ლოტიტომ და „ლაციომ“ დესერტად დიაკიტეს გაძევებაც მიიღეს, რასაც ამინდს ნამდვილად ვერ დააბრალებენ და ეს ჯოჯოხეთი რომაული კლუბისთვის საბოლოოდ ნაგებით (2:3) დამთავრდა. *„სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს,“* - შედარებით მშვიდი გახლდათ გუნდის სპორტული დირექტორი იგლი ტარე.

ჩვენ მხოლოდ იმის დამატება შეგვიძლია, რომ არც „ჯენოა“ ყოფილა კალიფორნიაში და გენუელებსაც ასეთივე პირობებში უწევდათ მზადება და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ საკმაოდ კარგად ითამაშეს. თანაც, როდრიგო პალასიომ ულამაზესი გოლიც გაიტანა – კარისკენ ზურგით მდგარმა, ბურთი ერთი შეხებით უჩვეულო ტრაექტორიით გადაგზავნა ფედერიკო მარკეტის კარში. რაც მთავარია, პალასიო ამ დარტყმის შესრულებისას არ დაშავებულა...

„გაძეტა დელო სპორტმა“ კი მეორე დღეს დაწერა: *„ნუ ჭირვეულობთ! შეხედეთ გერმანიას – „ნიურნბერგისა“ და „დორტმუნდის“ მატჩის დროს -13 გრადუსი იყო და ფეხბურთელები მოკლესახელოიანი მაისურებით დარბოდნენ!“*

■ ■ ■

*„ხანდახან ცუდადაც უნდა ვითამაშოთ და ასე ავილოთ სამი ქულა. ყოველთვის ფანტასტიკურად ვერ ვითამაშებთ!“* - თქვა „ნაპოლისთან“ მატჩის წინ „მილანის“ თავკაცმა მასიმილიანო ალეგრიმ. როგორც ჩანს, ეს სიტყვები გულთან ყველაზე ახლოს ზლატან იბრაჰიმოვიჩმა მიიტანა – ჯერ ერთი, ცუდად ითამაშა, მერე სალვატორე არონიკას ალიყური უთავაზა, ბოლოს მსაჯსაც აგინა და „მილანის“ ფორმით მესამე წითელი ბარათი დაიმსახურა. იტალიაში კი ეს ზლატანის მეხუთე გაძევება იყო – ვერაფერს იტყვი, თავდამსხმელისთვის „მშვენიერი“ მაჩვენებელია. შედეგი: იბრას სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რაც იმას ნიშნავს, რომ შვედი „იუვენტუსთან“ უპრინციპულეს დუელსაც გამოტოვებს.

ადრიანო გალიანიმ კი მთელ საფეხბურთო იტალიას დასცინა, როცა თქვა, იბრა არონიკას ლოყაზე მოეფერაო და მხოლოდ ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოითხოვა. ზლატანის ყეყეჩობას და ალეგრის ტრიბუნაზე გაშვებას „ნაპოლისთან“ 0:0 მოჰყვა და „როსონერიმ“ „იუვეს“ წაფორხილებით (0:0 სიენასთან) ვერ ისარგებლა. ყველაზე მაგარი კი მაინც მატჩის კომენტატორი იყო, რომელმაც თქვა, „დღეს „სან სიროზე“ თერმომეტრები არ გვჭირდება. საკმარისია, ჭიპის ქვემოთ შექმნილ ვითარებას დავაკვირდეთ, რომ მაშინვე მივხვდებით, რამდენი გრადუსიაო.“

■ ■ ■

43 წლის ანჯელო ლაკოველი აქამდე ერთი ჩვეულებრივი იტალიელი კაცი იყო. სანამ „ბარიში“ მუშაობას დაიწყებდა, საავადმყოფოში საკვები მიჰქონდა ხოლმე, მერე კი ფეხბურთში ამოყოფა... ვი. „ბარიში“ ანჯელომ ფაქტობრივად ზავხოზის პოსტი მიიღო: იხდიდა გადასახადებს, დაათრევდა ეკიპირებას, ითავსებდა მძღოლის მოვალეობას და ერთი სიტყვით, აკეთებდა ყველაფერს, რაც ფეხბურთელებს, მწვრთნელს თუ გუნდს დასჭირდებოდა.

ახლა გაირკვა, რომ ეს „პატიოსანი კაცი“ ფეხბურთელებს თურმე ფულით გატენილ კონვერტებსაც (ჩემოდნებამდე საქმე აღარ მისულა) გადასცემდა – რა თქმა უნდა, მანიპულირებული მატჩების წინ. გასულ უქმეებზე „ბარიში“ „ზავხოზის“ პოსტზე ვაკანსია გაჩნდა - ანჯელო შაბათს დააპატიმრეს.



ედგარას ჩესნაუსკისი და მისი მეგობარი გოგონა ანგელისკოს სუჟადეტუვესი

### ინგლისი

ევროპის ჩემპიონატამდე 4 თვეა დარჩენილი და ინგლისის ნაკრებს კაპიტანი აღარ ჰყავს. ეგ კიდევ არაფერი: გამორიცხული არც ისაა, რომ ინგლისელები მწვრთნელის გარეშეც დარჩნენ. არა, უმწვრთნელოდ, რა თქმა უნდა, არ დარჩებიან, მაგრამ აბა, როგორი ამბავია, ასეთი დიდი ტურნირის წინ დამრიგებლის გამოცვლა?

საქმე იმაშია, რომ ფაბიო კაპელოს ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია შემოელანძღა. მიზეზი: ჯონ ტერის კაპიტნის სამკლავური სასამართლოს გადაწყვეტილებამდე და უფრო მეტიც, კაპელოს დაუკითხავად ჩამოართვეს. ახლა ინგლისური ფეხბურთის ბოსები თავად 65 წლის იტალიელ სპეციალისტსაც ალმაცერად უყურებენ...

■ ■ ■

ამ საკითხთან დაკავშირებით, ჯო ბარტონსაც აქვს საკუთარი აზრი, რაც მან სოციალურ ქსელ „თვითერში“ ღიად გამოხატა. პრობლემა ის არის, რომ დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით, სანამ სასამართლოში პროცესი მიმდინარეობს, ამ პროცესზე განცხადებები მინიმუმ შეზღუდულია. ბარტონს კი ზედმეტი მოსვლია, რის გამოც შეიძლება დასაჯონ...

*„თუკი საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის გამო დამიჭერენ, ციხეში სიამოვნებით ჩავჯდები,“* - თქვა ბარტონმა.

■ ■ ■

ლონდონის „არსენალის“ გულშემატკივართა ერთმა დაჯგუფებამ ბილეთებზე ფასის გაზრდა და „მეთოფეების“ სატრანსფერო პოლიტიკა გააპროტესტა. ამ ფანებმა „ბლექბერნთან“ მატჩის დასწრებაზე უარი თქვეს და თავისუფალ სკამებზე ნაგვის პარკები ჩამოაცვეს. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: „არსენალმა“ მაინცდამაინც ამ საკმაოდ საინტერესო ინიციატივის ფონზე ითამაშა იდეალურად და „ბლექბერნი“ 7:1 გაანადგურა.

### ესპანეთი

თუკი „ნოუ კამპზე“ შავმა კატამ გაირბინა და ბევრის რწმენით, სერხიო ბუსკეტსს ტრავმა მიაღებინა, კრიშტიანო რონალდოს კვირას სრულყოფილი დაბადების დღე ჰქონდა. აწ უკვე 27 წლის პორტუგალიელი თავის დაბადების დღეს პრიმერადივიზიონის ლიდერის რანგში პირველად შეხვდა. ამას დაემატა ისიც, რომ მადრიდელებს მართალია, გასვლითი მატჩი ჰქონდათ, მაგრამ შორს არ იყვნენ ნასასვლელები („ხეტაფეს“ სტუმრობდნენ და 1:0 მოიგეს). თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი არ იყო სრულყოფილი დაბადების დღისთვის, კრიშტიანოს ბრაზილიელმა კოლეგამ, ნეიმარმა, რომელიც ასევე 5 თებერვალსაა დაბადებული, სოციალურ ქსელ „თვითერზე“ საუკეთესო ეპითეტები უძღვნა. *„მორიგი მატჩის წინ მინდა, ჩემთვის მისაბაძ ფეხბურთელს, კრიშტიანო რონალდოს იუბილე მივულოცო. ჩემთვის უდიდესი პატივია ის, რომ იმავე დღეს ვარ დაბადებული,“* - წერდა ბრაზილიელი „პალმეირასთან“ მატჩის წინ.

სამწუხაროდ, ნეიმარს არ გახსენებია ლიტველი ფეხბურთელი ედგარას ჩესნაუსკისი, რომელიც ასევე 5 თებერვალსაა დაბადებული. ასე რომ, ამ უკანასკნელს ჩვენ ვულოცავთ! მართალია, დაგვიანებით, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს! ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ, ედგარას!

### გერმანია

ყველაზე და ყველაფერზე გაბრაზებულმა ული ჰიონესმა ამ უქმეებზე ენას კბილი ველარ (ან აღარ) დააჭირა და ზუსტად იმ დროს წამოაყრანტალა წლების მანძილზე შენახული საიდუმლო, როცა ეს მას და მის „ბაიერნს“ ყველაზე მეტად სჭირდებოდა. ფანებთან შეხვედრისას მიუნხენური კლუბის 60 წლის პრეზიდენტმა თქვა, დორტმუნდის „ბორუსიას“ რომ უყურებთ, 2003 წელს მაგათთვის ფული რომ არ მიგვეცა, დღეს შეიძლება სულაც ობერლიგაში ყოფილიყვნენო.

*„მაშინ „დორტმუნდი“ გაკოტრების პირას იყო მისული და როცა აღარ იცოდნენ, როგორ უნდა გაესტუმრებინათ ხელფასები და სხვადასხვა გადასახადები, ჩვენ მათ რამდენიმე თვით, უპროცენტოდ ვასესხეთ 2 მილიონი ევრო!“* - თქვა ულიმ.

დორტმუნდელთა დღევანდელმა ბოსმა ჰანს-იოახიმ ვატცკემ დაადასტურა, რომ მისმა ავადსახსენებელმა წინამორბედებმა 2003 წელს „ბაიერნისგან“ მართლაც ისესხეს 2 მილიონი.

თუ რატომ გაახმაურა ეს ამბავი ჰიონესმა მაინცდამაინც ახლა, ვფიქრობთ, ამის გამოცნობა ძნელი არ უნდა იყოს. გუტენ მორგენ, ული!..

---

გერმანიის თასი. 1/4 ფინალის წინ

| | |
|---|---|
| **გუშინ** | |
| ჰოლშტაინ კილი-ბორუსია (დ) | 0:4 |
| **დღეს** | |
| ჰოფენჰაიმი-ფიურტი | 22:00 |
| ჰერტა-ბორუსია (მ) | 22:00 |
| შტუტგარტი-ბაიერნი | 23:30 |

# შტუტგარტი თუ მაინც ბაიერნი?

## შვაბებისთვის, გერმანიის თასი ევროპაში მოხვედრის ბოლო შანსია...

გერმანიის თასის მეოთხედფინალმა სტარტი გუშინ, „ჰოლშტაინ კილისა“ და დორტმუნდის „ბორუსიას“ ჯახით აიღო, დღეს კი დანარჩენი სამი მატჩი გაიმართება: ძალიან საინტერესოა ბერლინში გასამართი მატჩი, რომელშიც „ჰერტა“ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ მასპინძლობს – ამ უკანასკნელს ხომ ერთ დროს ბერლინიდან გაგდებული ლუსიენ ფავრი წვრთნის. „ჰოფენჰაიმი“ მეორე ბუნდესლიგის საკმაოდ ძლიერ კლუბს, „ფიურტს“ დაუხვდება, ხოლო მოგვიანებით კი მეოთხედფინალის ცენტრალური მატჩია: „შტუტგარტი“-„ბაიერნი“.

### ფავრი: ბერლინის გავლით ბერლინისკენ

ორი აზრი არ არსებობს, „გლადბახის“ შვეიცარიელი დამრიგებელი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ორმაგად მოტივირებული იქნება და ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ეს განწყობა შეგირდებსაც გადაადოს. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ დუელში ფავორიტი სწორედ „გლადბახია“ - ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილს რომ თავი დავანებოთ, ამ სეზონში მიონხენგლადბახელებმა თასიდან მისი მოქმედი მფლობელი „შალკე“ დაიფრინეს (3:1 მერვედფინალში).

ნოემბრის დასაწყისში, „გლადბახმა“ ბერლინში 2:1 მოიგო და ფავრი დღესაც მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობს, რადგან თუკი გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნება მისი გუნდისთვის, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც გადაჭარბებულია, გერმანიის თასის მოგება რეალობას ნამდვილად არ არის მოკლებული. თუმცა თავად შვეიცარიელს ფავორიტის სტატუსის გაგონებაც კი არ უნდა და ამ დღეებში ხშირად იმეორებდა, თასზე ყველაფერი სხვაგვარადაა ხოლმე, ხომ გახსოვთ, „ჰაიდენჰაიმთან“ წარმატების მისაღწევად პენალტების სერია დაგვჭირდაო. „ჰერტა“ კი სერიოზულ კრიზისშია – ლევან კობიაშვილის გუნდმა მიხაელ სკიბეს ხელში სამივე თამაში წააგო. 46 წლის სპეციალისტი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები თასზე მაინც შეძლებენ წარმატების მიღწევას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სკიბეს თავზე უკვე მაგრად მოიღრუბლება.

### ფიურტს შეუძლია!

„ჰოფენჰაიმმა“ მერვედფინალში „აუგსბურგი“ დაამარცხა, მაგრამ ამ უქმეებზე ამავე გუნდთან მხოლოდ 2:2-ს მიაღწია. ფაქტია, ეს „ის ჰოფენჰაიმი“ აღარ არის და შესაბამისად, მეორე ბუნდესლიგის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი „ფიურტი“ დღეს უშანსოდ ნამდვილად არ არის. აღსანიშნავია, რომ „ჰოფეს“ და „ფიურტს“ გერმანიის თასის ნახევარფინალში არასდროს უთამაშიათ, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დუელში გამარჯვებული ასეთ წარმატებას პირველად მიაღწევს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ პარასკევს „ფიურტი“ დრეზდენის „დინამოსთან“ კალენდარულ მატჩში 1:3 დამარცხდა. ვითომ, ძალები დაზოგეს?

### გამოიყენებს შტუტგარტი ბაიერნის კრიზისს?

მეოთხედფინალის ცენტრალური მატჩი კი უდავოდ „შტუტგარტისა“ და „ბაიერნის“ ჯახია. შვაბთა თავკაცი ბრუნო ლაბადია გერმანიის თასის 15-გზის მფლობელ რეკორდსმენთან დუელის წინ ამბობს, ერთი კონკრეტული შეხვედრის მოგება ყოველთვის შეიძლება, ოღონდ, ამისათვის მთავარია, რომ ბოლომდე ვიბრძოლოთო. პირდაპირ ვთქვათ: გერმანიის თასი „შტუტგარტისთვის“ ევროსარბიელზე მოხვედრის უკანასკნელი შანსია!

...მაგრამ შვაბებს „ბაიერნთან“ ბოლო სათასო დუელი ძალიან ცუდად ახსენდებათ: 2010 წლის დეკემბერში „შტუტგარტი“ მერვედფინალში „ბაიერნთან“ 3:6 განადგურდა, 2008/2009 წლის სეზონში კი, ასევე მერვედფინალში, „ბაიერნმა“ „შტუტგარტი“ 5:1 შეარცხვინა.

„ჰამბურგთან“ 1:1-ისა და შესაბამისად, ბუნდესლიგაში ლიდერობის დაკარგვის შემდეგ, მიუნხენელებს თავიანთი ფანებისთვის ბოდიში აქვთ მოსახდელი. ტენდენცია კარგია: ბავარიელები გერმანიის თასის მეოთხედფინალში სულ 30-ჯერ იყვნენ და აქედან, 22 შემთხვევაში ნახევარფინალში გაალწიეს...

გოტფრიდ ლენცი



ვინ გაალწევს ნახევარფინალში: ტამაშ ჰაინალის (მარცხნივ) შტუტგარტი თუ ფრანკ რიბერის ბაიერნი?

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. პრესკონფერენცია



# მედლები მედლებად, მთავარი ხარისხია

გუშინ, სოფიიდან დაბრუნებისთანავე, საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა, რომელმაც დან კოლოვისა და ნიკოლა პეტროვის 50-ე ტრადიციულ მემორიალში 6 მედალი - სამივე სინჯის 2-2 ჯილდო მოიპოვა. ჩემპიონები **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) და **სოსო ჯაბიძე** (96) გახდნენ, **ქემალ ხარაბაძე** (55) და **მანუჩარ ცხადაია** (74) მეორეზე გავიდნენ, **ზურაბ დათუნაშვილი** (74) და **სანდრო დიხამინჯია** (96) - მესამეზე. ბრინჯაოს მედლისთვის **პაატა ბაკურიძემაც** (66) იჭიდავა, მაგრამ დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა.

მედლები მედლებად და ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** ჭიდაობის ხარისხითაც კმაყოფილია. შარშანდელზე ბევრად მაღალი დონეაო, აღნიშნა მან, გუნდის გამოსვლა კი ასე შეაფასა: *„ეს ტურნირი სეზონის კარგი დასაწყისი იყო. სოფიაში პირველი-მეორე ნომრები წავიყვანეთ, მესამე ნომრებმა კი ცოტა ხნის წინათ თურქეთში იასპარეზეს და ორი ვერცხლიც დაიმსახურეს. ამდენად, ყოველ წონაში უკვე გამოიკვეთა ძირითადი ბირთვი. შარშანდელთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა - პოტენციალიც დიდია და, რაც მთავარია, ბიჭებში მონდომებაც გაიზარდა. მადლობა მინდა გადავუხადო მათ ამისთვის, აგრეთვე სოფიაში ნაჩვენები შედეგისთვის. თავდადებისა და შრომის გარეშე წარმატების მიღწევა გამორიცხულია.*

*კონკრეტულად ამ ტურნირს რაც შეეხება, ჩემპიონებმა ბრწყინვალედ იჭიდავეს, იბრძოლეს და შედეგიც სასურველი მიიღეს. საგანგებოდ მინდა გამოვყო ქემალ ხარაბაძე, რომელიც ექსპერიმენტისთვის გამოვიყენეთ და ქვედა წონაში ვაჭიდავეთ. ამან გაამართლა და მართლაც დაჩაგრა მეტოქეები. მართალია, ამჯერად წონის ყველა ლიდერი არ გამოდიოდა, მაგრამ მაინც ძლიერი მოჭიდავეები იყვნენ, მათ შორის - ევროპის ჩემპიონიც. სამწუხაროდ, ფინალი მსაჯთა არაობიექტურობის გამო წააგო. ამ წონაში უკვე ორი ლიდერი გვყავს - ხარაბაძე და გოგიტაძე, თუმცა სალიცენზიო ტურნირებში არც გოდერძი დავითაძეს გამოვრიცხავთ.*

*სოფიაში ახალგაზრდებმაც კარგად იასპარეზეს -* ***დათუნაშვილმა, დიხამინჯიამ.***

ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი **რევაზ ნადარეიშვილი** 84-ში ამჯერად კი დამარცხდა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, გამოცდილებას შეიძენს და, ვიმედოვნებთ, სამომავლოდ ისიც მოიპოვებს გამარჯვებებს.

ჩვენ თაობათა ცვლის პროცესი განვიცადეთ და მისასალმებელია, რომ ჭიდაობის ხარისხი გაუმჯობესებულია. სალიცენზიო ტურნირებზე ყველაფერს გავაკეთებთ მაქსიმალური რაოდენობის საგზურების მოსაპოვებლად, თუმცა მთავარი არა ლიცენზია, არამედ ოლიმპიური მედალია. აქედან გამომდინარე, უმთავრესი სამიზნეც ოლიმპიური ოქროა".

მოჭიდავეებს წარმატება საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გეწაძემ** და ვიცე-პრეზიდენტმა **თემურ ყაზარაშვილმაც** მიულოცეს. საჭიდაო პროგრესი გეწაძემაც აღნიშნა და ფალავნებს დაჰპირდა, ოღონდ კი მოინდომეთ და ყველანაირ პირობას შეგიქმნით მოსამზადებლად, ევროპის პირველობასა თუ ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსასვლელადო. საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ყაზარაშვილი არბიტრადაც იყო მიწვეული სოფიაში და ხარაბაძის წინააღმდეგ მსაჯთა არაობიექტურობას მანაც გაუსვა ხაზი. თურმე შეჯიბრების დასრულების შემდეგ ბულგარელებმა კიდეც მოიბოდიშეს ამის გამო, მაგრამ ეს უკვე შედეგს ვერ ცვლიდა.

პრესკონფერენციაზე მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ მანუჩარ ცხადაიას გამოსვლასაც შეეხნენ. დარჩიამ ის ზედა წონაში აჭიდავა და წინასწარ შეხვედრებში კარგი ასპარეზობის მიუხედავად, მწვრთნელმა მაინც არ შეაქო. მიზეზად ის დაასახელა, რომ ფინალში, როცა პირველი პერიოდი 5:0 მოიგო, პუბლიკაზე დაიწყო ჭიდაობა და საბოლოოდ წააგოო. მას მიუთითეს, რომ ეს ჩვევა თავიდან უნდა ამოიგდოს და უპირველესად, შედეგზე იზრუნოს. ცხადაიას უთხრეს, რომ მაყურებელსა და შოუზე ჭიდაობიდან წასვლის შემდეგ უნდა იფიქროს და თან დაჰპირდნენ, იქ მოხვედრაში ჩვენც დაგეხმარებითო. მართალია, ეს ხუმრობით უთხრეს, მაგრამ... ისეთ ხუმრობას რა ვუთხარიო, ხომ იცით.

დარჩიამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ევროპის მოქმედი ჩემპიონი **რევაზ ლაშხი** კონტინენტის წლევანდელ პირველობაზე 66-ში, ცხადაია კი 74-ში იჭიდავებენ, თუმცა საოლიმპიადოდ ორივე თავის წონას დაუბრუნდება. მისი თქმით, ხარაბაძის 55-ში დატოვება საბოლოოდ გადაწყდა და ამაზე სპორტსმენიც თანახმაა, თუმცა ამ შემთხვევაში ლიად რჩება 60 კილოგრამი, რადგან საქართველოს ჩემპიონი **ირაკლი ჭოჭუა** სოფიაში ცუდად გამოვიდა. ვის დააყენებს ამ წონაში ევროპაზე, დარჩიამ ჯერ გადაჭრით ვერ გვიპასუხა, არ ვართ ჩამოყალიბებულნიო, ჭოჭუასთან მიმართებაში კი დაამატა, მას ძალიან უნდა ევროპის ჩემპიონატის მოგება და ვცდილობთ, ყველანაირად გავუგოთო. ოღონდ ისიც დასძინა, მისი გამოსვლით არ ვართ კმაყოფილნიო.

გეწაძემ უკმაყოფილება ყველა იმ ფალავანზე გამოთქვა, რომლებიც ბულგარეთში უმედლოდ დარჩნენ, უპირველესად კი ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მანუჩარ. კვირკველიას** შეეხო, რომელმაც ამჯერად წონითი პრობლემის გამო 84-ში იჭიდავა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მას ოლიმპიადის შემდეგ სერიოზული შედეგი არ ჰქონია, ხოლო ახლა მისგან სამეულს ელოდნენ. გეწაძემ დაამატა, რომ ისინი კვირკველიაში ხედავენ იმ პოტენციალს, რაც ოლიმპიადაზე წარმატებას მოგვიტანს.

ევროპის ჩემპიონატი 6-11 მარტს ბელგრადში ტარდება. იქამდე ჩვენები ტურნირებში აღარ გამოვლენ და მთლიანად საშეკრებო ეტაპზე გადავლენ, ორ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებას გაივლიან. პირველს - მინსკში, „სტაიკების" ოლიმპიურ ბაზაზე, სადაც მათთან ერთად კიდევ რამდენიმე გუნდი ივარჯიშებს. ჩვენები იქ დღეს მიფრინავენ ყოველ წონაში ორ-ორი ანუ 14 კაცით და ზუსტად ორ კვირაში უკან დაბრუნდებიან, დასკვნით შეკრებას კი დუშეთში გაივლიან.

**ირაკლი თავაძე**

მშვილდოსნობა. მსოფლიოს ზამთრის პირველობა

# ესებუას მარში, ბედმა კი ისევ იტალია გვარგუნა

**ამერიკულ ლას ვეგასში დაიწყო მსოფლიოს ზამთრის ანუ დარბაზის ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელშიც 36 ქვეყანა მონაწილეობს. თუმცა მათ შორის არ არიან მსოფლიოს მშვილდოსნობის უპირობო ლიდერები - კორეა და ჩინეთი. ალბათ იმიტომ, რომ ეს პირველობა დარბაზში ანუ არაოლიმპიურ, 30-მეტრიან დისტანციაზე ტარდება, ისინი კი ლონდონის ოლიმპიადისთვის ემზადებიან. ქალთა ტურნირში 16 ქვეყნის მშვილდოსანი გამოვა, ოღონდ სრულყოფილი გუნდით - სამი მონაწილით, სულ 8 მათგანი იქნება.**

ამ ტურნირში საქართველოდან მხოლოდ ქალთა ნაკრები გამოდის უცვლელი შემადგენლობით: **ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე, ასმათ დიასამიძე**. ლას ვეგასში შეჯიბრებები ჩვენთვის მეტად მოუხერხებელ დროს იწყება - თბილისის დროით ღამის პირველ საათზე. საკვალიფიკაციო ეტაპიც სამშაბათ ღამით დაიწყო, სადაც მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ესებუა - 584 ქულით მეორეზე გავიდა. ამდენივე ქულა დააგროვეს რუსმა **ქსენია პეროვამ** და შვედმა **კრისტინა ბიერენდალმა**, თუმცა რუსს ამათზე მეტი ათიანი აღმოაჩნდა და პირველობაც გაინაღდა, აი, ესებუასა და შვედს კი არა მარტო ეს მაჩვენებელი, არამედ ე.წ. უფრო ახლო ათიანები და ცხრიანებიც კი თანაბარი ჰქონდათ, თუმცა მეორეზე მაინც ესებუაა. გამარჯვებული სამეულის მიერ ნაჩვენები 584 ქულა საკმაოდ ჩამორჩება ამგვარი ტურნირებისთვის სარეკორდო 592 ქულას, რაც 2009 წელს ფრანგმა ევროპის ჩემპიონმა **ბერენჟერე შუმ** დააგროვა პოლონეთში.

ესებუამ საკვალიფიკაციო ეტაპის ორივე სერია სტაბილურად ჩაატარა, თუმცა განსაკუთრებით კარგად მეორეში გამოვიდა - პირველში თუ მეშვიდე იყო, დასკვნით ფაზაში მხოლოდ ახალბედა რუს **დინარა იანბარისოვას** ჩამორჩა და 294 ქულით მეორე შედეგი აჩვენა. ნარიმანიძემ 562 ქულა დააგროვა და 21-ზე გავიდა, დიასამიძე კი 548 ქულით 31-ზე აღმოჩნდა, ეს კი პლეი ოფში ესებუასთან შეხვედრას ნიშნავს. შეჯიბრებაში სულ 34 მანდილოსანი ასპარეზობს, ამიტომ პლეი ოფში 32 გადის და ასპარეზობებიც 1/16 ფინალიდან გაგრძელდება. ქართველებიც ამიტომ დაწყვილდნენ. ნარიმანიძე პლეი ოფში იტალიელ **გვენდელინა სარტორის** დაუპირისპირდება, თურქეთის სახელით მოასპარეზე და შესარჩევში 560 ქულით 25-ზე გასული ევროპის ჩემპიონი **ნატო ნასარიძე** - უკრაინელ **კატერინა პალეკნას**. პლეი ოფები წუხელაც გვიან ღამით დაიწყო და მასზე ხვალინდელ ნომერში გაცნობებთ. წუხელ ფინალისტები და ბრინჯაოსთვის მებრძოლი წყვილები გამოვლინდებოდნენ, ფინალური შეხვედრები კი უკლებლივ ყველა დისციპლინაში ხვალ, 9 თებერვალს ჩატარდება.

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მეექვსე აღმოჩნდა. ბედმა მათ კვლავ იტალია არგუნა, რომელშიც ერთი ცვლილებაა იმასთან შედარებით, რომლითაც შარშან ავადსახსენებელ მსოფლიოს საზაფხულო პირველობაზე დაგვიპირისპირდა - **ჯესიკა ტომასი ელენა ტონეტამ** შეცვალა, სარტორი და მსოფლიოს ორ-ორგზის ჩემპიონი პირადსა და გუნდურში **ნატალია ვალეევა** კი კვლავაც შემადგენლობაში არიან. მათთან წარმატების შემთხვევაში ჩვენები თურქეთსა და აშშ-ს შორის მოგებულს შეხვდებიან. გუნდურ ასპარეზობაში პლეი ოფები დღეს ღამე გაიმართება. შეგახსენებთ, რომ შარშან ტურინში გამართულ მსოფლიოს ზემოხსენებულ პირველობაზე სწორედ იტალიელებთან გაიმართა ის სკანდალური შეხვედრა გუნდურ ჩათვლაში, როცა ქართველ მანდილოსნებს მოგებული შეხვედრა გადაათამაშებინეს, მისი წაგების შემდეგ კი უკვე განაღდებული ორი ოლიმპიური ლიცენზია დავკარგეთ, რომელიც წლეულს უნდა ვეძებოთ ისევ აშშ-ში გასამართ სალიცენზიო შეჯიბრებაში.

**ირაკლი თავაძე**



ქრისტინე ესებუა

ძიუდო. ავსტრიის ტურნირი

# საავსტრიო ნაკრების გაირკვა

**გაირკვა ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრების შემადგენლობა, რომელიც 11-12 თებერვალს ავსტრიულ ობერვარტში მსოფლიოს თასზე იასპარეზებს.**

მოგეხსენებათ, ჩვენებმა წინა უქმეებზე პარიზში „დიდ მუზარადზე" იჭიდავეს და ერთი ბრინჯაო მოიპოვეს - **ამირან პაპინაშვილმა** 60-ში. გუნდის ნაწილი ამ დილით დაბრუნდა თბილისში, 5 ფალავანი კი მწვრთნელებთან ერთად პარიზში დარჩა ერთობლივ ვარჯიშებზე და ისინი ავსტრიაშიც გამოვლენ. მწვრთნელთა გადაწყვეტილებით, ესენია **შალვა ქარდავა** (66), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ზურაბ ზვიადაური** (90), **ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ადამ ოქრუაშვილი** (ორივე - + 100). ამათ თბილისიდან **ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი** (ორივე - 60), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, თენგიზ პაპოშვილი, ზებედა რეხვიაშვილი** (სამივე - 73), **ლევან ნიკლაური** (81), **ბეთქილ ნავერიანი** (90) და **ნოდარ მეტრეველი** (100) დაემატებიან.

როგორც ვხედავთ, ნაკრების თავკაცი მორიგ შანსს აძლევს ქარდავას და ზვიადაურს. ოღონდ 90-ში ლიცენზია თუ არ გვიჭირს და იქ ნავერიანი გამოცდილების მისაღებად მიჰყავთ, 66-ში, სადაც საგზურისთვის ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა გველოდება, შავდათუაშვილსაც აჭიდავებს. ცხადია, გამოცდილება უფროსებში ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა შავდათუაშვილსაც სჭირდება, მაგრამ მას თბილისის ტურნირის მოგებით თან ლიცენზიის მოპოვების შანსიც მიეცა. ჯერჯერობით მის ანგარიშზე 124 ქულაა და კიდევ ანალოგიური წარმატება სალიცენზიო ზონას მნიშვნელოვნად დააახლოებს. კვლავაც დიდი კონკურენციაა 73-ში, თუმცა მათგან სალიცენზიო რეიტინგი მხოლოდ ტატალაშვილს აქვს - XX ადგილზეა. ავსტრიაში წარმატების შემთხვევაში ის პოზიციებს კიდევ უფრო გაიმყარებს. ამავე წონაში რეხვიაშვილიც მიჰყავთ, რომელსაც მწვრთნელი აქამდეც ინტერესით უყურებდა და რაკილა ნაკრების ქართველ მწვრთნელთა მონდომებით მის ჭიდაობაში პროგრესიცაა, ზაიზენბახერიც უფრო მეტად ენდობა.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი



სოფიო ქვაცაბაია

# ქვაცაბაიას კარგი თამაში უფასდება

ახალ რეიტინგ-ლისტში ქართველთათვის ცვლილებები უმნიშვნელოა. ამიტომაც მოკლედ ვიტყვით მთავარს - წლეულს კარგად მოასპარეზე **სოფიო ქვაცაბაიამ** გადაუსწრო **ოქსანა კალაშნიკოვას** და ახლა ქვეყნის მე-4 ჩოგანი ისაა. ქალები: 80 (-) **ანა ტატიშვილი** - 804 ქულა; 186 (-) **მაკა ჩახნაშვილი** - 340; 264 (+1) **სოფიო შაფათავა** - 208; 373 (+9) სოფიო ქვაცაბაია - 114; 378 (-) ოქსანა კალაშნიკოვა - 111; 387 (-) **ეკა გორგოძე** - 109; 487 (-26) **თათია მიქაძე** - 70; 814 (+2) **ნათია გეგია** - 20; 1003 (+1) **ანი გოგვაძე** - 10. ვაჟები: 1 240 (-1) **გიორგი ცივაძე** - 3 ქულა; 1 335 (-2) **ლადო ჩიხლაძე** - 2; 1 471 (-1) **ალექსანდრე მეტრეველი** - 2.

ავსტრალიის ღია პირველობაზე წარმატებული თამაშის შემდეგ, ჩვენი პირველი ჩოგანი აშშ-ში მიდლენდის საერთაშორისო ტურნირში გამოვა, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. 22 წლის ქართველი ტურნირის მე-3 ჩოგანია, მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრის გამარჯვებული იქნება. ამერიკაშივე, რანჩო მირეჟის საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი დოლარი) მიმდინარეობს, რომლის ძირითად ბადეში სოფიო შაფათავა ითამაშებს. შაფათავას პირველი მეტოქე ამერიკელი **ამანდა ფინკია** (278). ძირითად ტურნირში მოსახვედრად იბრძვის ეკა გორგოძე, რომელიც საკვალიფიკაციო ბადეში მე-3 ნომრად არის განთესილი. ეკამ მეორე წრეში (პირველისგან თავისუფალი იყო) იაპონელ **შინჰო ჰისამაცუს** მოუგო - 6:3, 6:4. ფინალურ წრეში ქართველის მეტოქე ამერიკელი **ნიკოლ მელიჩარი** (655) იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი



# ლიდერობა გადააბარა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 18-წლამდელ მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობის მე-6 ტური უილბლო აღმოჩნდა ვაჟებში ერთპიროვნულად დაწინაურებულ **ირაკლი ბერაძისთვის** - შავი ფიგურებით იგი **გიორგი სიბაშვილთან** დამარცხდა. ლიდერობა მეტოქეს გადააბარა. მეწინავეთა დანარჩენი პარტიების შედეგები: ნიკოლოზ ქუმსიაშვილი - ნოე თუთისანი 0:1, შალვა ნადირაშვილი - ალექსანდრე ებრალიძე 1:0, ნიკა ვოლკოვი - საბა ჟორდანია 0,5:0,5, რევაზ ჭკუასელი - ირაკლი კელეპტრიშვილი 0,5:0,5, გიორგი ცხადაძე - კახაბერ წერეთელი 0:1, ნინო ხომერიკი - გიგლა ბენიძე 1:0, გუგა ბურდული - ოთარ მანგიაშვილი 0,5:0,5.

დღეს მე-7 ტურში ითამაშებენ: ნადირაშვილი (4,5) - სიბაშვილი (5), ბერაძე (4,5) - თუთისანი (4,5), კელეპტრიშვილი (3,5) - ქუმსიაშვილი (4), ებრალიძე (3,5) - ვოლკოვი (3,5), წერეთელი (3,5) - ჭკუასელი (3,5), ჟორდანია (3,5) - ხომერიკი (3,5).

გოგონებს ისევ უშელავათო პაექრობები ჰქონდათ - თორმეტიდან მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრდა ყაიმით. ვაჟებისგან განსხვავებით, აქ ლიდერები უცვლელი დარჩა, რადგან ანა შამათავამ თეთრი ფიგურებით მარიამ ჭოლაძე დაამარცხა, ხოლო ნატო იმნაძემ შავებით ლიკა კობეშავიძეს სძლია. მარიამ ვალიშვილი - თეკლა მაჭარაშვილი 0:1, თეა ჭოლაძე - ანა კუჭავა 0:1, ნანი უნაფქოშვილი - დეა გოგიშვილი 1:0, ნატა ჯიბუტი - მარიამ ჯავახიშვილი 1:0.

მე-7 ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: უნაფქოშვილი (4) - შამათავა (5.5), იმნაძე (5,5) - კუჭავა (4), მ. ჭოლაძე (4) - ვალიშვლიი (4), მაჭარაშვილი (4) - ჯიბუტი (3,5) ჯალაბაძე (3,5) - თ. ჭოლაძე (3), კოხრეიძე (3) - კაკუტია (3,5).

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

# აეროფლოტი საჭადრაკო სივრცეში

მოსკოვში გუშინ დაიწყო „აეროფლოტის" მე-11 საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 150.000), რომლის პროგრამაში სამი ღია და ერთი ბლიცტურნირი შედის. A ჯგუფში ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობს. ევროპის ჩემპიონატების ორგზის პრიზიორ **ბაადურ ჯობავას** სტარტზე ამერიკელი რეი რობსონის დასამარცხებლად 29 სვლა ეყო, თუმცა, 21-ე სვლისთვის შავებს უკვე ნაგებული პოზიცია ჰქონდათ:




21. ლe3 f5 22. ლh6+ მფf7 23. ლh7+ მფe6 24. ლxg6+ მფxe5 25. ეad1 ეg8 26. f4+ მფxe4 27. მc3+ მფxf4 28. ეh4+ მფe5 29. ეe1+ და შავები დანებდნენ.

ფავორიტთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ფაბიანო კარუანა - დმიტრი ბოჩაროვი 1:0, ლე ქუანგ ლიემი - ბორის შევჩენკო 1:0, ივან პოპოვი - ფრანცისკო ვალეხო 0,5:0,5, იაროსლავ ჟერებუხი - კრიშნან სასიკირანი 0,5:0,5, ვლადიმირ აკოპიანი - მარინ ბოშიჩიჩი 1:0, ცზიუ ვენძიუნი - ვიორელ იორდაჩესკუ 0:1, ჰარიკა დრონავალი - გადირ უსეინოვი 0,5:0,5, ალექსეი ალექსანდროვი - ევგენი ტომაშევსკი 0,5:0,5. ჩვენებური **ნაზი პაიკიძე** (2411), რომელიც ამჟამად მოსკოვში ემზადება შეჯიბრებებისთვის, საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე თურქ დიდოსტატ დრაგან სოლაკთან (2616) ყაიმს დასჯერდა, ჩინელი შენ იანი (2447) კი პოლონელ გჟეგორჟ გაიევსკის (2616) დანებდა. სულ პირველ ტურში 25-მა მოჭადრაკემ გაიმარჯვა, 17 ორთაბრძოლა მშვიდობიანად დასრულდა.

მე-2 ტურში ითამაშებენ: დიტერ-ლივიუ ნისიპიანუ (რუმინეთი)-ბაადურ ჯობავა, ვიორელ იორდაჩესკუ (მოლდოვა)-ფაბიანო კარუანა (იტალია), ედუარდო იტურისაგა (ვენესუელა)-ლე ქუანნგ ლიემი (ვიეტნამი), ივან სოკოლოვი (ჰოლანდია)-პაველ ელიანოვი (უკრაინა)... მარკუს რაგერი (ავსტრია)-ნაზი პაიკიძე.

"აეროფლოტის" B ტურნირზე ქართველთაგან მხოლოდ **მერი არაბიძე** თამაშობს. გუშინ იგი თეთრი ფიგურებით რუს სერგეი გრიშჩენკოსთან დამარცხდა. სტარტზე მეტოქეებს, ასევე, დანებდნენ ევროპის ექსჩემპიონი ეკატერინა ატალიკი (თურქეთი), პერუელი დეიზი კორი, რუსეთის ქალთა ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი მარინა რომანკო, ინდოელები – სვამინათან სოუმია და რუთ რადმინი, რომლებიც თავიანთი ქვეყნის მანდილოსანთა ნაკრების ღირსებას იცავენ. მე-2 ტურში არაბიძე შავი ფიგურებით რუმინელ დიდოსტატ დორიან როგოზენკოს დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

სამთო თხილამურობა

# კვარცხლბეკს კვლავ მიუახლოვდა

ფრანგულ სამთო კურორტ რისოულში მოთხილამურეთა საერთაშორისო ტურნირებზე ძალებს ცდის გუდაურელი **ალექსი ბენიაიძე.** გუშინწინ ათი ქვეყნის 138 წარმომადგენელთან პაექრობაში მან გიგანტურ სლალომში 2.10,14-ით მე-15 ადგილი დაიკავა. პირველ ადგილზე ნორვეგიელი ოლა ბუერ იოჰანსენი (2.07,55) გავიდა. მეორე-მესამე ადგილები შვეიცარიელ კევინ გოლიარდსა (2.09,10) და ფრანგ გუილამ გრანდს (2.09,12) ერგოთ.

გუშინ იმავე ტრასებზე ქართველმა მოთხილამურემ საგრძნობლად გააუმჯობესა შედეგები და ორი დაშვების ჯამში 2.06,82-ით მე-5 ადგილი დაიკავა - მესამე ადგილზე გასულ ნორვეგიელ ადრიან სეირსტედს მხოლოდ 0,12 წამით ჩამორჩა (საგულისხმოა, რომ წლეულს 20 იანვარს ალექსიმ იტალიურ პეკოლ დი ზოლდოზე ოქრო არავის დაუთმო). პირველი-მეორე ადგილები ოლა ბუერ იოჰანსენმა (2.05,86) და ფრანგმა ნორმან ბლანკმა (2.05,97) გაინაწილეს.

**ვაჟა დანელია**

კრივი. ინტერვიუ გიორგი კანდელაკთან

# კრივში ხალხს შეტევა და სანახაობა ხიბლავს

ტიტულოვანი ქართველი მოკრივე **გიორგი კანდელაკი** რამდენიმე წელიწადია საქართველოს პროფესიული კრივის ასოციაციის პრეზიდენტია.

- ჩვენი ბევრი მოკრივე მსოფლიო ორგანიზაციების რეიტინგში შესამჩნევად დაწინაურდა. ასოციაციაში 130 მოკრივეა. სეზონის ერთგვარი გვირგვინი იყო გორში ღია ცის ქვეშ UBO-ს მსოფლიოს ჩემპიონის ქამარზე ახალგაზრდებს შორის გამართული შეხვედრა, სადაც ვარიანელმა **ბორის მდინარიძემ** ტანზანიელი **სელემან საიდი** დაამარცხა. ევროპასა და ამერიკაში ასეთი საკრივო შოუ ხშირად იმართება. ჩვენთან კი პირველად ჩატარდა და გორის ცენტრში ათი ათასზე მეტი მაყურებელი მოიზიდა.

**- მდინარაძეს როდის მოუწევს ქამრის დასაცავად პრეტენდენტთან შეხვედრა?**

- უახლოეს მომავალში, მაგრამ რადგან ისევ ღია ცის ქვეშ გვინდა ამ ღონისძიების გამართვა, გაზაფხულამდე მოვიცდით. ქამრის დასაცავად შეხვედრა ზამთარშიც შეგვეძლო ჩაგვეტარებინა, გორში შესაბამისი არენა რომ გვქონდეს.

**- სხვადასხვა ვერსიით ჩემპიონის ქამარი რამდენ ქართველ მოკრივეს აქვს?**

- ავთანდილ ხურციძეს, იაგო კილაძეს და ბორის მდინარიძეს. პირველი კიევის, მეორე დონეცკის და მესამე თბილისის კლუბში ვარჯიშობს, თუმცა, რასაკვირველია, საქართველოს სახელით ასპარეზობენ. 17 თებერვალს შალვა ჯომარდაშვილი იბრძოლებს პოლონეთში საჩემპიონო ქამარზე, იქამდე 9-ში კი მის ძმას ლევანს სარეიტინგო შეხვედრა აქვს გერმანიაში. ახლახან ძალიან გაგვახარა ბორჯომელმა კახაბერ ავეტისიანმა, რომელმაც სარეიტინგო პაექრობაში, მისივე ქვეყანაში აჯობა ფრანგ გუილომ სალინგს, რომელსაც მანამდე 29 ორთაბრძოლიდან ყველა მოგებული ჰქონდა.

**- საჩემპიონო ქამარზე გადამწყვეტი ბრძოლის მასპინძლობა ალბათ არაა იოლი მოსაპოვებელი.**

- საამისოდ სერიოზული ფინანსური ზურგი უნდა გქონდეს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ევროპის წამყვანი ქვეყნების დარი შესაძლებლობები არა გვაქვს. სამაგიეროდ, ამ ორგანიზაციებს აქვთ მასშტაბების ზრდის სურვილი და თუ გერმანელებს, მაგალითად, 100 ათას დოლარად აძლევენ მსგავსი ორთაბრძოლის გამართვის უფლებას, ჩვენ 3-4 ათასად გვყაბულდებიან. მათი მთავარი შემკვეთები ტელევიზიებია, რომელთა ინტერესებშიც შედის არა მხოლოდ დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებში, არამედ უკრაინაში, რუსეთში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებში გამართული საკრივო შოუები. სხვათა შორის, ბოლო წლებში სომხეთში ჩაიდო ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი ფული. ჩვენს მეზობლებს საკრივო ტრადიცია კი რიგიანი აქვთ, მაგრამ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე სრული უკუსვლა ჰქონდათ.

**- შემოდგომაზე მსოფლიოს პროფესიული კრივის ორგანიზაციის UBO-ს ვიცე-პრეზიდენტი გსტუმრობდათ. ეს ალბათ ამ ორგანიზაციასთან თქვენს კარგ ურთიერთობაზე მეტყველებს...**

- არა მხოლოდ UBO-სთან, ყველა ორგანიზაციასთან, მსოფლიოში წამყვან მენეჯერებთან და პომოუტერებთანაც, დონ კინგის ჩათვლით, შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს.

**- პროფესიულ კრივში რამდენიმე ორგანიზაციის არსებობა სპორტის ჩვეულებრივ ქომაგს ურთულებს სარეიტინგო ნიუანსებში გარკვევას. არ ჯობია მათი გაერთიანება?**

- ასეთი სურვილი ბევრი გულშემატკივარისგან მომისმენია. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, პოზიტიურსაც ბევრს დავინახავთ. თითოეული ორგანიზაციის თითოეულ წონაში რამდენიმე ათასი მოკრივეა, რომლებიც რეიტინგს ფსკერიდან იწყებენ. პროფესიონალთა ორთაბრძოლა 12-რაუნდიანია. დამეთანხმებით, რომ შეუძლებელია ასეთი მძიმე ბრძოლა თვეში მაქსიმუმ ორზე მეტი გამართოს მოკრივემ. ამდენად, თუნდაც გამუდმებული გამარჯვებებით რეიტინგში წინსვლა უმალ ვერ მოხდება. 3-4 წელიწადია საჭირო. მხოლოდ ერთი ორგანიზაცია რომ იყოს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მოკრივეს მთელი კარიერაც არ ეყოფოდა მსოფლიოს ჩემპიონობის შანსის მოსაპოვებლად. გარდა ამისა, მხოლოდ ერთი ორგანიზაციის არეალში ტელევიზიის ინტერესი გაქრებოდა. მაყურებელს თუ წელიწადში ერთხელ აჩვენებ საჩემპიონო დაპირისპირებას, ის უბრალოდ მოგცილდება. დღესდღეობით კი რამდენიმე თვეში ერთხელ ტარდება ქამარზე ბრძოლა და ტელევიზიები 100 მილიონზე მეტს იხდიან ტრანსლაციის უფლების მოსაპოვებლად.

**- ტელევიზიას და ზოგადად მედიას კრივი სკანდალებითაც გვარიანად იზიდავს...**

- მედიის შემკვეთიც ხომ საზოგადოებაა, მაშასადამე თვით საზოგადოებას იზიდავს სკანდალი. ათასობით ადამიანი მუშაობს იმაზე, თუ კონკრეტული დაპირისპირებისას რა მოეწონება ხალხს. დარბაზი მოკრივეებისაგან ძირითადად აგრესიულობას და აგრესიულ კომენტარებს ითხოვს. გავიხსენებ თუნდაც იაპონიას, სადაც მე თვითონ 18-19 წლის ასაკში წესების გარეშე ბრძოლაში 44 ჩხუბი მაქვს გამართული. იქ მენეჯერები ღიმილსაც კი გვიკრძალავდნენ ტელეკამერებთან. ძმები კლიჩკოები ხომ ძალიან ძლიერი მოკრივეები, მსოფლიოს ჩემპიონები არიან, მაგრამ იცით რატომ ვერ გახდნენ ტაისონის, მეივეიზერის და სხვების მსგავსად პოპულარულნი? იმიტომ, რომ მოწესრიგებული, პატიოსანი სპორტსმენები არიან, არც რესტორანში ეჩხუბებიან ვინმეს, არც ცოლებს სცემენ და არც პოლიციელებთან მოსდით კონფლიქტი. ხალხს შენგან სულაც არ აინტერესებს, რამდენი ენა იცი და რა ფერის ჰალსტუხს იკეთებ. მაყურებელი კრივზე ფიზიკური ძალასა და ტექნიკური არსენალის დემონსტრირებასთან ერთად, სანახაობის, შოუს საყურებლად მიდის! პრომოუტერი ყველაფერს არეგულირებს რაც შოუს, ფინანსებს, საკვანძო საკითხებს ეხება. მენეჯერს კი სპორტული მხარის მოწესრიგება ევალება. მნიშვნელოვანი ფიგურაა მატჩ-მეიკერიც, რომელიც მოწინააღმდეგეებს ურთიერთს სთავაზობს, მომდევნო ბრძოლისთვის სავარაუდო მეტოქეებს ურჩევს.

**- შოუს ორგანიზებაში ლიდერად ისევ დონ კინგი ითვლება, მაგრამ გამოჩნდნენ ბობი არუმი და ფრენკ უორენი...**

- არუმი და უორენი ძლიერები არიან, მაგრამ გაცილებით გავლენიანი, მაინც ისევ დონ კინგია. მას უკვე პრომოუშენის მთელი იმპერია აქვს შექმნილი. ტელევიზიები და ზოგადად საზოგადოება, როცა შეიტყობენ, რომ შოუს მომწყობი კინგია, დარწმუნებულნი არიან, რომ კარგი სანახაობაა მოსალოდნელი.

**- ცნობილი მოკრივეები მერე ხშირად პრომოუტერულ საქმიანობას იწყებენ...**

- სწორედ ამიტომაც, მათთან ურთიერთობა ჩემთვის ადვილია. თავისი კომპანია აქვს ოსკარ დე ლა ჰოიას ამერიკაში და მე კარგი კავშირები მაქვს მასთან. იგივე ითქმის რიკი ჰატონზეც, რომელსაც ინგლისში, მანჩესტერში ყოველ თვე მიჰყავს ქართველი მოკრივეები სარეიტინგო ორთაბრძოლებში მონაწილეობის მისაღებად, რაც ჩვენებს ქულების ზრდაში ეხმარება. ჰატონი ისე დავიახლოვეთ, რომ ქართული სადღეგრძელოებიც მოეწონა და ისწავლა. მისი კლუბის მენეჯერი ფრანგი ფილიპ ფონდუ ჩემი მენეჯერიც იყო, როცა ვკრივობდი, კავშირების გაბმაში ისიც დამეხმარა.

**- ჩვენი მწვრთნელები პროფესიონალებსაც ავარჯიშებენ და მოყვარულებსაც. სტილში ხომ დიდი განსხვავებაა...**

- რასაკვირველია, განსხვავება არის და არცთუ უმნიშვნელო. პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მწვრთნელები ორივე სტილის მოკრივეებთან მუშაობენ, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში კი ცალ-ცალკე. ამას გარკვეულწილად მატერიალური ფაქტორიც განსაზღვრავს. პროფესიონალებში, წამყვანი სპეციალისტი მხოლოდ ერთი ორთაბრძოლისთვის მომზადებაში სამ მილიონსაც კი იღებს გასამრჯელოს.

**- პროფესიულ კრივში მსოფლიოში საუკეთესოდ ვინ მიგაჩნიათ?**

- ძმები კლიჩკოები. ორივე გამოირჩევა შესანიშნავი დაცვით, კარგად იყენებენ სიმაღლეს, გრძელ ხელებს. ზემოთ ვთქვი, რომ ძმები სკანდალებით არ ეძიებენ პოპულარობას. სამაგიეროდ, მშობლიურ უკრაინაში მათ ყველა იცნობს. ამას წინათაც უკრაინაში ვნახე უამრავი ბილბორდი ძმების გამოსახულებით. სხვათა შორის, სატელევიზიო რეკლამებშიც მსახიობებზე მეტად სპორტსმენები და არა მხოლოდ მოკრივეები მონაწილეობდნენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ საერთოდ, სპორტია უკრაინაში პოპულარული.

**- კრივის კრიტიკოსები კლიჩკოების სტილს მეტისმეტად პრაგმატულად, მოსაწყენად მიიჩნევენ და იწუნებენ...**

- მათ ასპარეზობაში სანახაობა მართლაც ცოტაა, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ მაქსიმალურად ჭკვიანურდაა დაგეგმილი და გათვლილი საბოლოო გამარჯვება. ძმები სულ რეჟიმში არიან, სულ ვარჯიშობენ. თუმცა გეთანხმებით, რომ მაყურებლის 95 პროცენტს უდავოდ უფრო შემტევი სტილი მოსწონს.




**- თანამედროვე კრივში ასეთად ვის მიიჩნევთ?**

- ვფიქრობ, რომ დღეს ყველაზე სანახაობრივად მენი პაკიაო კრივობს. რინგზე ის მეტად აზარტულია, ურტყამს და თავადაც იღებს დარტყმებს. საერთოდ, ეს მიმდინარეობა ამერიკული და ინგლისური სტილის სახელითაა ცნობილი. ევროპელები უფრო ფრთხილები არიან და მათი პაექრობა სამოყვარულოს ჰგავს, ოღონდ რაუნდებში ტაქტიკურად თანაბრად გაწელილს.

**- ბოლო ათწლეულის გამორჩეულ მოკრივედ ვინ მიგაჩნიათ?**

- ლენოქს ლუისი! ამას წინათ, ჩემს შვილთან ერთად ვიტალი კლიჩკოსა და ლუისის დაპირისპირებას კიდევ ერთხელ ვუყურებდი ინტერნეტით (სხვათა შორის მაშინ მე ლენოქსის კუთხეში ვიყავი, ერთ-ერთ წარმომადგენლად) და ახლაც მხიბლავდა ამ ორი გიგანტის დაპირისპირება. შეხვედრის მსვლელობისას ვიტალი თითქოს სულაც არ პასიურობდა, უტევდა, მაგრამ ლენოქსმა ტაქტიკურად აჯობა და დაამარცხა. ბრიტანელთან ახლაც ვმეგობრობ. ის კარგი ხასიათის, კეთილი და სანდო ადამიანია. მართალია, უკანასკნელი ოთხი წელიწადია პირადად აღარ შევხვედრივართ, თუმცა ხშირი საქმიანი მიმოწერა გვაქვს. ლენოქსსაც აქვს თავისი საპრომოუტერო კომპანია, ამ საქმესაც ჭკვიანურად წარმართავს და ამიტომ მისმა შემოსავალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. ლუისი ცნობილი ტელეკომპანია HBO-ს წამყვანიცაა. ბუნებრივია, რომ მისი აზრი საინტერესოა გულშემატკივარისთვის.

**- კარგი იქნება, თუ უცხოეთში გამართული მნიშვნელოვანი საკრივო ორთაბრძოლების შემდეგ თქვენც გაუზიარებთ ხოლმე „ლელოს" მკითხველს მოსაზრებებს.**

- დიდი სიამოვნებით! მზად ვარ მეგზურობა გავუწიო პროფესიული კრივის სამყაროში ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი გაზეთის მკითხველებს.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

# TimeLine

Username: ვაჟა
Password: სიმონიშვილი

# თეთრი ციდან...

რა იყო გასული შვიდდღეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული სპორტული მოვლენა? ფეხბურთის ქომაგი ალექსანდრე ჩივაძის ახალგაზრდულ ნაკრებში დანიშვნასა და „ბოხუმში“ ნიკა გელაშვილის სადებიუტო გოლს დაასახელებს; კალათბურთის გულშემატკივარი ევროლიგაზე ქართული „კანტუს“ „მაქაბისთან“ გამარჯვებას. თბილისისა არ გეგონოთ, ისრაელის „მაქაბიზეა“ ლაპარაკი; რაგბით დაინტერესებულნი საქართველოს ნაკრების შეკრებას მიიჩნევენ მთავარ მოვლენად - მორაგბეებმა ახალი მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი გაიცნეს; მოციგურავენი განვლილ დღეებში ამინდს გამოარჩევდნენ - გზებზე რომაა, ასეთი სლიპინა ყინული ჩვენს საციგურაო მოედნებსაც დაამშვენებდაო...

მორაგბეთა მწვრთნელი და ანტარქტიდისთვის დამახასიათებელი ამინდი ნამდვილად იმსახურებენ, რომ წერა მათით დავიწყოთ. მით



ავტორის კარიკატურა

უმეტეს, ერთმანეთთან ძალიან ახლოს არიან. როგორ? ახლავე მოგახსენებთ: ჩვენი მორაგბეების ახალი მწვრთნელი ჰეიგი ახალი ზელანდიიდანაა, რომელიც ანტარქტიდიდან 4984 კილომეტრითაა მოშორებული. მაშინ, როცა საქართველოდან ანტარქტიდამდე 15475 კილომეტრია.

ამის მიუხედავად ზელანდია უფრო თბილი მხარეა ვიდრე ჩვენი ქვეყანა, ჰეიგის მშობლიურ ქალაქ ტაურანგაში წელიწადის ყველაზე ცივ თვეში (ივლისში) ტემპერატურა 8 გრადუსზე ქვემოთ არ ჩამოდის. ბატონი მილტონი ამიტომაც გამოჩნდა ნაკრების ვარჯიშზე თბილი, შავი ქუდით, რომელსაც ბორჯღალი ამშვენებდა.

საქართველოში ჩამოსვლამდე მილტონ ჰეიგმა საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც მწვანე ტაქსის ფონზე იყო გამოსახული. ზედ მიაწერა - მწვანე ფერი ძალიან მიყვარსო. ეს არცაა გასაკვირი, მთელი ზელანდია ხომ მწვანეშია ჩამჯდარი.

ზაფხულის ფერების მოყვარული მწვრთნელი უეცრად თეთრ სამყაროში აღმოჩნდა - საქართველოს ნაკრების შეკრებას თოვლი და ყინვა დაემთხვა. ჰეიგმა „ფეისბუქზე“ ამჯერად თეთრ ტონალობებში გაჯერებული ფოტო გამოაქვეყნა:



ზედ მიაწერა: ჩემი ოთახის ფანჯრიდან გადაღებული სარაგბო ბაზის მოედანი. მწვრთნელმა იქვე დეტალურად აღწერა ბაზა. აშკარაა, მოეწონა.

კომენტარებში ერთმა მეგობარმა ჰკითხა:

- ჯორჯიაში ძალიან ციებულა, ალბათ, ჩვენი თბილი მზე გენატრება.

- გუშინ თბილისში -11 გრადუსი იყო...

- დიდი რუსული დათვის ტყავის ქურქი ხომ არ გიყიდია?

- ჯერ არა, - ასეთი იყო მილტონ ჰეიგის პასუხი. როგორც ჩანს, იგი მართლაც აპირებს რუსული დათვისთვის ტყავის გაძრობას. თუმცა ერთი თვე მოუწევს მოცდა - რუსეთის ნაკრებს 17 მარტს ვეთამაშებით.

## ლენტში:

1 თებერვალი ოთხშაბათი



დიდი ხნის შესვენების შემდეგ, ყენიამ შალკეში ორმხრივად ითამაშა

3 თებერვალი პარასკევი



ევროლიგაზე მარკოიშვილმა და შერმადინმა მაქაბის სძლიეს

6 თებერვალი ორშაბათი



გელაშვილმა ბოხუმში დებიუტი გოლით აღნიშნა

2 თებერვალი ხუთშაბათი



ეგვიპტეში ჩემპიონატის მატჩისას 73 ადამიანი დაიღუპა

4 თებერვალი შაბათი



მორაგბეთა ნაკრებმა ღია ვარჯიში ჩაატარა

7 თებერვალი სამშაბათი



ახალმა შახტარელმა თარგამაძემაც პირველად გაიტანა

## კორექტურა

მხოლოდ საქართველოში როდი აცივდა, დიდთოვლობის გამო უკრაინა-საქართველოს სარაგბო მატჩი გადაიდო. ამავე მიზეზით მოედანზე ვერ გავიდნენ „პარმა“ და „იუვენტუსი“... „ჩელსი“-„მანჩესტერის“ მატჩის სარეკლამო ბანერების ავტორს ხელი გაეყინა და სერიოზული კორექტურა გაეპარა:




ეს ფოტო გოჩა თანდარაშვილმა გამოაქვეყნა

უნდა ეწეროს chelseafc.com. შეცდომის გაპარვას ვინ ჩივის, როცა „ჩელსის“ 58-ე წუთის შემდეგ მანჩესტერელთა სამი გოლი გაეპარა, თუმცა სამი ბურთი მარაგში ჰქონდა და მატჩიც 3:3 დასრულდა.

კიდევ უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა „ლივერპული“-„ტოტენჰემი“, რომლის მსვლელობისას მოედანზე კატამ



ჩამოიარა და გულშემატკივრებთან ერთად ფეხბურთელებიც გაახალისა. ფისომ მწვრთნელის დაუკითხავად მოედანზე შესვლა არ იკმარა, სოციალურ ქსელში საკუთარი პრო-ფაილი გახსნა (ცხადია, ეს რეალურად ინკოგნიტო ადამიანმა გააკეთა) და ერთი მახვილი ფრაზაც ისროლა: სამწუთიან გამოსვლაში დროში იმაზე მეტ ფეხბურთელს ჩავურბინე, ვიდრე სტივ დაუნინგმა მთელ სეზონშიო.

საინტერესო დამთხვევაა: გასულ უქმეებზე კატა „ბარსელონა“-„სოსიედადის“ მატჩშიც ჩაერთო.

## ხეზე დაკაკუნება რომ შველოდეს...

მე-16 მოგებაზე გაიყინა ზაზა ფაჩულიას „ატლანტა“: ზედიზედ სამი გასვლითი შეხვედრის მოგების შემდეგ მწვრთნელმა ლარი დრიუმ სიამაყით თქვა - ჩემი გუნდი დიდი გველია, რომლის თავი ჯო ჯონსონიაო. ეტყობა, ლარიმ ამის თქმისას ხეზე სამჯერ არ დააკაკუნა, მისი გუნდი გაითვალა და ზედიზედ სამი საშინაო მატჩი წააგო.

## ჩშვილი, შვილი, ვილი...

ილბლიანი ფეხით შეაბიჯა გერმანიის მეორე ბუნდესლიგის „ბოხუმში“ ნიკოლოზ გელაშვილმა. პირველივე მატჩში ქუსლით გატანილმა გოლმა გულშემატკივრების აღფრთოვანება გამოიწვია. მატჩის გამოხმაურებებში არაერთი დანქე-მადლობაა, თუმცა გერმანელებს ერთი საკითხი კი გაუხდიათ სადავოდ: ზოგი „გულასშვილად“ მოიხსენიებს, ზოგი „გელასჩშვილს“. ქართველი გულშემატკივრები უსწორებენ - გელაშვილი, მაგრამ საშველი მაინც არ არის. ბოლოს და ბოლოს ერთმა ქომაგმა გამოსავალი მოძებნა: ქართველების გვარები „ვილიზე“ მთავრდება, იაშვილი, კობიაშვილი... ჰოდა ჩვენს ქართველს ბოხუმელი „ვილი „ დავუძახოთო.

## სიძე შე ძველო

შუა ზამთარში ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო ყოფილმა მოტომრბოლელმა ჯეიმს ტოსლენდმა - ცოლის მოყვანა გადაწყვიტა და 18 იანვარს გააცხადა, ქეთი მელუაზე გავმიჯნურდიო. ამ ამბის შეტყობისთანავე დავინტერესდი: ვინ არის სასიძო, რისთვის მიუღწევია კარიერაში და რაც მთავარია, აქვს თუ არა დიპლომი. ქართული ფილმის გმირ ვარდენს რომ გაუხარდებოდა, ისეთი დიპლომი ჰქონია ჯეიმსს - 2009 წელს შეფილდის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. მას სპორტული წარმატებებიც არ აკლია - „მსოფლიოს სუპერბაიკის“ ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა (2004 წელს). თუმცა, მიღწევებით ქართველი მომღერალი არ გაუოცებია, რასაც თავად ტოსლენდის სიტყვებიდან ვგებულობთ:

- ქეითი ჩემი სპორტსმენობით როდი მოიხიბლა, წარმოდგენა არ ჰქონდა მოტომრბოლელი რომ ვიყავი. არც ის იცოდა, როგორ გამოიყურება ვალენტინო როსი.

როგორც ირკვევა წყვილი ერთმანეთს მუსიკამ შეახვედრა, სასიძოც მღერის. მან 2010 წლის შემდეგ მოტომრბოლელის კარიერა დაასრულა და მუსიკისთვისაც მეტად მოიცალა.




ჯეიმსი და ქეთი

## კალათბურთი




**ზაზა ფაჩულიას იგორ კოკოშკოვი** ეწვია. შეგირდი ზაზას „ატლანტამ“ მწვრთნელი იგორის (ასისტენტად მუშაობს) „ფინიქსთან“ დათმო. კვანძი მესამე პერიოდის დასაწყისში გაიხსნა: ფაჩულიას ნაცვლად მოედანზე **ვლადიმირ რადმანოვიჩი** რომ შევიდა, „ფინიქს სანსი“ მხოლოდ 4 ქულით იგებდა (62:58), ზაზა მოედანზე 8 წუთში, მეოთხე პერიოდის დასაწყისში დაბრუნდა და მისი გუნდი უკვე 20 ქულის სხვაობით ჩამორჩებოდა - 64:84. მასპინძლებმა საფინალო სირენამდე სხვაობის 9 ქულამდე შემცირებაღა მოახერხეს (90:99).

ფაჩულიას პოლონელი **მარცინ გორტატის** წინააღმდეგ უწევდა თამაში, რომელიც სეზონში საშუალოდ 14.9 ქულასა და 10.2 მოხსნას აგროვებს. „ატლანტასთან“ გორტატმა 35 წუთში 8 ქულა და 9 მოხსნა მოაგროვა. ზაზამ კი ბევრი იშრომა და ჩაჭრებში სეზონის რეკორდი დაამყარა - 3 (სრულ სტატისტიკას ქვემოთ იხილავთ).

**ატლანტა-ფინიქსი 90:99**

**ზაზა ფაჩულია:** 26 წუთი, 7 ქულა (7/2 ორქულიანი, 3/3 საჯარიმო), 8 მოხსნა, 2 პასი, 3 ჩაჭრა, 1 დაფარება, 1 შეცდომა, 4 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 9:19 | 5-4 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 8:25 | 8-6 | ჩაჭრა: 1 (ნეშს ჩაუჭრა) |
| 6:15 | 13-14 | ფოლი: 1 |
| 4:46 | 16-18 | დაფარება: 1 (ფრეიეს დაუფარა) |
| 4:07 | 18-18 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 4:07 | 18-18 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 4:07 | 18-18 | მოხსნა: შეტ-2, დაც-1 |
| 4:05 | 18-20 | ორქულიანი: 2ქ |
| 4:05 | 18-21 | საჯარიმო: 1/1 (3ქ) |
| 3:28 | 20-21 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 |
| 3:25 | 20-21 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 0:40 | 27-23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 0:37 | 27-23 | მოხსნა: შეტ-4, დაც-1 |
| 0:37 | 27-23 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |
| **II პერიოდი** | | |
| 7:52 | 35-25 | ზაზამ მაკგრეიდი შეცვალა |
| 7:09 | 37-27 | პასი: 1 (ტიგი 2ქ) |
| 6:16 | 41-27 | ფოლი: 2 |
| 6:16 | 41-27 | შეცდომა: 1 |
| 5:48 | 43-29 | ორქულიანი: 5ქ |
| 3:38 | 46-31 | მოხსნა: შეტ-5, დაც-1 |
| 3:26 | 46-31 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 3:19 | 46-31 | ჩაჭრა: 2 (ჩილდრესს ჩაუჭრა) |
| 1:35 | 49-38 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა |
| **III პერიოდი** | | |
| 10:10 | 60-52 | მოხსნა: შეტ-5, დაც-2 |
| 9:37 | 60-55 | ფოლი: 3 |
| 9:25 | 60-55 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |
| 8:08 | 62-58 | ფოლი: 4 |
| 8:08 | 62-58 | რადმანოვიჩმა ზაზა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | | |
| 9:17 | 86-66 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 9:06 | 86-66 | ჩაჭრა: 3 (ტელფეარს ჩაუჭრა) |
| 9:02 | 86-68 | საჯარიმოები: 2/2 (7ქ) |
| 7:54 | 89-73 | პასი: 2 (ბრინი 2ქ) |
| 7:33 | 89-74 | ი. ჯონსონმა ზაზა შეცვალა |

## დღეს, მომავლისთვის

ფიბა-სინსტრუქტორმა **ვიქტორ მასიმ** გუშინ ქართველ მსაჯებს, კომისრებსა და მატჩების მომსახურე მდივნებს მორიგი სემინარი ჩაუტარა. რის შემდეგაც პრესკონფერენცია გაიმართა.

**ბესიკ ლიპარტელიანი** (კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):

- მართალია, გვყავს მაღალი დონის მსაჯები და კომისრები, მაგრამ მათთვის პერიოდულად ასეთ სემინარებში მონაწილეობა აუცილებელია. ჩვენი სტუმარი გამოცდილი ადამიანია და ქართველ კოლეგებს გამოცდილებას გაუზიარებს, ასევე შეაფასებს საერთო მდგომარეობას და განსაზღვრავს, მომავალში რა უნდა გაკეთდეს.

ვიქტორ მასი:

- მადლობა საქართველოს კალათბურთის ფედერაციას მოწვევისთვის. ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან თანამშრომლობა. მსაჯების დონის ამაღლება სასურველი და მნიშვნელოვანია. სემინარის მიზანიც ეს არის. მართალია, ქართველი არბიტრების რიცხვი დიდი არ არის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში მსაჯების რაოდენობაც და მათი ცოდნის დონეც საგრძნობლად მოიმატებს. ადრე რთული იყო კვალიფიკაციის მოკლე დროში ამაღლება, ახლა ამ მხრივ განსხვავებული ვითარებაა. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ეს პროცესი საგრძნობლად გააიოლა.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა



ერთა თასი

# ესპანეთთან საბრძოლო რაზმი დღეს გაცხადდება

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის გათამაშებისთვის მზადებას „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ განაგრძობს. „ბორჯღალოსნები“ ჯერ ისევ გაფართოებული შემადგენლობით ვარჯიშობენ. ნაკრების ახალზელანდიელი მწვრთნელი **მილტონ ჰეიგი იმ** 24 მორაგბეს, რომლებიც ესპანეთში გაემგზავრებიან, დღეს დაასახელებს.

საქართველოს ნაკრებთან სათამაშოდ მზადებას ესპანელები გუშინ შეუდგნენ. მათი თავკაცის **რეჟის სონეს** მიერ ერთი კვირის წინ გაცხადებულ გაფართოებულ შემადგენლობაში ორი ცვლილებაა. ქართული წარმოშობის შერკინების ბურჯი **დავით გურგენიძე** ტრავმირებულია და მის ნაცვლად **ჯო ჰატჩინსონი** იხმეს. ფრანგულმა კლუბმა „ბორდომ“ არ გაათავისუფლა შერკინების კვაჭი **ფრენკ ლები**, რომელიც ბიარიცელმა **არტეა დელ გეტხომ** შეცვალა.

ალსინშნავია, რომ „ლომების“ რიგებში, ისევე როგორც შარშან, ამჯერადაც ბევრია ფრანგული და ბრიტანული გვარის მორაგბეები. ძნელი სათქმელია, ამჟამად როგორ განვითარდება მოვლენები, რადგან გასულ სეზონში სონეს მიერ აღებულმა ამ კურსმა არ გაამართლა და ესპანელები სატურნირო ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე არიან.

ამასობაში რუმინეთის რაგბის ფედერაციამ გაავრცელა განცხდება, რომლის მიხედვითაც FIRA AER-ს უკრაინასთან მატჩის გადადებას სთხოვს. რუმინეთში, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთ ევროპაში, დიდი ყინვებია. რუმინელებმა 4 თებერვალს პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან საკმაოდ ექსტრემალურ პირობებში ითამაშეს, თუმცა ამჯერად გადაწყვიტეს, ზედმეტ რისკს თავი აარიდონ და შეხვედრა მოგვიანებით გამართონ. მით უფრო, რომ უკრაინის ნაკრები არ არის ის გუნდი, რომელმაც „სტეუარის“ შეიძლება პრობლემები შეუქმნას. ბოლო სიტყვა FIRA AER-ზეა.

სანამ „ბორჯღალოსნები“ ერთა თასის წლევანდელი გათამაშების პირველი მატჩისთვის ემზადებიან, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი **გიორგი ნიჟარაძე** და საერთაშორისო ურთიერთობის კომიტეტის ხელმძღვანელი **ლაშა ხურციძე** ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ლას ვეგასში იმყოფებიან, სადაც მომავალი წლიდან გასამართი მეორე დონის გუნდების ტურნირზე იმსჯელებენ.

ამ ღონისძიებაზე, რომლის ორგანიზატორიც რაგბის საერთაშორისო საბჭოა (IRB) ასევე იმყოფრებიან კანადის, იაპონიის, რუსეთის, რუმინეთის, ფიჯის, ტონგას, სამოას, ნამიბიისა და აშშ-ის რაგბის ხელმძღვანელები. მათთან ერთად მომავალი ტურნირის დეტალების განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ IRB-ს განვითარების ხელმძღვანელი **მარკ იგანი**, კომერციული დირექტორი **ჰიუ მორგანი**, რეგიონალური განვითარების მენეჯერი **ტომ ჯონსი** და ტურნირების მენეჯერი **ფილიპ ბურდარიასი.**


საქართველო-ესპანეთი. 2011 წელი

**ესპანეთის ნაკრები**

**ტომ პარკერი (ორდიზია), გლენ როლსი (ვალიადოლიდი), რაიან ლერუ, კრეიგ ლიონსი (ორივე-სანტაბოიანა), ხოსე ბლაკო (ვიგო), ჯონათან ფილიპსი (ლა ვილა), ხესუს მორენო (ლიმოჟი), ადრიან აისტერანი, გაუტიერ გუბუნი, ენტონი პრადალი (სამივე-პერიგო), ხესუს რეკუერდა (ლილი), არტეა დელ გეტხო (ბიარიცი), ჩარლი მელი (ბეზიე), სებასტიან ასკარატი, მატიო პელუშონი (ორივე-ოში), ბენატ ეჩეპარე, მატიო ვისენსანი (ორივე-ტიროსი), მატიო როჩა (ორიაკი), ჯო ჰატჩინსონი (კარკასონი), პიერ ბელუნსე (კოლომიე), სებასტიან პიფარდი (სენტ ეტიენი), პიერ გარსია (კასტრი), სერხიო სევილია (კლერმონი), სეზარ სემპერე (ნორსჰემპთონი).**

**ერთა თასი**

**11 თებერვალი**

ესპანეთი-საქართველო, პორტუგალია-რუსეთი, რუმინეთი-უკრაინა (გადაიდო).

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საქართველო - 22 ქულა, 2. რუმინეთი - 20, 3. პორტუგალია - 14, 4. რუსეთი - 11, 5. ესპანეთი - 10, 6. უკრაინა - 0.

სიმბოლური ნაკრები


ეროვნული ბიბლიოთეკა
ბურთით ჯორჯ ნორსი

# ყველაზე მეტი ფრანგი და უელსელია

ექვსი ერის წლევანდელი გათამაშება საინტერესოდ დაიწყო. მართალია, ფავორიტებმა თავიანთი შეხვედრები მოიგეს, მაგრამ საამისოდ საკმაოდ დიდი ჯაფა დაადგათ. ნიშანდობლივია, რომ პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში ინგლისის ეროვნული გუნდიდან მხოლოდ ერთი, ახალგამომცხვარი კაპიტანი, შერკინების მესამეხაზელი **კრის რობშო** მოხვდა.

ერთი მორაგბე მიავლინა საუკეთესოთა შორის იტალიამაც. „სკუადრა აძურაში“ გამორჩეული იყო სამხრეთაფრიკული წარმოშობის მეორეხაზელი **კორნელიუს ფან ზილი**. მარცხის მიუხედავად სიმბოლურ ნაკრებში ორი შოტლანდიელიც მოხვდა, მგეზავი **გრეგ ლაიდლოუ** და მეორეხაზელი **ჯიმი ჰამილტონი**.

ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი მორაგბე ჰყავს უელსსა და საფრანგეთს. აღსანიშნავია, რომ საუკეთესოთა შორის მოხვდა საფრანგეთის ნაკრების დებიუტანტი, შუამარბი **ვესლი ფოფანა** და **შეინ ვილიამსის** შემცვლელი, უელსელი გარემარბი **ჯორჯ ნორსი**.

**სიმბოლური ნაკრები**

**15. რობ კირნი (ირლანდია), 14. ჯორჯ ნორსი, 13. ჯონათან დევისი (ორივე-უელსი), 12. ვესლი ფოფანა, 11. ჟულიენ მალზიო (ორივე-საფრანგეთი), 10. გრეგ ლაიდლოუ (შოტლანდია), 9. მაიკ ფილიპსი (უელსი). 1. კიან ჰილი, 2. რორი ბესტი (ორივე-ირლანდია), 3. ნიკოლა მასი (საფრანგეთი), 4. კორნელიუს ფან ზილი (იტალია), 5. ჯიმი ჰამილტონი (შოტლანდია), 6. რაიან ჯოუნზი (უელსი), 7. კრის რობშო (ინგლისი), 8. ლუი პიკამოლი (საფრანგეთი).**

ექვსი ერი

# ფილიპ სენტ-ანდრემ შერკინება გადაახალისა

საფრანგეთის ნაკრები ექვსი ერის მეორე ტურის შეხვედრას ისევ შინ, პარიზში, „სტად დე ფრანსზე გამართავს. „ლე ბლოს“ მეტოქე ამჯერად ირლანდიის ეროვნული გუნდი იქნება, რომელიც გასულ უქმეებზე საკუთარ მოედანზე დამარცხდა დრამატულ ბრძოლაში უელსის ნაკრებთან - 21:23.

ფრანგთა თავკაცმა **ფილიპ სენტ-ანდრემ** გუნდის შემადგენლობაში ოთხი ცვლილება განახორციელა და ოთხივე ეს ცვლილება შერკინების მოთამაშეებს შეეხო. სენტ-ანდრე უკმაყოფილო დარჩა პირველხაზელთა გარჯით და ამიტომ, შერკინების ბურჯი **ვენსან დებატი ჟან-ბატისტ პუმ** შეცვალა. გუნდის ვეტერანის, შერკინების კვაჭის **ვილიამ სერვას** ადგილს სტადფრანსელი **დიმიტრი შუარჟევსკი** დაიკავებს.

იტალიასთან მატჩში თავი ვერ გამოიჩინა მეორეხაზელმა **ლიონელ ნალემ**, მის ნაცვლად სენტ-ანდრემ დებიუტანტ **იოან მაესტრის** უხმო. ფრანგთა ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდა ბასკი მესამეხაზელი **იმანოლ არინორდოკი**, რომელმაც ფლანკერი **ჟულიენ ბონერი** შეცვალა.

სენტ-ანდრემ უცვლელი დატოვა უკანა ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ **დიმიტრი იაშვილისა** და ფრანსუა ტრინდუკის დუეტი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაინც მათ უფრო ენდობა, ვიდრე **მორგან პარასა** და **ლიონელ ბოქსის** წყვილს.

**საფრანგეთი: 15. მაქსიმ მედარი, 14. ვინსენ კლერი, 13. ორელიან რუჟერი, 12. ვესლი ფოფანა, 11. ჟულიენ მალზიო, 10. ფრანსუა ტრინ-დუკი, 9. დიმიტრი იაშვილი. 1. ჟან-ბატისტ პუ, 2. დიმიტრი შუარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. იოან მაესტრი, 6. ტიერი დუსოტუარი, 7. იმანოლ არინორდოკი, 8. ლუი პიკამოლი.**

**16. ვილიამ სერვა, 17. ვენსან დებატი, 18. ლიონელ ნლე, 19. ჟულიენ ბონერი, 20. მორგან პარა, 21. ლიონელ ბოქსი, 22. მაქსიმ მერმოსი.**

**ექვსი ერი**

**11 თებერვალი**

საფრანგეთი-ირლანდია, იტალია-ინგლისი, უელსი-შოტლანდია

**სატურნირო მდგომარეობა**

1. საფრანგეთი - 2 ქულა, 2. ინგლისი - 2, 3. უელსი - 2, 4. ირლანდია - 0, 5. შოტლანდია - 0, 6. იტალია - 0.


დიმიტრი შუარჟევსკი

მსოფლიოს თასი - 2019

# ტოკიო სთედიუმი 100 ათასს დაიტევს

ტოკიოს სტადიონზე, რომელიც 2019 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთი მასპინძელი და, სავარაუდოდ, ფინალური მატჩის არენა იქნება, უახლოეს დღეებში რეკონსტრუქცია დაიწყება. ეს სტადიონი 1964 წელს აშენდა ოლიმპიური თამაშებისთვის. მან 1991 წელს მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპინატს უმასპინძლა, 1980 და 2001 წლებში კი აქ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი ჩატარდა ფეხბურთში.

*„დღესდღეობით „ტოკიო სთედიუმი“ 50 ათას მაყურებელს იტევს. ის მოძველდა და განახლებას საჭიროებს. რეკონსტრუქციის პროექტი უკვე შეთანხმებულია და მისი დასრულების შემდეგ ტევადობა ასი ათასამდე გაიზრდება.*

*ალსანიშნავია, რომ სტადიონი უნივერსალური იქნება. საჭიროებისამებრ ის ველოტრეკად გადაიქცევა. ცხადია, რაგბის მატჩებთან ერთად აქ ფეხბურთის შეხვედრების გამართვაც იქნება შესაძლებელი.*

*რეკონსტრუქციას 100 მილიარდი იაპონური იენი დასჭირდება (1 მილიარდ 310 მილიონი დოლარი) და ის 2018 წლის ბოლოს დასრულდება“* - თქვა იაპონიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **ტაცუზო იაბემ.**

ვარსკვლავი

# ვილიამსმა პენსიაზე გასვლა დაადასტურა

უელსის ნაკრების გარემარბმა და მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო მორაგბემ **შეინ ვილიამსმა** სეზონის დასრულების შემდეგ რაგბიდან წასვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება დაადასტურა. 34 წლის მორაგბე ბოლოს მოედანზე 2 ივნისს „ბარბაროსების“ შემადგენლობაში გამოჩნდება უელსის ნაკრებთან მატჩში. მას სურვილი აქვს, რაც შეიძლება მეტი დრო ბიზნესსა და იჯახს დაუთმოს.

*„წლეულს ძალიან მძიმე სეზონი მქონდა. იმდენად, რომ რაგბის თამაშით უწინდებურად სიამოვნებას ველარ ვიღებ. მიმაჩნია, რომ ახლა სწორედ ის დროა, ბუცები ლურსმანზე დავკიდო. მაგრამ, ამასთან ერთად, „ოსფრიზშიც“ დავრჩები. ეს გუნდი ჩემთვის ოჯახივითაა და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ყველას თანადგომისთვის.*

*ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ მოედანზე სულ უფრო და უფრო სუსტად ვგრძნობ თავს. თანაც მოდიან ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებსაც გამარჯვების წყურვილი კლავთ და ისე გამოდის, რომ მე მათ გზას ვულობავ.*

*რაგბიდან წასვლის შემდეგ, სურვილი მაქვს, „ოსფრიზის“ დირექტორატში დავიწყო მუშაობა. ძალიან მაინტერსებს სარაგბო მენეჯმენტი და მარკეტინგი. მაქვს ასევე შემოთავაზება რამდენიმე ტელეკომპანიისგან. უნდა ვალიარო, რომ ეს საქმეც ძალიან მიზიდავს. ვნახოთ, მოსაფიქრებლად დრო საკმარისად მაქვს“* - თქვა შეინ ვილიამსმა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ალენი პუერტო რიკოს მიადგა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი ვარსკვლავი **ალენ აივერსონი** კვლავ კლუბის ძიებაშია. NBA-ში არავინ მოისურვა მცველთან კონტრაქტის გაფორმება და ახლა აივერსონის აგენტი პუერტო რიკოში იქაურ კლუბებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს.

პუერტო რიკოში ჩემპიონატი 30 მარტს იწყება, თითო გუნდი 30 შეხვედრას ჩაატარებს. ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, 36 წლის კალათბურთელს თვეში 20 ათასი დოლარის ოდენობის ხელფასის იმედი უნდა ჰქონდეს.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი სეზონი აივერსონმა "ბეშიქთაშში" დაიწყო, მაგრამ ნახევარი სეზონიც ვერ ითამაშა თურქულ კლუბში.

■ ■ ■

NBA-ის ყოფილი მოთამაშე **ოლივერ მილერი** თავისი შეყვარებულის ძმაზე თავდასხმისთვის ერთწლიანი პატიმრობით დაისაჯა. ინციდენტი 2011 წლის აპრილში მოხდა, როცა 41 წლის კალათბურთელი მერილენდის შტატის ქალაქ არნოლდში სალამოზე იყო მიწვეული. მილერმა პოლიციის მისვლამდე მოახერხა ინციდენტის ადგილიდან გაქცევა. მოგვიანებით ის მოწმეების ინფორმაციის წყალობით აიყვანეს.

მილერი 1992 წლის დრაფტზე აირჩიეს. მას "ფინიქსის", "დეტროიტის", "ტორონტოს", "დალასის", "საკრამენტოსა" და "მინესოტას" შემადგენლობაში უთამაშია. ის ნიჭიერ ცენტრად მიიჩნეოდა, რომელსაც პასების მიცემა შეეძლო. მილერის კარიერის პიკი იყო 1995-96 წლების სეზონი, როცა ის "ტორონტოს"


ლავი და სკოლა დუელში

შემადგენლობაში 12.9 ქულასა და 7.4 მოხსნას აგროვებდა.

■ ■ ■

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა "მინესოტას" ლიდერის – **კევინ ლავის** ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასჯა გადაწყვიტა. მძიმე ფორვარდს არ აპატიეს "ჰიუსტონთან" მატჩში განზრახ უხეში თამაში. კერძოდ, ლავმა წაქცეულ **ლუის სკოლას** პირდაპირ სახეზე დააბიჯა ფეხი.

ასე რომ, ლავს მოუწევს "საკრამენტოსთან" და "მემფისთან" მატჩების გამოტოვება.

■ ■ ■

გუშინ, "ნიუ იორკ ნიქსმა" "იუტასთან" მატჩი თავისი ერთ-ერთი ლიდერის **ამარე სტაუდმაიერის** გარეშე ითამაშა. ნიუიორკელთა ცენტრი სასწრაფოდ გაფრინდა ფლორიდაში თავისი ძმის ავტოკატასტროფაში დაღუპვის გამო.

ამარეს 35 წლის ძმა - **ჰეიზლი** მაღალი სიჩქარით მოძრაობდა, როცა ტრაქტორის მისაბმელს შეეჯახა. ის ადგილზევე დაიღუპა.

# კობიმ შაქს გაასწრო

ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ორლანდოში შედგა ადგილობრივი "მეჯიქისა" და "ლოს ანჯელეს კლიპერსის" დაპირისპირება. დიდ ინტერესს იწვევდა ამ გუნდების მაღლების – **დუაიტ ჰოვარდისა და ბლეიკ გრიფინის** დაპირისიპირება.

სტატისტიკური მონაცემებით ჰოვარდმა აჯობა გრიფინს. დუაიტმა 33 ქულა და 14 მოხსნა დააგროვა, გრიფინის მონაგარი 18 ქულა და 10 მოხსნა იყო. მაგრამ თუ „სუპერმენმა" აჯობა თავის ვიზავის, შეხვედრა კლიპერსის გამარჯვებით დასრულდა.

„ორლანდომ" კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველი მეოთხედის შემდეგ ცხრა ქულით გავიდა წინ. მეორე მეოთხედში მასპინძლების უპირატესობა 15 ქულამდე გაიზარდა, მაგრამ „კლიპერსმა" მეორე და მესამე მეოთხედებში არა მარტო გააბათილა ჩამორჩენა, არამედ ბოლო მეოთხედის წინ სამი ქულით წინ გასვლაც მოახერხა.

ბოლო 12-წუთეულში ქულა ქულაში თამაში მიდიოდა. „კლიპერსს" შეეძლო ძირითად დროში მოეპოვებინა გამარჯვება, მაგრამ ბოლო წამებზე გრიფინმა


კობი ფილადელფიის წინააღმდეგ

ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა.

დამატებით დროში, თავდაპირველად, "ორლანდო" დაწინაურდა – 100:96, მაგრამ ამის შემდეგ, კლიპერსმა 7 უპასუხო ქულა მოიპოვა და ინიციატივა ხელიდან არ გაუშვია. ამ გაქცევის სულისჩამდგმელი **კრის პოლი** გახდა, რომელმაც ჯამში 29 ქულა დააგროვა.

სწორედ მისი მონდომებით „კლიპერსმა" 107:102 მოიგო და შეწყვიტა "ორლანდოსთან" 9-მატჩიანი წაგებათა სერია. თანაც, ბოლო 7 მატჩში მეექვსედ გაიმარჯვა და მეორე ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში.

■ ■ ■

"ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში საუკეთესო ხუთეულში შევიდა.

"ფილადელფიასთან" გუშინდელი მატჩის შემდეგ, რომელშიც კობიმ 28 ქულა დააგროვა, კალიფორნიელმა ვარსკვლავმა თავისი ყოფილი თანაგუნდელი – **შაკილ ო'ნილი** ჩამოიტოვა უკან. კობის ამისთვის 24 ქულის დაგროვება სჭირდებოდა.

ამჟამად "ლეიკერსის" მცველის მონაგარი 28 601 ქულას შეადგენს, შაკმა კარიერა 28 596 ქულით დაასრულა.

"სიქსერზთან" მატჩი "ლეიკერსმა" 90:95 წააგო. კობის ფილადელფიაში ტრადიციულად უსტვინეს - ბრაიანტი, თავის დროზე, ამ ქალაქში სწავლობდა.

### ყველა დროის TOP 10

| | |
|---|---|
| 1. ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 38 387 |
| 2. კარლ მელოუნი | 36 928 |
| 3. მაიკლ ჯორდანი | 32 292 |
| 4. უილტ ჩემბერლენი | 31 419 |
| 5. კობი ბრაიანტი | 28 601 |
| 6. შაკილ ო'ნილი | 28 596 |
| 7. მოზეს მელოუნი | 27 409 |
| 8. ელვინ ჰეიესი | 27 313 |
| 9. ჰაკიმ ოლაჟუონი | 26 946 |
| 10. ოსკარ რობერტსონი | 26 710 |

### კვირის მოთამაშეები

„ბოსტონის" ფორვარდი **პოლ პირსი** და „სან ანტონიოს" გამთამაშებელი **ტონი პარკერი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

ალმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი პირსი თავის გუნდს სამიდან სამი მატჩის მოგებაში დაეხმარა. პოლმა საშუალოდ 22.0 ქულა, 5.8 მოხსნა და 6.3 პასი დააგროვა.

ოთხიდან ოთხი მოგება ჰქონდა გასულ კვირას „სან ანტონიოს" და ამაში პარკერის წვლილი 22.3 ქულა, 8.0 პასი, 1.5 ჩაჭრა იყო.

#### პირსის კვირა

**31 იანვარი. კლივლენდი-ბოსტონი 90:93.** 20 ქულა, 6 პასი, 3 ჩაჭრა.

**1 თებერვალი. ბოსტონი-ტორონტო 100:64.** 17 ქულა, 6 მოხსნა, 8 პასი.

**5 თებერვალი. ბოსტონი-მემფისი 98:80.** 21 ქულა, 6 მოხსნა, 6 პასი.

#### პარკერის კვირა

**30 იანვარი. მემფისი-სან ანტონიო 73:83.** 5 ქულა, 5 მოხსნა, 12 პასი, 2 ჩაჭრა.

**1 თებერვალი. სან ანტონიო-ჰიუსტონი 99:91.** 24 ქულა, 4 პასი, 2 ჩაჭრა.

**2 თებერვალი. სან ანტონიო-ნიუ ორლეანი 93:81.** 18 ქულა, 7 პასი, 5 მოხსნა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **დერეკ როუზი** („ჩიკაგო"), **ანდერსონ ვარეჟაო** („კლივლენდი"), **გრეგ მონრო** („დეტროიტი"), **ლებრონ ჯეიმსი** („მაიამი"), **დუეინ უეიდი** („მაიამი"), **ბრენდონ ჯენინგსი** („მილუოკი"), **კევინ ლავი** („მინესოტა"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა") და **ლამარკუს ოლდრიჯი** („პორტლენდი").

#### ორლანდო-კლიპერსი 102:107 (ო)

30:21, 17:21, 15:23, 32:29, 8:13

ო: ჰოვარდი (33+14 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (20), ნელსონი (15+12 პასი), ანდერსონი (10+9 მოხსნა).

კ: პოლი (29+8 პასი+7 მოხსნა), გრიფინი (18+10 მოხსნა), ბილაპსი (18), ბატლერი (14+3 ჩაჭრა).

#### ფილადელფია-ლეიკერსი 95:90

21:24, 25:26, 24:19, 25:21

ფ: უილიამსი (24), ჰოლიდეი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), იგუოდალა (12+5 პასი).

ლ: ბრაიანტი (28+6 პასი+5 მოხსნა), ბინუმი (20+20 მოხსნა+3 დაფარება), გასოლი (16+11 მოხსნა).

#### ნიუ იორკი-იუტა 99:88

19:16, 32:22, 24:35, 24:15

ნ-ი: ლინი (28+8 პასი), ნოვაკი (19), ჯეფრიზი (13+8 მოხსნა), უოკერი (11+5 მოხსნა), ჩენდლერი (10+7 მოხსნა+3 დაფარება).

ი: ჯეფერსონი (22), ბელი (15), ჰეივორდი (14), მილსეპი (9+13 მოხსნა).

#### ნიუ ორლეანი-საკრამენ. 92:100

29:20, 23:19, 26:30, 14:31

ნ-ო: ვასკესი (20+9 პასი), ოკაფორი (19+7 მოხსნა), ბელინელი (18), არიზა (11+6 მოხსნა), კამანი (10+12 მოხსნა).

ს: კაზინსი (28+19 მოხსნა+3 დაფარება), ევანსი (20+5 მოხსნა), ტომასი (17+6 პასი+5 მოხსნა), ტორნტონი (12), სელმონსი (10).

#### დენვერი-ჰიუსტონი 90:99

28:26, 17:21, 26:26, 19:26

დ: გალინარი (14), ფერნანდესი (14), ლოუსონი (13+7 პასი), ჰარინგტონი (12+15 მოხსნა), მილერი (12), ანდერსენი (10+9 მოხსნა).

ჰ: სკოლა (25+8 მოხსნა), ლოური (20+6 პასი), ბადინგერი (16+5 მოხსნა), ლი (10+5 მოხსნა).

#### ვაშინგტ.-ტორონტო 111:108 (ო)

29:19, 28:23, 25:30, 23:33, 6:3

ვ: უოლი (31+7 პასი+5 მოხსნა), იანგი (29+5 მოხსნა), ბუკერი (19+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კროუფორდი (13).

ტ: ბეილესი (30), კლეიზა (30+5 მოხსნა), დეროზანი (15), ჯ. ჯონსონი (10+6 პასი), ა. ჯონსონი (6+10 მოხსნა).

#### ატლანტა-ფინიქსი 90:99

23:27, 25:28, 16:29, 26:15

ა: სმიტი (18+5 მოხსნა), ჯ. ჯონსონი (17), გრინი (14), ა. ჯონსონი (9+5 მოხსნა).

ფ: ნეში (24+11 პასი), ფრაი (19+9 მოხსნა), დადლი (10), რედი (10).

#### ნიუ ჯერსი-ჩიკაგო 87:108

14:35, 23:27, 27:21, 23:25

ნ-ჯ: დ. უილიამსი (25+5 პასი), გრინი (12), ფარმარი (11+5 პასი), ჰემფრიზი (10+9 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (24+6 მოხსნა+5 პასი), დენგი (19), უოტსონი (14+11 პასი+7 მოხსნა), ბრიუერი (12), გიბსონი (11), ნოა (9+12 მოხსნა+5 პასი).

#### მემფისი-სან ანტონიო 84:89

18:26, 28:26, 27:15, 11:22

მ: გასოლი (22+9 მოხსნა), კონლი (19+8 პასი), გეი (18+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

ს-ა: პარკერი (21+7 პასი+3 ჩაჭრა), დანკანი (19+17 მოხსნა+5 დაფარება), სპლიტერი (14+6 მოხსნა).

#### პორტლენდი-ოკლაჰომა 107:111

31:29, 21:21, 27:25, 24:18, 4:8

პ: ოლდრიჯი (39+6 მოხსნა), მეტიუზი (18), კროუფორდი (17+5 პასი), ბატუმი (13+3 ჩაჭრა), კემბი (8+15 მოხსნა).

ო: დურანტი (33+7 მოხსნა+5 პასი), უესტბრუკი (28+11 მოხსნა+8 პასი), ჰარდენი (19), იბაკა (12+13 მოხსნა+4 დაფარება), პერკინსი (6+10 მოხსნა).

#### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ჩიკაგო* | 27 | 21 | 6 | 77.8 |
| 2. მაიამი* | 24 | 18 | 6 | 75.0 |
| 3. ფილადელფია* | 25 | 18 | 7 | 72.0 |
| 4. ინდიანა | 23 | 16 | 7 | 69.6 |
| 5. ატლანტა | 25 | 16 | 9 | 64.0 |
| 6. ორლანდო | 25 | 15 | 10 | 60.0 |
| 7. ბოსტონი | 23 | 13 | 10 | 56.5 |
| 8. მილუოკი | 23 | 10 | 13 | 43.5 |
| 9. კლივლენდი | 22 | 9 | 13 | 40.9 |
| 10. ნიუ იორკი | 25 | 10 | 15 | 40.0 |
| 11. ნიუ ჯერსი | 26 | 8 | 18 | 30.8 |
| 12. ტორონტო | 26 | 8 | 18 | 30.8 |
| 13. დეტროიტი | 26 | 6 | 20 | 23.1 |
| 14. ვაშინგტონი | 25 | 5 | 20 | 20.0 |
| 15. შარლოტი | 24 | 3 | 21 | 12.5 |

#### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ოკლაჰომა* | 24 | 19 | 5 | 79.2 |
| 2. კლიპერსი* | 22 | 15 | 7 | 68.2 |
| 3. სან ანტონიო* | 26 | 17 | 9 | 65.4 |
| 4. დენვერი | 25 | 15 | 10 | 60.0 |
| 5. იუტა | 23 | 13 | 10 | 56.5 |
| 6. ლეიკერსი | 25 | 14 | 11 | 56.0 |
| 7. პორტლენდი | 25 | 14 | 11 | 56.0 |
| 8. ჰიუსტონი | 25 | 14 | 11 | 56.0 |
| 9. დალასი | 25 | 14 | 11 | 56.0 |
| 10. მინესოტა | 24 | 12 | 12 | 50.0 |
| 11. მემფისი | 25 | 12 | 13 | 48.0 |
| 12. ფინიქსი | 24 | 10 | 14 | 41.7 |
| 13. გ. სტეიტი | 21 | 8 | 13 | 38.1 |
| 14. საკრამენტო | 24 | 9 | 15 | 37.5 |
| 15. ნიუ ორლეანი | 25 | 4 | 21 | 16.0 |

* - დივიზიონის ლიდერი

#### ქულა

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 29.3 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 29.2 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.0 |
| კევინ ლავი (მინ) | 25.0 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 23.7 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 22.7 |
| კარმელო ენტონი (ნ-იორ) | 22.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 21.9 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 21.3 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 21.2 |

#### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 15.1 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.7 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 12.4 |
| ანდერსონ ვარეჟაო (კლი) | 11.9 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.6 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 10.9 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.4 |
| მარკ გასოლი (მემ) | 10.2 |
| მარსინ გორტატი (ფინ) | 10.2 |

#### პასი

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 10.0 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 9.5 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.9 |
| კრის პოლი (კლიპ) | 8.9 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 8.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.4 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 8.0 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 7.9 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 7.7 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 7.1 |

#### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| რიკი რუბიო (მინ) | 2.3 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 2.0 |
| კაილ ლოური (ჰიუ) | 2.0 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 1.8 |
| მონტა ელისი (გ-სტ) | 1.8 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.8 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.8 |

#### დაფარება

| | |
|---|---|
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 3.1 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 3.1 |
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 2.4 |
| მარკ გასოლი (მემ) | 2.3 |
| სამუელ დალემბერი (ჰიუ) | 2.2 |
| ტაირუს ტომასი (შარ) | 2.1 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.1 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 2.0 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 2.0 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ჩოგბურთი

# სერენა უილიამსი პარტნიორს ეძებს

ყოფილმა რუსმა ჩოგბურთელმა **ანა კურნიკოვამ** მაიამიში კუთვნილი სახლი გაყიდა. მსოფლიოს ყოფილ მერვე ჩოგანსა და 1997 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტს უძრავი ქონებისთვის 9.4 მილიონი დოლარის მიღება სურდა, მაგრამ საბოლოოდ, 7.4 მილიონ დოლარს დასჯერდა.

კურნიკოვას ყოფილ სახლს შვიდი საძინებელი, კერძო პლაჟი, იახტების დასაყენებელი ადგილი და აუზი აქვს.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ამერიკელმა **ივან ლენდლმა** სამხრეთ კალიფორნიას შტატის ქალაქ ჰილტონ-ჰედ-აილენდში საკუთარი აკადემიის გახსნის შესახებ გამოაცხადა.

აკადემიის სახელწოდებაა - Ivan Lendl Junior Tennis Academy. როგორც ამერიკული პრესა წერს, ლენდლისა და სხვა სპეციალისტების ხელმძღვანელობით სკოლაში აშშ-ის, კანადის, რუსეთისა და ახალი ზელანდიის მოთამაშეები იმეცადინებენ.

■ ■ ■

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა **სერენა უილიამსმა** დაადასტურა ლონდონის ოლიმპიადაზე მიქსტში გამოსვლის სურვილი, თუმცა აღიარა, რომ ჯერ არ იცის ვინ იქნება მისი პარტნიორი.

*„ჯერჯერობით არ მომიფიქრებია ვისთან ერთად გამოვალ მიქსტში. თავიდან ენდი როდიკთან ერთად ვგეგმავდი გამოსვლას, მაგრამ მან ტრავმა მიიღო და ვერ შეძლო ავსტრალიის ღიაზე თამაში. ამ როლზე სხვა პრეტენდენტები არიან ძმები ბრაიანები და ჯონ ისნერი. ძალიან მომწონს ამ უკანასკნელის თამაში - მის მოწოდებაზე გეიმის აღება ძალიან რთულია. ჩემთვის ძნელი იქნება არჩევანის გაკეთება და ჯერჯერობით არ ვჩქარობ გადაწყვეტილების მიღებას"*, - ამბობს უმცროსი უილიამსი ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.


კურნიკოვას ყოფილი სახლი

კრივი

# მენიმ მეტოქე გაარკვია


მენი პაკიაო

ფილიპინელი მოკრივე **მენი პაკიაო** თავის მომდევნო ბრძოლას ამერიკელი **ტიმოტი ბრედლის** წინააღმდეგ გამართავს. ამის შესახებ გვამცნო „პაკმენის" პრომოუტერმა **ბობ არუმმა**. ოფიციალურად პაკიაოსა და ბრედლის ბრძოლის შესახებ უახლოეს დღეებში გამოცხადდება. შეხვედრა 9 ივნისს ლას ვეგასში გაიმართება.

ბოლო თვეებში მსოფლიოს საუკეთესო მოკრივედ აღიარებული მენი პაკიაო მოლაპარაკებებს აწარმოებდა **ფლოიდ მეივეზერთან**, მაგრამ მოკრივეები ბრძოლის ფინანსურ მხარეზე ვერ შეთანხმდნენ, ამიტომაც მათ შორის 5 მაისს შეხვედრა არ დაინიშნა. პაკიაო ითხოვდა საერთო ჰონორარის თანაბრად გაყოფას, მეივეზერი კი ფილიპინელს ან 40 მილიონ დოლარს ან საერთო შემოსავლის 40 პროცენტს სთავაზობდა. პაკიაომ ორივე წინადადებაზე უარი განაცხადა.

გარდა ამისა, ფილიპინელთან ბრძოლის კანდიდატებად მიიჩნეოდნენ: **ხუან მანუელ მარკესი, ლემონტ პიტერსონი** და **მიგელ კოტო**. დღეისთვის პაკიაო WBO-ის ვერსიით 66.7-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონია.

რაც შეეხება ბრედლის, ის ასევე WBO-ის ტიტულს ფლობს 63 კილოგრამში. პაკიაოსა და ბრედლის ბრძოლა 66-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში გაიმართება, ასე რომ, ამერიკელის ტიტული 9 ივნისს არ გათამაშდება.

სპორტული ოსკარები

# ნოვაკი, როგორც მოსალოდნელი იყო

ლონდონში გაიმართა ყველაზე პრესტიჟული სპორტული პრემიის – „სპორტული ოსკარების" გადაცემის ცერემონია. როგორც ყოველთვის, ნომინანტები სპორტულმა ჟურნალისტებმა გამოავლინეს, გამარჯვებულები კი ლაურეუსის სპორტული აკადემიის წევრებმა დაასახელეს. ამ აკადემიაში 47 ლეგენდარული სპორტსმენია გაერთიანებული.


ნოვაკ ჯოკოვიჩი

ძირითად ნომინაციებში გამარჯვებულები გახდნენ: მამაკაცებს შორის „ოსკარი" ერგო სერბ ჩოგბურთელს **ნოვაკ ჯოკოვიჩს**, რომელმაც შარშან „დიდი სლემის" სამი ტურნირი მოიგო;

საუკეთესო ქალი სპორტსმენია კენიელი მორბენალი **ვივიან ჩერიუოტი**, ვინც სეზონის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სტარტი მოიგო, მათ შორის, მსოფლიოს ჩემპიონატი; წლის გუნდად კი საფეხბურთო კლუბი „ბარსელონა". კატალონელებმა გაუსწრეს ისეთ ძლიერ კონკურენტებს, როგორებიც იყო „რედ ბული" და რაგბიში ახალი ზელანდიის ნაკრები.

ცერემონიაზე ორი გოლფისტიც დააჯილდოვეს. „წლის გარღვევის" პრიზი მიიღო ჩრდილოეთირლანდიელმა **რორი მაკილროიმ**, ხოლო „წლის დაბრუნების" ნომინაციაში გამარჯვა ასევე ჩრდილოირლანდიელმა **დარენ კლარკმა**.

ბოლოს, სპორტის განვითარებისთვის გაწეული წვლილი დაუფასეს ლეგენდარულ ინგლისელ ფეხბურთელს **ბობი ჩარლტონს**.

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# სიდნი გუნდს შეუერთდა

„პიტსბურგ პინგვინზის" ლიდერმა **სიდნი კროსბიმ** გუშინ ნოემბრის შემდეგ პირველად გუნდთან ერთად სრულფასოვან ვარჯიშში მიიღო მონაწილეობა.

გასულ კვირას, „პინგვინების" კაპიტანს კისერთან დაკავშირებული პრობლემები აღმოუჩინეს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია კროსბისთვის გაეგრძელებინა ტვინის შერყევით გამოწვეული ხანგრძლივი სარეაბილიტაციო კურსი. ამ სეზონში კანადური ჰოკეის მთავარმა ვარსკვლავმა მხოლოდ რვა მატჩის ჩატარება შეძლო.

გუშინდელი ვარჯიშის მიუხედავად, კროსბის ყინულზე დაბრუნების თარიღი უცნობია, რადგან ტვინის შერყევის ყველა სიმპტომი ჯერჯერობით შენარჩუნებულია.

## კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის შედეგების მიხედვით ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ პირველ ვარსკვლავად „ედმონტონის" ფორვარდი **სემ განიე** დაასახელა, რომელმაც ორ შეხვედრაში 11 ქულის (6+5) დაგროვება მოასწრო. ამასთან, ერთ მატჩში (8:4 „ჩიკაგოს" წინააღმდეგ) განიემ 8 ქულა (4+4) მიითვალა.

მეორე ვარსკვლავი გახდა „ნიუ ჯერსის" რუსი ვარსკვლავი **ილია კოვალჩუკი**. ოთხ მატჩში მისი მონაგარი 10 ქულას (3+7) შეადგენდა.

გასული შვიდი დღის მესამე ვარსკვლავია „ტორონტოს" გოლკიპერი **ჯეიმს რაიმერი** - მის ანგარიშზე ორი მშრალი მოდის: „პიტსბურგთან" (1:0) და „ოტავასთან" (5:0).

| ტორონტო-ედმონტონი | 6:3 |
|---|---|

2:2, 3:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ებერლე-23 (ჰოლი-21, სემ განიე-23), 1:1 მაკარტური-17 (გრაბოვსკი-20, კესელი-28), 2:1 გარდინერი-2 (გრაბოვსკი-21), 2:2 ებერლე-24 (პეტრი-11, ჰოლი-22), 3:2 კესელი-28 (ლომბარდი-6, ტიმ კონოლი-18), 4:2 ბოჟაკი-10, 4:3 პეტრი-2, 5:3 ლუპული-21 (ფანოფი-23), 6:3 კესელი-29 (ფანოფი-24, მაკარტური-13).

| ფინიქსი-დეტროიტი | 3:1 |
|---|---|

1:0, 1:1, 1:0

**გოლები:** 1:0 გორდონი-6: 2:0 ჰანჟალი-7 (რეი უიტნი-30, ვრბატა-19), 2:1 ფრანცენი-20 (ზეტერბერგი-29, დაციუკი-40), 3:1 ჰანჟალი-8 (რეი უიტნი-31).

| ანაჰაიმი-კალგარი | 3:2 (ბ) |
|---|---|

2:0, 0:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 რაიანი-20 (ვიშნოვსკი-15, გეტცლაფი-28), 2:0 ბელესკი-4 (ბრუკბანკი-6, სელიანე-32), 2:1 ტანგეი-6 (ბლეირ ჯონსი-4, ჰენანი-6), 2:2 იგინლა-20 (ო. იოკინენი-28, ჯორდანო-7).

**ბულიტები გაიტანეს:** ო. იოკინენი (კალგარი), პერი (ანაჰაიმი), რაიანი (ანაჰაიმი), ბლეირ ჯონსი (კალგარი), ჰაგმანი (ანაჰაიმი).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი* | 50 | 33 | 12 | 5 | 71 |
| 2. ბოსტონი* | 51 | 33 | 16 | 2 | 68 |
| 3. ფლორიდა* | 51 | 24 | 16 | 11 | 59 |
| 4. ფილადელფია | 52 | 30 | 16 | 6 | 66 |
| 5. პიტსბურგი | 53 | 30 | 19 | 4 | 64 |
| 6. ნიუ ჯერსი | 52 | 30 | 19 | 3 | 63 |
| 7. ტორონტო | 53 | 28 | 19 | 6 | 62 |
| 8. ოტავა | 55 | 27 | 21 | 7 | 61 |
| 9. ვაშინგტონი | 52 | 27 | 21 | 4 | 58 |
| 10. ვინიპეგი | 54 | 24 | 24 | 6 | 54 |
| 11. ტამპა ბეი | 51 | 23 | 23 | 5 | 51 |
| 12. აილენდერსი | 51 | 21 | 22 | 8 | 50 |
| 13. ბაფალო | 52 | 22 | 24 | 6 | 50 |
| 14. მონრეალი | 53 | 20 | 24 | 9 | 49 |
| 15. კაროლინა | 54 | 20 | 25 | 9 | 49 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 54 | 35 | 17 | 2 | 72 |
| 2. ვანკუვერი* | 52 | 32 | 15 | 5 | 69 |
| 3. სან ხოსე* | 50 | 29 | 15 | 6 | 64 |
| 4. ნეშვილი | 53 | 32 | 17 | 4 | 68 |
| 5. სტ. ლუისი | 51 | 30 | 14 | 7 | 67 |
| 6. ჩიკაგო | 53 | 29 | 17 | 7 | 65 |
| 7. ლოს ანჯელესი | 53 | 25 | 18 | 10 | 60 |
| 8. მინესოტა | 52 | 25 | 19 | 8 | 58 |
| 9. დალასი | 51 | 27 | 22 | 2 | 56 |
| 10. ფინიქსი | 53 | 24 | 21 | 8 | 56 |
| 11. კალგარი | 53 | 24 | 22 | 7 | 55 |
| 12. კოლორადო | 54 | 26 | 25 | 3 | 55 |
| 13. ანაჰაიმი | 52 | 20 | 24 | 8 | 48 |
| 14. ედმონტონი | 53 | 21 | 27 | 5 | 47 |
| 15. კოლამბუსი | 52 | 14 | 32 | 6 | 34 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 61 (29+32) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 60 (20+40) |
| ფილ კესელი (ტორ) | 57 (29+28) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 57 (34+23) |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 55 (21+34) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 55 (11+44) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 54 (14+40) |
| ჯორდან ებერლე (ედმ) | 54 (24+30) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 53 (22+31) |
| მარიან ჰოსა (ჩიკ) | 53 (20+33) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 34 |
| ფილ კესელი (ტორ) | 29 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 29 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 27 |
| ჯონათან ტეუვზი (ჩიკ) | 27 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 26 |
| სკოტ ჰარტნელი (ფილ) | 25 |
| ჯორდან ებერლე (ედმ) | 24 |
| რადიმ ვრბატა (ფინ) | 24 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 44 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 40 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 40 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 40 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 36 |
| ჯოფრი ლუპული (ტორ) | 34 |
| ბრაიან კემპბელი (ფლო) | 34 |


სიდნი კროსბი

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ლუნგბიუ-ლანდსკრონა | 0:2 |
| პიასტი-პოლონია (ბ) | 1:1 |
| სტაბეკი-ჰიონეფოსი | 0:0 |
| ბეროე-დინამო (ბ) | 0:1 |
| ლიბერეცი-გიონგნამი | 3:1 |
| ლილესტრიომი-სტრომენი | 2:1 |
| ბოლესლავი-მეტალურგი (დ) | 3:1 |
| დინამო (ზ)-მიდტიულანდი | 0:1 |
| ჰაკენი-ჰალმსტადი | 1:0 |
| კოპენჰაგენი-სპარტაკი | 0:1 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბირმინგემი-პორტსმუთი | 1:0 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ექსეტერი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ქროული-ჩელტენემი | 4:2 |

**ინგლისის თასი**

| | |
|---|---|
| უენსდი-ბლეკპული | 0:3 |
| საუთჰემპტონი-მილუოლი | 2:3 |

**ინგლისი**

**League Trophy**

| | |
|---|---|
| სუინდონი-ბარნეტი | 1:0 |

**ესპანეთის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-მირანდესი | 6:2 (2:1) |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ოსნაბრიუკი-ერფურტი | 2:3 |
| ალენი-ზანდჰაუზენი | 2:0 |

**გერმანიის თასი**

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| კილი-დორტმუნდი | 0:4 |

**საფრანგეთის თასი**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| რენი-ევიანი | 3:2 |

**ბელგიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ლიერსი-ლოკერენი | გადაიდო (0:1) |

**პორტუგალიის თასი**

**1/2 ფინალი. II მატჩი**

| | |
|---|---|
| ოლივეირენსე-აკადემიკა | 2:2 (0:1) |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი-კილმარნოკი | 1:1 |

**კალათბურთი**

**ევროთასი**

| | |
|---|---|
| სპარტაკი-კრკა | 71:57 |
| დონეცკი-ხიმკი | 85:67 |
| ბუდუჩნოსტი-ბანვითი | 83:73 |
| ალბა-ლ. რიტასი | 62:79 |
| ვილერბანი-არისი | 79:52 |
| გრაველენი-ვეფ რიგა | 62:69 |
| ვალენსია-ნიმბურკი | 73:72 |
| ბენეტონი-ლოკომოტივი | 87:76 |

**ევროჩელენჯი**

| | |
|---|---|
| აალსტი-შოლნოკი | 86:84 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ამური-მეტალურგი (ნ) | 3:2 (ბ) |

**ჩოგბურთი**

**WTA. პატაია**

| | |
|---|---|
| ლერტჩეევაკარნი-**დოი** | 1:6, 3:6 |
| **ზვონარევა**-ვონგტეანჩაი | 6:2, 7:5 |
| **კუდრიავცევა**-ჟოუ | 6:1, 7:5 |
| **კინგი**-უოტსონი | 6:4, 6:2 |
| **ჩანგი**-დანილიდუ | 7:5, 6:1 |
| **ტანასუგარნი**-ვოსკობოევა | 6:3, 4:2 უარი |
| **ამანმურადოვა**-რობსონი | 5:2 უარი |
| ლერტპიტაკსინჩაი-**დატე** | 1:6, 1:6 |
| **კეოტავონგი**-ციბულკოვა | 6:4, 6:1 |
| ჟენგი-**ჰსიე** | 3:6, 2:6 |
| **მირზა**-მორიტა | 3:6, 6:1, 6:2 |
| ვანასუკი-**ჰანტუხოვა** | 2:6, 0:6 |
| **კირილენკო**-დელაკუა | 4:6, 7:6, 6:3 |
| პივოვაროვა-**უ. რადვანსკა** | 4:6, 1:6 |

**WTA. პარიზი**

| | |
|---|---|
| სტრიკოვა-**ბარტოლი** | 3:6, 2:6 |
| ბრიანტი-**ჩეტკოვსკა** | 3:6, 3:6 |
| **პირონკოვა**-ნა ლი | 7:6, 6:2 |
| საფაროვა-**კერბერი** | 2:6, 6:7 |
| არნი-**მარტიჩი** | 4:6, 4:6 |
| **გორჯესი**-პეერი | 6:1, 6:3 |
| **სხეპერსი**-ჰერცოგი | 6:2, 6:2 |

TV პროგრამა

**8 თებერვალი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტურის მიმოხილვა.
**12:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური. აიაქსი-უტრეხტი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტური. მილანი-ნაპოლი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXII ტური. მარსელი-ლიონი.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXIV ტური. მანჩესტერ სიტი-ფულჰემი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. XX ტური. ჰამბურგი-ბაიერნი.
**00:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXI ტური. ბარსელონა-სოსიედადი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ხეტაფე-რეალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლიპერსი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ჰერაკლესი-ეინდჰოვენი.
**16:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. მონპელიე. საფრანგეთი.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**21:00** NBA Action.
**21:30** საკალათბურთო მიმოხილვა - ოვერტაიმი.
**22:30** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. IV ტური. ეფესი-ოლიმპიაკოსი (LIVE).
**00:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-კლიპერსი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**13:00** სპორტ NEWS
**13:30** რაგბი. ექვსი ერის თასი. I ტური. საფრანგეთი-იტალია.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.
**17:00** სპორტ-NEWS.
**17:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-უდინეზე.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-დეტროიტი.
**21:30** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყაროში.
**22:20** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. როტერდამი. ჰოლანდია.

ველოსპორტი

# შლეკს ტიტული არ უხარია



შლეკი და კონტადორი

დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ესპანელი **ალბერტო კონტადორის** ორწლიანმა დისკვალიფიკაციამ და მისთვის ტურ დე ფრანსის 2010 წლის ტიტულის ჩამორთმევამ.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, 2010 წელს ფრანგული ველომარათონის გამარჯვებულად ლუქსემბურგელი **ანდი შლეკი** გამოცხადდება, თუმცა ეს უკანასკნელი არ მიიჩნევს თავს ტურ დე ფრანსის ნამდვილ გამარჯვებულად.

*„სიხარულის საბაბი არ გამაჩნია. პირველ რიგში, ძალიან ვწუხვარ ალბერტოს გამო. მე ყოველთვის მჯეროდა მისი უდანაშაულობის. ეს ძალიან ნაღვლიანი დღეა ველოსპორტისთვის. ერთადერთი პოზიტიური ახალი ამბავი ის არის, რომ თითქმის ორწლიანი გაუგებრობა დასრულდა და შეგვიძლია წინ ვიაროთ.*

*იმ რბოლაში მე ვებრძოდი კონტადორს და წავაგე. ჩემი მიზანი - ტურ დე ფრანსის მოგებაა, მაგრამ მხოლოდ პატიოსან ბრძოლაში. მინდა საუკეთესო სპორტსმენი ვიყო და სასამართლოში მოპოვებული გამარჯვებები არ მაინტერესებს. თუ წელს შევძლებ საფრანგეთში გამარჯვებას, სწორედ მას მივიჩნევ კარიერაში პირველ ტრიუმფად"*, - აღნიშნა შლეკმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ფორმულა 1. პრეზენტაციები, ტესტები

# ძველი ფერებით და ახალი იმედებით



ახალი უილიამსი

გუშინ დილით, პირველი სატესტო სერიის წინ, ახალი ბოლიდი წარადგინა ბრიტანულმა საჯინიბო „უილიამსმა". პრეზენტაცია მოკრძალებული გამოდგა - FW34, უბრალოდ, ბოქსებიდან გამოაგორეს ფოტოსესიითვის, რის შემდეგაც ჟურნალისტებს გადასცეს წინასწარ მომზადებული პრესრელიზი, მანქანა კი ტრასაზე გავიდა და რამდენიმე წრე გაიარა.

გასულ წელს „უილიამსში" სერიოზული განახლება მოხდა. ახალ მანქანაზე მუშაობდა ინჟინრებისა და კონსტრუქტორების ჯგუფი **მაიკ კოფლენისა** და **მარკ გილანის** მეთაურობით. ბრიტანული საჯინიბო FW34-ზე სერიოზულ იმედებს ამყარებს.

*„ჩვენ გვაქვს ახალი მანქანა და ახალი ძრავა, ხელმძღვანელობაში ახალი ხალხი მოვიდა. გამოჩდნენ ახალი პარტნიორები, რომლებიც გუნდს ბოლო თვეებში შეუერთდნენ. გუნდმა კარგად იმუშავა ზამთარში გროუვის ბაზაზე და ვგრძნობთ, რომ მზად ვართ საბრძოლველად"*, - ამბობს გუნდის მფლობელი **ფრენკ უილიამსი**.

„უილიამსის" ტრადიციული ფერები არ შეცვლილა - დომინირებს მუქი ლურჯი და თეთრი ფერი. „ცხვირზე" ვხედავთ უკვე კარგად ნაცნობ „საფეხურს", რომელიც 2012 წლის მანქანებს გამოარჩევს, FW34-ის უკანა ნაწილი კი საკმაოდ კომპაქტური გამოვიდა მინიატურული გადაცემათა კოლოფის გამო.

როგორც იცით, ბრიტანულმა გუნდმა უარი თქვა **რუბენს ბარიკელოსთან** კონტრაქტის გაგრძელებაზე და ახალ სეზონში **პასტორ მალდონადოს** პარტნიორი **ბრუნო სენა** იქნება.

# პირველი დღე კიმიმ მოიგო

ხერესში, წინასასეზონო ტესტების პირველ დღეს დილა საკმაოდ ნისლიანი იყო და ჟურნალისტებს სერიოზული ეჭვი გაუჩნდათ იმასთან დაკავშირებით, დაიწყებდნენ თუ არა გუნდები დროულად მუშაობას. მაგრამ ცოტა ხანში მზემ გამოანათა და მანქანები ტრასაზე გავიდნენ.

პირველ ნაწილში საჯინიბოები სისტემების საბაზო შემოწმებით იყვნენ დაკავებული. ყველამ ვერ მოახერხა ტექნიკური სიახლეების წინასწარი შემოწმება, ასე რომ, პილოტები ხშირად მოკლე წრეებს გადიოდნენ - ბოქსებს ტოვებდნენ და მალე უკან ბრუნდებოდნენ, ინჟინრები კი პარამეტრების ანალიზს ახდენდნენ და შემდეგ შემოწმებაზე გადადიოდნენ.

Mercedes და HRT სხვა პროგრამით მუშაობდნენ - ისინი ტესტებზე შარშანდელი მანქანებით ჩავიდნენ და დღე „პირელის" ახალი საბურავების შემოწმებას მიუძღვნეს. იტალიურმა კომპანიამ ხერესში სამი სახის საბურავი ჩაიტანა - Soft, Medium და Hard. საერთოდ არ მონაწილეობდა ტესტებში რუსული „მარუსია".

საბოლოოდ, ტესტების პირველი ოთხი საათი დასრულდა და შედეგების ოქმში პირველ ადგილზე **კიმი რაიკონენი** აღმოჩნდა. ხერესში, ბარსელონასგან განსხვავებით, ტესტებისას ოფიციალური შესვენება არ არსებობს, ყოველი გუნდი საკუთარი გრაფიკით მუშაობს. დღის პირველ ნაწილში არანაირი შეფერხება არ ყოფილა და სესია წითელი დროშებით ერთხელაც არ შეწყვეტილა.

სამაგიეროდ, სალამოსკენ ორჯერ გამოფინეს წითელი დროშები. **დანიელ რიკარდოს** შეექმნა პრობლემები და მან მანქანა ერთ-ერთ მოსახვევში გააჩერა. სესიის დასრულებამდე ნახევარი საათით ადრე კი სწორ მონაკვეთზე გაჩერდა **კამუი კობაიში**, მაგრამ ამ შემთხვევაში მანქანის გაუმართაობა არაფერ შუაშია - ინჟინრები საწვავის სისტემაზე მუშაობდნენ და აინტერესებდათ დონე, რომლის დროსაც ძრავა წყვეტს მუშაობას.

საბოლოოდ, რაიკონენის მიერ დილით ნაჩვენები დრო საუკეთესო აღმოჩნდა. სხვათა შორის, ფინელმა უკეთესი შედეგი დააფიქსირა, ვიდრე შარშანდელი ტესტების ლიდერმა **რუბენს ბარიკელომ**.

| I დღე | |
|---|---|
| 1. კ. რაიკონენი (Lotus) | 1.19,670 (75 წრე) |
| 2. პ. დი რესტა (Force India) | +0,102 (101) |
| 3. ნ. როსბერგი (Mercedes) | +0,549 (56) |
| 4. მ. უებერი (Red Bull) | +0,826 (54) |
| 5. დ. რიკარდო (Toro Rosso) | +1,024 (57) |
| 6. მ. შუმახერი (Mercedes) | +1,124 (42) |
| 7. კ. კობაიაში (Sauber) | +1,683 (106) |
| 8. ჯ. ბატონი (McLaren) | +1,860 (62) |
| 7. ფ. მასა (Ferrari) | +3,145 (69) |
| 8. ჰ. კოვალაინენი (Caterham) | +3,508 (28) |
| 9. პ. მალდონადო (Williams) | +3,701 (25) |
| 11. პ. დე ლა როსა (HRT) | +4,006 (44) |



კიმი რაიკონენი ხერესზე

ამბები

დოპინგი

## ყოველი მეათე დოპინგს იღებს?

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს (WADA) მიაჩნია, რომ დოპინგის სფეროში ახალი გამოკვლევები, სავარაუდოდ, ახალ დონეზე აიყვანს აკრძალულ პრეპარატებთან ბრძოლას.

პროგნოზების მიხედვით, სამუშაოს შედეგად, რომელიც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების სტარტამდე უნდა დასრულდეს, შესაძლოა, გაირკვეს, რომ საერთაშორისო ტურნირებზე ყოველი მეათე სპორტსმენი იღებს დოპინგს. დღევანდელი მონაცემებით კი აკრძალული პრეპარატების მიღებაში სპორტსმენების ერთ-ორ პროცენტს იჭერენ.

კალათბურთი

## ბილაპსს სეზონის დასრულება ემუქრება

„ლოს ანჯელეს კლიპერსის" მცველმა **ჩონსი ბილაპსმა**, შესაძლოა, სეზონის დარჩენილი ნაწილი გამოტოვოს აქილევსის მყესის დაზიანების გამო. 35 წლის კალათბურთელმა ტრავმა „ორლანდოსთან" მატჩის მეოთხე მეოთხედში მიიღო.

დღეს ვეტერანს სამედიცინო შემოწმებას ჩაუტარებენ. წინასწარი ვარაუდით, ბილაპსს სერიოზულად აქვს დაზიანებული მყესები, შესაძლოა, გაწყვეტილიც კი იყოს, რითაც ჩონსისთვის სეზონი დასრულებულად ჩაითვლება.

მიმდინარე სეზონში მცველმა 20 მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 15.9 ქულა, 5.5 შედეგიანი პასი და 2.9 მოხსნა დააგროვა.

ჰოკეი

## სოჭის პრეტენდენტები

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა იმ ქვეყნების წინასწარი სია, რომლებსაც 2014 წელს სოჭის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი ექნებათ. სულ განაცხადი შეიტანა მამაკაცთა 32-მა ნაკრებმა.

ფინალურ ტურნირში, ფედერაციის რეიტინგის თანახმად, პირდაპირ მოხვდება ცხრა ნაკრები, კიდევ სამი კვალიფიკაციის გავლით გაემგზავრება ოლიმპიადაზე. სულ 2013 წლის 7-10 თებერვალს სამი საკვალიფიკაციო ტურნირი გაიმართება.

ოლიმპიადაზე მოხვედრის კანდიდატები არიან: რუსეთი, ფინეთი, შვედეთი, კანადა, ჩეხეთი, აშშ, შვეიცარია, გერმანია, ნორვეგია, სლოვაკეთი, ბელარუსი, ლატვია, დანია, საფრანგეთი, ავსტრია, ყაზახეთი, იტალია, სლოვენია, უკრაინა, უნგრეთი, ბრიტანეთი, იაპონია, პოლონეთი, ლიტვა, ხორვატია, რუმინეთი, ესპანეთი, სერბეთი, კორეა, მექსიკა, ისრაელი, ბოსნია (ქვეყნები ჩამოთვლილია ფედერაციის მიმდინარე რეიტინგის მიხედვით).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## მკითხველის ვერსიით
### საქართველოს 2011 წლის რჩეული სპორტსმენი და ათეული

**წლეულს** პირველად „ლელო" ატარებს მკითხველთა გამოკითხვას 2011 წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად. დღეიდან საშუალება გეძლევათ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს.

**მკითხველის რჩეული გამოვლინდება საერთო ხმების შეჯამებით**

**მოცემულ ბარათზე ანბანის მიხედვით ჩამოთვლილი კანდიდატებიდან გთხოვთ, შეარჩიოთ მხოლოდ ერთი საუკეთესო სპორტსმენი, შემოხაზოთ შესაბამისი ნომერი, ამოჭრათ ბარათი და „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ რედაქციაში.**

საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ჭიათურა, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, მარნეული, ბოლნისი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო, ყაზბეგი, თიანეთი, კაზრეთი.

„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

*ან დარეკეთ რედაქციაში და თქვენი პასუხი ჩააწერინეთ ოპერატორს ნომერზე:* ***2 19 60 53,*** *ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 11-დან 18 საათამდე).*

**გამოკითხვა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება**

1. **აბუთიძე ალექსი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III; ევროპა-III
2. **ბასილაია დიმიტრი** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
3. **ბახტაძე მიხეილ** - კრივი: ევროპა-III
4. **ბოდაველი მინდია** - სამბო: ევროპა-II
5. **გაბრავა ვილენ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-III
6. **გამთენაძე ირაკლი** - მკლავჭიდი: ევროპა-II
7. **გორგოძე მამუკა** - რაგბი: პოპულარობის ინდექსით
8. **გორელაშვილი შოთა** - კარატე: ევროპა-II
9. **დაუთაშვილი ვასილ** - მკლავჭიდი: მსოფლიო-II; ევროპა-III
10. **ესებუა ქრისტინე** - მშვილდოსნობა: მსოფლიო-II
11. **ვეკუა ჰენრი** - კარატე: ევროპა-I
12. **კვაჭატაძე ზაალ** - კრივი: ევროპა-III
13. **კვიკვინია გენადი** - მკლავჭიდი: მსოფლიო-I; ევროპა-II და II
14. **კალაძე კახა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
15. **კობიაშვილი ლევან** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
16. **კაშია გურამი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
17. **კუზანაშვილი უშანგი** - სამბო: მსოფლიო-II; ევროპა-I
18. **კუცია ნიკო** - სამბო: მსოფლიო-III; ევროპა-III
19. **ლავერაშვილი თეონა** - კიკბოქსინგი: მსოფლიო-II
20. **ლაშხი რევაზ** - ბ/რ ჭიდაობა: ევროპა-I
21. **ლიპარტელიანი ვარლამ** - ძიუდო: ევროპა-III
22. **ლორიაშვილი დავით** – სამბო: მსოფლიო-III
23. **მამულაშვილი კახა** - სამბო: ევროპა-II
24. **მარსაგიშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-II; მსოფლიო ახალგაზრდებში-I; ევროპა ახალგაზრდებში-I
25. **მაჭავარიანი გია** - ძალოსნობა: ევროპა-II
26. **ოქრუაშვილი ადამ** - სუმო: ევროპა-III (აბსოლუტურში); ქართ/ჭიდაობა: საქართველოს სამგზის ფალავანი
27. **ოძელაშვილი ნინო** - სამბო: მსოფლიო-III
28. **პავლიაშვილი მირიან** - სამბო: ევროპა-III
29. **ჟორჟოლიანი ლომერ** - ძიუდო: ევროპა-II; სამბო: მსოფლიო-II
30. **სალუქვაძე ნინო** - ტყვ. სროლა: მსოფლიოს სუპერთასი-II
31. **სანიკიძე ვიქტორ** - კალათბურთი: პოპულარობის ინდექსით
32. **ფაჩულია ზაზა** - პოპულარობის ინდექსით
33. **შუკვანი ბეთქილ** - ძიუდო: ევროპა-II
34. **ცერცვაძე ავთანდილ** - სუმო: ევროპა-III
35. **ცინცაძე ავთანდილ** - სამბო: მსოფლიოს ჩემპიონატი-I
36. **ცირეკიძე ირაკლი** - ძიუდო: მსოფლიოს ჩემპიონატი III; ევროპა-III
37. **ცხადაია მანუჩარ** - ბ/რ ჭიდაობა: მსოფლიო-II
38. **ხინჩეგაშვილი ვლადიმერ** - თ/ჭიდაობა: ევროპა-II; ევროპა (ახალგაზრ დებში)-I; მსოფლიო ახალგაზრდებში-I
39. **ხოსიტაშვილი ჯაბა** - კრივი: ევროპა-III
40. **ხუციშვილი დავით** - თ/ჭიდაობა: მსოფლიო-III; ევროპა-III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ მხოლოდ ის სპორტსმენები, ვინც 2011 წელს გახდნენ მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებულები პრიზიორები, ან ორივე ერთად.*

*საუკეთესო სპორტსმენს „ლელოს" სპეციალური პრიზი გადაეცემა.*